

ახალი აღთქმის შესავალი

1. ახალი აღთქმის წიგნების წარმოშობა

სახელწოდება *ახალი აღთქმა* (ბერძნ. *ჰე კაინე დიათეკე*) პირველად თითქოს *ძველი აღთქმის* (უფლის მიერ აბრაამთან და მერე ევვიპტეში დადებული აღთქმის) საპირისპიროდ გაჩნდა თავად „ძველი აღთქმის“ ტექსტში. იერემიას წიგნში ვკითხულობთ:

„აჰა, დადგება უამი, ამბობს უფალი, და ახალ აღთქმას დაუდებ ისრაელის სახლს და იუდას სახლს. არა ისეთ აღთქმას, რომელიც დაუდებოდა მათ მამა-პაპას, როცა ხელჩაკიდებული გამოძევადა ისინი ევვიპტის ქვეყნიდან. დაარღვიეს ის ჩემი აღთქმა, თუმცა მე მათი პატრონი ვიყავი, ამბობს უფალი. რადგან ეს არის ის აღთქმა, რომელიც უნდა დაეუდო ისრაელის სახლს იმ დროის შემდგომ, ამბობს უფალი. წიადში ჩავუდებ მათ ჩემს რჯულს და გულზე დავაწერ. მათი ღმერთი ვიქნები და ისინი ჩემი ერი იქნებიან“ (31:30-32).

აქედან ჩანს, რომ სიტყვები *ახალი აღთქმა* არ აღნიშნავს წიგნს, დაწერილ ტექსტს, არამედ რელიგიურ გარდაქმნას, რელიგიური შეგნების განახლების, ახალი რელიგიური ეპოქის ნიშანს, შემობრუნებას, რწმენის გაღვივებას ადამიანთა გულებში, ფორმალური ანდერძის ნაცვლად, რომელიც იურიდიულ სფეროში რჩება.

ახალი აღთქმის წიგნები ვერ შეიქმნებოდა, რომ ჯერ ეკლესია, როგორც რელიგიური თემი, არ დაარსებულყო. ქრისტიანთა წმიდა წერილი ქრისტეს ეკლესიის წიაღიდან ამოიზარდა.

ვერსად პავლე მოციქულის ეპისტოლეებში, რომლებიც 48-63 წლებში სახარებებზე ადრე იწერებოდა, ვერ აღმოვაჩინეთ მითითებას ქრისტეს მოციქულთა თუ მოწაფეთა წრეში შექმნილ რაიმე წერილობითი დოკუმენტის შესახებ. ერთადერთი, რასაც იმოწმებს პავლე, ეს არის ისევ და ისევ ძველი აღთქმის წიგნები, რომლებიც შემდგომ სახარებებშიც იქნა დამოწმებული, და ცოცხალი ცნობები ქრისტეს შესახებ, რომლებიც მის მოწაფეთა და თვითმხილველთა წრეში ზეპირად ინახებოდა და ვრცელდებოდა.

თავდაპირველად, ქრისტიანულ ეკლესიაში კარგა ხნის მანძილზე არ არსებობდა ერთი ავტორიტეტული წიგნი (მსგავსი ძველი აღთქმისა), რომელსაც ახალდაარსებული ეკლესია დაეყრდნობოდა. ქრისტე თავად იყო მოძღვრება, რომელიც ყველა წიგნზე სრულყოფილად მოიცავდა ჭეშმარიტებას. „მე ვარ ჭეშმარიტება“, ამბობდა იგი. არც ერთ სახარებაში იმის მინიშნებაც კი არ არის, რომ მოციქულებს ეცადათ ქრისტეს ქადაგებების, იგავების, ლოგიების (ბერძნ. *ლოგია კვირიაკა* „უფლის ნათქვამები“) და საუბრის ჩაწერა. საკმარისი იყო, რომ მათ ესმოდათ მისი სიტყვები. აი, რა ამბობდა ევსებიოს კესარიელის (260-340) მოწმობით („ეკლესიის ისტორია“, წ. III, 39) პაპიასი, ჰიეროპოლისის ეპისკოპოსი: „მე მივხვდი, რომ წიგნებს უფრო მეტი არ მოუციათ ჩემთვის, ვიდრე ცოცხალ და გამუდმებულ ხმას“. პაპიასი უსმენდა იმ ადამიანებს, რომელთაც უშუალოდ მოციქულთაგან ჰქონდათ მოსმენილი

ქრისტეს შესახებ. მის დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა *ახალი აღთქმა*, როგორც ასეთი, წერილობითი დოკუმენტი, რომელიც დღეს ქრისტიანობის ფუძემდებლური წიგნია. ევსებოს კესარიელი იმასაც წერს, რომ მოციქულთაგან მხოლოდ მათემ და იოანემ აღწერეს ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრება, ოღონდ მოგვიანებით. მათე ებრაელებს უქადაგებდა მათსავე ენაზე და მისცა კიდევ წიგნი. რაც შეეხება იოანეს, იგი დიდხანს ზეპირად გადასცემდა სახარებას და მხოლოდ მას შემდეგ გადაწვიტა ჩაეწერა, რაც სამი სახარება უკვე დაწერილი იყო. რაკი ისინი მხოლოდ იმ ამბებს აღწერდნენ, რომლებიც იოანე ნათლისმცემლის დატუსაღების შემდეგ მოხდა, იოანემ ისურვა, თავის მხრივ ქრისტეს თავდაპირველი საქმენი მოეთხრო (ევსებ. III, 24).

მოვუსმინოთ რომანო გვარდინის – რას ამბობს იგი ამ საკითხზე:

„იესომ იცის წმინდა წერილთა წიგნი და აღიარებს მათ საღვთო ავტორიტეტს; ბუნებრივი იქნებოდა, მას თავისი ავტორიტეტიც ამგვარი წიგნისთვის მიენდო, ეთქვა თავისი მოწაფეებისთვის: ჩაიწერეთ! ჩვენ ისიც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ მას თვითონ დაეწერა; რა ბრწყინვალე და ძვირფასი იქნებოდა ჩვენთვის ეს ტექსტი! ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ღვთის ძეს ამგვარი რამის გაკეთება შეეძლო; მით უმეტეს, რომ გამოსვლათა წიგნში ჩვენ ვკითხულობთ, როგორ უბრძანა ღმერთმა მოსეს, ამოეკეთა ქვის ორი დაფა და უთხრა: და მე დაეწერ ამ დაფებზე სიტყვებს [ათ მცნებას] (გამ. 34:1). როგორც არ უნდა გავიგოთ ეს „დაეწერ“, ნებისმიერ შემთხვევაში ის ნიშნავს, რომ ღმერთი მკაფიოდ აკავშირებს თავის ქადაგებას (Verkündigung, *კერიგმა*) გარკვეულ ნაწერთან. ასევე შეეძლო იესოს უმთავრესი თავად დაეწერა, ან, ისე მოქცეულიყო, როგორც ღმერთი ძველ აღთქმაში, რომელიც ეუბნება წინასწარმეტყველს: აიღე დიდი გრაგნილი და დაწერე მასზე გარკვევით (ესაია 8:1). წინასწარმეტყველი წერს და შემდეგ ეს ნაწერი საუკუნეებში მოგზაურობს. იესოსაც ადვილად შეეძლო ეთქვა თავისი მოწაფეებისთვის: დაიხსომეთ კარგად, რასაც გეუბნებით. ჩაიწერეთ, რომ შემდგომ წაიკითხოთ, რომ თქვენი ხელიდან თქვენმა შვილებმა მიიღონ, და მათგან მათმა შვილებმა და ასე ყველა შემდგომმა თაობამ...“

მაგრამ მან ეს არ გააკეთა. არც ერთი სიტყვა, იესოს მიერ წარმოთქმული საკუთარი საქმეების ან საკუთარი მოძღვრების შესახებ, არ არის დამოწმებული წერილობით წყაროთი.

ამგვარი მოწმობები მოგვიანებით დაიწერა. იესოს წასვლიდან მცირე დრო იყო გასული, როდესაც შეიქმნა უფლის გამონათქვამების კრებული, რაც მოგვიანებით უფრო დიდ ნაწარმოებად განივრცო. ასე შეიქმნა ოთხი სახარება – მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებები; ეს ფასდაუდებელი ტექსტებია; ისეთივე ავტორიტეტულნი, როგორც მოციქულთა ზეპირი ქადაგება, რომელთაც ეს ტექსტები შექმნეს ან თავისი ავტორიტეტით განამტკიცეს. ასევე დაიწერა სამოძღვრებო ეპისტოლეები, რომელთაც იესოს აზრები გადმოსცეს და განავითარეს: პავლეს, იაკობის, იუდას, პეტრეს და იოანეს ეპისტოლეები. შემდეგ ჩვენ გვაქვს მოთხრობა ლუკასაგან მოწაფეთა თემის თავდაპირველი ხანის შესახებ. ეს არის „საქმე მოციქულთა“. ბოლოს მოდის იოანე მოციქულის

„გამოცხადება“, რომელიც გვიჩვენებს იესოს მის მარადიულ დიდებაში. ეს ყველაფერი პირველი საუკუნის ბოლოს გაერთიანდა და როგორც ახალი აღთქმა, გვერდით ამოუდგა ძველ აღთქმას, და მას შემდეგ ისინი ერთად შეადგენენ წმიდა წერილს.

ეს ყველაფერი მოხდა, მაგრამ არა იესოს უშუალო დავალებით. მას არ დაუწესებია ტექსტი და წიგნი, როგორც გადაცემის ფორმა, არამედ [...] დაადგინა წარგზავნილები (მოციქულები), რომლებსაც უნდა ექადაგათ და ესწავლებინათ. დაწერილი სიტყვა მხოლოდ დამატება იყო ზეპირი სიტყვისა და მას საჭიროებისამებრ იყენებდნენ. სწორედ ასე, განსაკუთრებული სიტუაციებიდან წარმოიშვა ახალი აღთქმის ნაწერები; შეიძლება ითქვას, „შემთხვევით“, თუ ამ სიტყვაში ვიგულისხმებთ იმას, რომ ეს „პროგრამის გარეშე“ მოხდა, როგორც დიდი და მნიშვნელოვანი მთელის ერთი ნაწილი. ახალი აღთქმის წიგნები ღვთის სიტყვაა, ცხოვნების ქადაგებაა. ისინი საშუალებას გვაძლევენ მეტ-ნაკლებად უშუალოდ ვისმინოთ თვით იესოს და მისი მოციქულების სიტყვები და დავუკავშირდეთ პირველი ქრისტიანული თემის ცხოვრებას. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც რწმენის დასაწყისში, ისევე მის ზრდასა და გაღრმავებაში, რწმენაზე ფიქრისას და მორწმუნე აზროვნების თვითკრიტიკისთვის. მაგრამ წმიდა წერილის ავტორებს რომც არაფერი დაეწერათ, იესოს ქადაგება მაინც გაიკვლევდა გზას ისტორიაში. ეს იმისთვის არ ითქმის, რომ ახალი აღთქმის წიგნების მნიშვნელობა დავაკნინოთ, არამედ იმისთვის, რომ მათი ადგილი და ფუნქცია განვსაზღვროთ. რამდენიმე ამ წიგნთაგანი დაკარგულია, კერძოდ, პავლე მოციქულის ეპისტოლე ლაოდიკეელებისადმი, და ორი კორინთელებისადმი. მაგრამ ამან ქადაგების სისრულეს ვერაფერი დააკლო. სხვა სიტყვებით: ახალი აღთქმის წიგნის საზრისი არ ძვეს თვით მასში; არ შეიძლება ეს საზრისი მხოლოდ მისგან იქნას გაგებული. ის ძვეს იმ მიზეზში, რომელიც განაპირობებს და მოიცავს ამ წიგნს და მხოლოდ მისი მეშვეობით შეიძლება წიგნი გაგებულ იქნას, – და ეს მიზეზი ეკლესიაა (რომანო გვარდინი, *უფლის ეკლესია: ფიქრები ეკლესიის არსზე და დანიშნულებაზე*).

2. ახალი აღთქმის ენა

რა ენაზე დაიწერა ახალი აღთქმის წიგნები? ახალი აღთქმის ენა გამონაკლისის გარეშე ბერძნულია, ე. წ. *კოინე* (ბერძნ. „საერთო“), რომელიც გავრცელებული იყო ელინისტური სამყაროს ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, პალესტინაში. ეს არის სალაპარაკო ენა, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება კლასიკური ბერძნულისგან, თუნდაც სექტუაგინტას ენისგან. ერთია *კოინე*, მაგრამ ახალი აღთქმის წიგნებს შორის მაინც განირჩევა სხვადასხვა ლინგვისტური დონე: მარკოზი იყენებს მარტივ ბერძნულს, მათესა და ლუკას ენა უფრო დახვეწილია. ზოგადად რომ ვილაპარაკოთ, უფრო მარტივია სახარებების ენა, უფრო რთული – პავლე მოციქულის ეპისტოლეები,

რომელთა ენა მწიგნობრულია, უახლოვდება კლასიკურს, თუმცა იგი ხშირად სალაპარაკო ბერძნულისკენ იხრება. იოანეს „გამოცხადების“ ვულგარული და, შიგადაშიგ, დაუდევარი მეტყველება ამდღეული და მაღალფარდოვანი სტილით იფარება. საზოგადოდ, ახალი აღთქმის ენა, განსაკუთებით, „გამოცხადებისა“ და, თუნდაც, სახარებისა მათესაგან სემიტურად შეფერილი ბერძნულია. არსებობს აზრი, რომ თავდაპირველად ზოგიერთი ტექსტი არამეულად, პალესტინის ებრაელთა მშობლიურ ენაზე დაიწერა და მხოლოდ შემდეგ ითარგმნა ბერძნულად. ეს აზრი ჯერ კიდევ ევსებიოს კესარიელთან არის დადასტურებული. იგი იმოწმებს პაპიუს ჰიეროპოლელს, რომელსაც უთქვამს: მათემ ქრისტეს საუბრები „ებრაულად დაწერა და მერე თარგმნეს იგი, ვისაც როგორ შეეძლო“ (ეკლ. ისტ., წ. III, 39, 16). სემიტოზმები, კერძოდ, არამეოზმები, თანამედროვე მკვლევარს აძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ახალი აღთქმის ენა „ბერძნულად თარგმნილად“ მიიჩნიოს, რომლის დედანი არამეულია. თუმცა სემიტოზმები შეიძლება არ მიუთითებდეს, რომ ტექსტი მაინცდამაინც ებრაულად ან არამეულად დაიწერა. ისინი ადვილად შეიძლება აიხსნას ენობრივი აზროვნების სემიტური სტილით – ქრისტე და მოციქულები ერთმანეთს და სხვებს ხომ არამეულად ელაპარაკებოდნენ! ბოლოს და ბოლოს, ქრისტე თავის ქადაგებებს, იგაგებს და ლოგიებს (გამონათქვამებს) ხომ თავის მშობლიურ ენაზე წარმოთქვამდა, იმ ენაზე, რომელზეც მას, ჯვარზე გაკრულს, უკანასკნელი სიტყვები აღმოხდა. ფსალმუნის (21:2) სიტყვები არა დედნის ენაზე, არც ბერძნულად, არამედ არამეული ვერსიით წარმოითქვა მეცხრე საათზე (არამეული *ელი, ელი ლამა საბახთანი* ნაცვლად ებრაულისა: *ელოჰი, ელოჰი, ლამა ყახათანი*, მთ. 27:46).

ახალი აღთქმის ტექსტში არის კიდევ რამდენიმე ადგილი, სადაც ცალკეული არამეული გამოთქმა და სიტყვები გამოყენებული: ლიტურგიული შეძახილი: *მარანათა<მარან ათა* (1კორ. 16:22), რაც ნიშნავს „ჩვენო უფალო, მოდი!“ ან „ჩვენი უფალი მოვა“; *ტალითა კუმი* (მრ. 5:41) „გოგონა, ადექი!“; *კორბან* (მრ. 7:11), „შესაწირავი“; *კეფა* (ი. 1:42, 1კორ 1:12; 3:22; 9:5; 15:5; გალ 1:18; 2:9,11,14) „კლდე“ (პეტრეს სახელის არამეული ვარიანტი); *რაკა* (მ. 2:22) სალანძღავი სიტყვა: „ქარაფშუტა, სულელი“; *რაბი* (მ. 23:7,8 და ბევრგან) მიმართვა „მოძღვარო“; *აბბა* (მრ 14:36) „მამა“; *ბოანერგეს* (მრ 3:17) „ძენი ქუხილისა“.

რა თქმა უნდა, ეს არამეული სიტყვები არ მოწმობს იმას, რომ ტექსტი მაინც და მაინც არამეულად იყო დაწერილი. თუმცა დარწმუნებით იმის თქმა შეიძლება, რომ რაკი ახალი აღთქმის ავტორების მშობლიური ენა არამეული იყო, ამდენად ბერძნულად წერისას არამეულად აზროვნებდნენ. არამეული და ებრაული კონცეპტუალურ დონეზეა შეჭრილი ბერძნულში. ამ შეჭრის მაგალითად ბერძნული სიტყვა-ცნება *aletheia* („ჭეშმარიტება“) კმარა, რომელსაც ახალ აღთქმაში ბერძნულისთვის უჩვეულო მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. ბერძნულ ფილოსოფიაში *aletheia* „ჭეშმარიტება“ არის ის, რაც და-უ-ფარავია (*ა-ლეთეია*), ებრაული მსოფლხედვისთვის კი – რაც დაფარულია, საიდუმლოა (იხ. პავლეს ეპისტოლეები).

ბერძნული ენა, რომელიც აირჩიეს ქრისტიანებმა, რომშიც იყო გავრცელებული, მასზე ლაპარაკობდნენ მოსახლეობის თითქმის ყველა ფენაში, ბერძნული რომაელებს ბავშვობიდანვე შეეძლოთ სცოდნოდათ ბერძენი ძიძების მეშვეობით. ბერძნულის, როგორც ძველი და დიდი კულტურის ენის, ცოდნა განათლებული ადამიანისთვის აუცილებელი იყო. ამიტომაც არა მხოლოდ კლიმენტი რომაელს შეეძლო რომიდან კორინთოს ეკლესიისთვის მიეწერა ბერძნულად ეპისტოლე, არამედ უფრო ადრე პავლე მოციქული რომაელ ქრისტიანებს სწერდა ბერძნულად ეპისტოლეებს.

3. ახალი აღთქმის შემადგენლობა

იუდეველებისგან განსხვავებით, ქრისტიანებს ყოველთვის არ ჰქონიათ წიგნი, როგორც დღეს არის „ახალი აღთქმის“ სახით. იესო ქრისტეს ხანაში ქრისტიანები იმოწმებდნენ ებრაულ ბიბლიას, რომელიც სამ ნაწილად გაერიანებული 39 წიგნისგან შედგება. სახარებებში ხშირია დამოწმებები რჯულისა (ხუთწიგნეული) და წინასწამეტყველთა წიგნებიდან. ეს იყო მათი საღვთო წერილი, რომელიც მათ იუდეველებთან საზიარო ჰქონდათ. ისმის კითხვა: რატომ არ შექმნეს პირველქრისტიანებმა თავიანთი საღვთო წერილი? რატომ არსად სახარებებში ნახსენები არ არის საკუთრივი ქრისტიანული ტექსტები? ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ თავად იესოს არასოდეს უცდია თავისი ნაქადაგარი წერილობით დაეფიქსირებინა; არც ის ჩანს არსად, რომ თავისი მოწაფებისთვის დაევალებინოს მის მიერ წარმთქმული სიტყვების ჩაწერა. ქრისტეს სწავლება მის სიცოცხლეში მხოლოდ და მხოლოდ ზეპირად ვრცელდებოდა და არავის მოსვლია აზრად, ჩაეწერა ზოგი რამ მაინც ქრისტეს სწავლებიდან. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ ღვთის სასუფეველის ხარება, რომელიც ქრისტეს მოძღვრების გულისგულს შეადგენს, არავითარ ნაწერ ტექსტს არ ეფუძნებოდა. თავად ქრისტე იყო „ნაწერი“, წიგნი, რომელიც შეცავდა მის მოძღვრებას. თავად ქრისტეს პიროვნება და მისი ყოველი ნათქვამი იყო მოძღვრება, „ტექსტი“, რომელსაც მოციქულები და მოწაფეები ისმენდნენ. მეორე მიზეზი, თუ რატომ არ იქმნებოდა წერილობითი ტექსტები, ის იყო, რომ პირველი თაობის ქრისტიანები იმდენად იყვნენ შეპყრობილნი ესქატოლოგიური (ქვეყნის დასასრულის, უკანასკნელი დღეების) მოლოდინით, რომ არ ესწრაფოდნენ მომავალი თაობებისთვის წერილობითი ტექსტების დატოვებას, რადგან იმედი არ ჰქონდათ, რომ მათი მომდევნო თაობა საერთოდ იარსებებდა. აი, რას ამბობს პავლე მოციქული თავი ეპისტოლეში (წერილში) კორინთელ ქრისტიანთა მიმართ:

„აჰა, საიდუმლოს გეუბნებით თქვენ: ყველანი არ განვისვენებთ (არ მოვკვდებით), მაგრამ ყველანი შევიცვლებით ერთ წამში, თვალის დახამხამებაზე, უკანასკნელ საყვირზე, რდგან დასძახებს საყვირი დ მკვდრები აღდგებიან უხრწნელად, ხოლო ჩვენ [ცოცხლები] შევიცვლებით. რადგან ეს ხრწნადი უხრწნელებით უნდა შეიმოსოს და ეს მოკვდავი უკვდავებით უნდა შეიმოსოს. ხოლო როცა ეს ხრწნადი უხრწნელებით შეიმოსება და ეს მოკვდავი – უკვდავებით, მაშინ ახდება დაწერილი სიტყვა: „სიკვდილი შთაინთქა ძლივით“, „სად არის, სიკვდილო, შენი ნესტარი? სად არის, ჯოჯოხეთო, შენი ძლივა?“ (1 კორ. 15:51-55).

ეს მძაფრი მოლოდინია გადმოცემული იოანეს „გამოცხადებაში“ ორად-ორი სიტყვით: „მოდი, უფალო იესო!“ ქრისტეს სიტყვების – „ჰე, მოვალ მალე!“ – საპასუხოდ (გამოცხ. 22:21), რითაც

თავდება ეს წიგნი.

არათუ პირველ ხანებში, არამედ მოგვიანოდაც ძლიერი იყო ეს მოლოდინი. აი, რას წერს ტერტულიანე, II-III სს-ის ქრისტიანი აპოლოგეტი (ქრისტიანობის დამცველი წარმართთა შემოტევისგან):

„ჩვენი სურვილები მიმართულია ამ დროჟამის დასასრულისკენ, წუთისოფლის გარდაქმნისკენ, უფლის დიდი დღისკენ, რისხვისა და განკითხვის დღისკენ, უკანასკნელი და საიდუმლო დღისკენ, რომელიც არავინ უწყის [როდის დადგება], გარდა მამისა..“

ახალი აღთქმა თავისი ლიტერატურული ფორმით ელინისტურ ეპოქას (ცივილიზაციას) ეკუთვნის. თითოეულ წიგნს შეიძლება მოეძებნოს შესატყვისი ჟანრი, რომელიც ელინურ ლიტერატურაში იყო დამკვიდრებული. სახარებები, როგორც ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების აღმწერი ნარატიული ტექსტები, შეესაბამება ბიოგრაფიული ჟანრის თხზულებებს, როგორც არის ბერძნულ ენაზე პლუტარქეს ბიოგრაფიები და ლათინურ ენაზე სვეტონიუსის კეისრების ცხოვრებანი. ეპისტოლეს ჟანრი ელინისტური წერილობითი კულტურის მონაპოვარია, მან განსაკუთრებული განვითარება რომაულ სამყაროში ჰპოვა. მოციქულთა საქმეებს ანალოგია აქვს ბერძნულ-რომაულ ქრონიკებსა და ანალებში. რაც შეეხება იოანეს „გამოცხადებას“, იგი წარმოშობით არ არის ბერძნულ-რომაული ჟანრი, მაგრამ იგი ასევე ელინისტურ ხანაში ჰპოვებს გავრცელებას და დამკვიდრებას.

ყოველი ნაწარმოები, რომელიც კი ზეპირად წარმოთქმულა თუ დაწერილა, რომელიმე ჟანრს ეკუთვნის, რასაც მისი დანიშნულება განსაზღვრავს.

ახალი აღთქმის წიგნები სხვადასხვა ჟანრის წიგნებისგან შედგება.

1) ნარატიული ტექსტები. ესენია:

ა) სახარებები, რომლებიც აღწერენ ქრისტეს ამქვეყნიურ ცხოვრებას შობიდან ამაღლებამდე. ეს არის სახესხვაობა ბიოგრაფიული ჟანრისა, რომელიც ჩაისახა საბერძნეთში და ფართოდ იყო გავრცელებული ბერძნულ-რომაულ სამყაროში. საკმარისია დავასახელოთ: პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები“, სვეტონიუსის „თორმეტი კეისრის ცხოვრება“.

ბ) საქმე მოციქულთა, რომელიც აღწერს მოციქულთა მოღვაწეობას ქრისტეს ჯვარცმისა, აღდგომისა და ამაღლების შემდეგ. ეს არის სახესხვაობა ისტორიული ჟანრისა, რომელიც ასევე ფართოდ იყო გავრცელებული ბერძნულ-რომაულ მწერლობაში.

2) ეპისტოლეები ანუ წერილები. ახალი აღთქმის წიგნთა შორის პირველად სწორედ ეპისტოლე (და არა სახარება) დაიწერა. ეს იყო პავლე მოციქულის ეპისტოლე გალატელთადმი (55 წ.), რომელიც არ ისახავდა მიზნად ქრისტეს მოძღვრების საგანგებოდ და სისტემატურად გადმოცემას, არამედ, როგორც კერძო ხასიათის წერილი, ეხებოდა კონკრეტული ეკლესიის გადაუდებელ პრობლემებს (**უფრო ვრცლად იხილე თავი ეპისტოლეები (გვ. ???).**

2) “გამოცხადება”, განსაკუთრებული ჟანრი, რომლის მსგავსი ბერძნულ-რომაულ ლიტერატურაში არ იპოვებოდა. მის ნიმუშად დავასახელებთ ძველ აღთქმაში შემავალ ჰეზრას, რომელიც ებრაულ წრეში წარმოიშვა, თუმცა იგი ებრაულ ენაზე არ შემორჩენილა (არსებობს მხოლოდ ლათინური, ქართული და სომხური თარგმანები).

სახარებები.

პირველ ყოვლისა, რას წარმოადგენს ტექსტი, რომლის სახელწოდებად ქართულ ენაზე „სახარება“ დამკვიდრდა?

ბერძნული ტერმინი *ევანგელიონ* (“კეთილი შეტყობინება, ამბავი”), რომელსაც ზედმიწევნითი სიზუსტით თარგმნის ქართული სიტყვა სახარება, თავდაპირველად, თავის გენეზისში, არ გულისხმობდა წერილობით ტექსტს, არამედ იგი ნიშნავდა ადამიანთა ხსნის ხარებას (ხარება თავისთავად კარგი, კეთილი ამბის შეტყობინება და, მაშასადამე, გახარებაა). ეს მნიშვნელობა დაცულია თავად ახალი აღთქმის ტექსტებში: „ხოლო გაუწყებთ თქვენ, ძმებო, რომ სახარება, რომელსაც ვახარებდი (ტო *ევანგელიონ* ტო *ევანგელისტონ*), არ არის ადამიანური“ (გალ. 1:11). ამრიგად, აქ სახარება არის არა წიგნი, არამედ ზეპირი შეტყობინება ყველაფერი იმისა, რაც ადამიანის ხსნასთან არის დაკავშირებული. ეს არის ახალი ამბავი, ახალი საიდუმლო, რომელიც ძველი აღთქმის ეპოქის დასასრულს ქრისტეს აღდგომამ მოიტანა. რას ნიშნავს მარკოზის სახარების (წიგნის) პირველი სიტყვები „დასაწყისი სახარებისა იესო ქრისტესი, ღვთის ძისა“ (მარკ. 1:1)? ცხადი უნდა იყოს, რომ აქ სახარება არ ნიშნავს ტექსტს, მოთხრობას, არამედ იესო ქრისტეს მისიის განცხადებას (გამოცხადებას), რაც აუცილებლობით არ მოითხოვდა მის ნარაციად, წიგნად ქცევას. ცნება *სახარება* მაშინ გახდა ლიტერატურული ჟანრი, როცა მას მასში ნაგულისხმევის შინაარსის – ხსნის გადმოცემა დაწერილ ტექსტს დაეკისრა. ამ ტექსტს ეწოდა *სახარება*. უკვე იუსტინე მარტვილი (ფილოსოფოსი, 100-165) ქრისტეს შესახებ მონათხრობს სახარებას უწოდებს: „რადგან მოციქულებმა მოგონებებში, რომელთაც სახარებებს (ევანგელიებს) უწოდებენ, გადმოგვცეს, რომ მათ ამგვარად ეანდერძათ: „იესომ აიღო პური, წარმოთქვა მადლობა და თქვა: ასე გააკეთეთ ჩემ მოსაგონებლად, ეს არის ჩემი სხეული...“ (აპოლოგია, I,66,3). თუმცა სახარების თავდაპირველი მნიშვნელობა განაგრძობს არსებობას, რისი დასტურიც არის სახარებათა ოფიციალური სახელწოდება „სახარება მათესაგან“, „სახარება მარკოზისაგან“ და ა.შ., და არა „მათეს სახარება“, „მარკოზის სახარება“ და ა.შ. სახარება ქრისტესია, რომელსაც ნარატიულ ფორმას აძლევენ მახარებლები (ევანგელისტები).

ამ გაგებით, სახარებას, როგორც ლიტერატურულ ტიპს, არა აქვს პარალელი ელინისტური ხანის ჟანრებს შორის, არც პლუტარქეს თუ დიოგენე ლაერტესის გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიებში, რომელთა მსგავსი უამრავი რაოდენობით იწერებოდა. პირველ რიგში, განსხვავება არსებითია ავტორის პოზიციისაში: „სახარებაში მარკოზისაგან“ ავტორი ვერ გამოიცნობა, არსად ის კომენტარს არ აკეთებს მოთხრობილი ფაქტების მიმართ, არ გამოთქვამს

საკუთარ აზრს, დამოკიდებულებას პლუტარქესგან და სხვათაგან განსხვავებით; არ ჩანს მისი პიროვნება, არც ქვეტექსტებში იგულისხმება; ის დაფარულია. მეორე უფრო არსებითი არის ის, რომ მთავარი „გმირის“, „პერსონაჟის“ – იესო ქრისტეს მოქმედებები და ქცევები არ არის გადმოცემული ბიოგრაფიულად. სახარების მიზანი არ არის თანამიმდევრული და უწყვეტი აღწერა ნაზარეთელი იესოს ცხოვრებისა ან მისი ხასიათის წარმოდგენა. ყურადღების ცენტრშია იესოს ამოცანა, როგორც ღვთისგან მოვლინებულისა ღვთის ძისა, მისი მიზანი, რომელიც გამოვლინდა მის ქმედებაში, ქადაგებაში, ვნებაში და აღდგომაში. ამბები, რომლებიც სახარებებშია გადმოცემული, სწორედ ამ უპირატესი კუთხით არის მოთხრობილი; ყოველი ფაქტი, ყოველი მონათხრობი ემსახურება იმ მოძღვრების გახსნას, რომელიც ქრისტემ თავისი ქადაგებების, გამონათქვამების (*ლოგიების*, ბერძნ. *logia*), იგავების და, რაც მთავარია, თავისი პიროვნების სახით მოიტანა. მახარებელი ლუკა სწორედ ამ მიზნით შეუდგა წერას, როგორც ის მიმართავს თეოფილეს: „რათა შეიცნო იმ მოძღვრების სიმტკიცე, რომელშიც განისწავლე“ (ლუკ. 1:4). ქრისტე თავისი სიტყვით და საქმით ააშკარაებს თავის პიროვნებას, რომელიც თავის თავში მოძღვრებას ინახავს.

თუ ვილაპარაკებთ სახარებაზე, როგორც ჟანრზე, უნდა ითქვას, რომ მასში არის ბიოგრაფიული ელემენტი (ამ მხრივ, იგი ბერძნული ბიოგრაფიის ჟანრს ენათესავება), ოღონდ მხოლოდ იმ ფაქტების გადმოცემის თვალსაზრისით, რომლებიც მოძღვრების ნათელყოფას ემსახურება. თხრობა განზავებულია ბერძნული სიტყვებით, შეგონებებით და იგავური თქმებით, რაც ძველი აღმოსავლეთის ლიტერატურული ჟანრის კუთვნილებაა (ის უშუალოდ მწერლობიდან იღებს დასაბამს). ესენია იესოს გამონათქვამები (*ლოგიები*), – ქადაგებები, იგავები, რომლებიც იესოს საქმეთა – სასწაულქმედებათა და კურნებათა გვერდით მისი პიროვნების, მისი მისიისა და მოძღვრების განმარტებას ემსახურება.

თუ პლუტარქეს ან სხვათა ბიოგრაფიები ადამიანთა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ან პიროვნებათა დვაწლის არდასაღიწევლად არის დაწერილი, სახარებებათა ავტორებს სრულიად განსხვავებული ამოცანა აქვთ დასახული, სახელდობრ, როგორც იოანე მახარებელი წერს: „ეს კი დაიწერა, რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღვთისა, და რათა მორწმუნეებს გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით“ (იოან. 21:31). ამრიგად, სახარება უფრო მოწოდებად უნდა ჩავთვალოთ, ვიდრე ნარატიულ ჟანრად.

სახარება რწმენის წიგნია, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ იგი არის ამავე დროს ისტორიული მოწმობა იესო ქრისტეზე, ნაზარეველზე, რომელიც იშვა ბეთლემში იმპერატორ ავგუსტუსის და იუდას მეფის ჰეროდეს დროს, და ჯვარს აცვეს პონტოელი პილატეს პრეფექტობისას. ამ მიზნით მოხვდა მრწამსის სიმბოლოში პილატეს სახელი (“და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატეს-ზე”). ამით ნათქვამია, რომ იესო ქრისტე, ნაზარეველი, არსებობდა არა მითითურ, არამედ კონკრეტულ ისტორიულ დროში.

რამდენადაც სახარება (და სახარებები) ქრისტეს მოძღვრებას ანუ მის

სიტყვას შეიცავს, ხოლო ქრისტე თავად არის მოძღვრება, თავად ეს სიტყვა – სიტყვა, ბერძნული *ლოგოს* ქრისტეს სახელად დამკვიდრდა ქრისტიანულ თეოლოგიაში. “პირველთგან იყო სიტყვა (*ჰო ლოგოს*) და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა” (იოან. 1:1).

მახარებლები და სახარებები

მახარებელი (ბერძნ. *ეუანგელისტეს*) ზოგადად ეწოდება იმ პირს, რომელიც ახარებს ადამიანებს ქრისტეს მცნებას, ახალ აღთქმას და, საბოლოოდ, ღვთის სასუფეველს, რომელიც მოვალს, თუმცა უკვე დამდგარია. ვიწრო აზრით კი, მახარებლები არიან ისინი, ის ოთხი პირი, რომელთაც მიეწერებათ წიგნი, სადაც გადმოცემულია ხარება (*ეუანგელიონ* „კეთილი ამბავი“). ამრიგად, *ხარება* ერთია, მაგრამ ის ოთხი პირის მიერ არის გადმოცემული. ამიტომაც, უნდა ითქვას არა მათეს სახარება, მარკოზის სახარება (როგორც ჩვეულებრივ ვამბობთ), არამედ: სახარება მათესაგან, სახარება მარკოზისაგან... როგორც ვიცით, ხარება ქრისტეს ხანაში ზეპირად ვრცელდებოდა და ეს სიტყვა მხოლოდ II საუკუნიდან ხდება წიგნის აღმნიშვნელი. ქართულ ენაზე წიგნის აღმნიშვნელად თავიდანვე შემოვიდა სიტყვა **სა-ხარება-ა** ანუ დაწერილი ტექსტი, რომელიც **ხარებას** შეიცავს.

მახარებლები სხვებიც იყვნენ და მათგან გადმოცემული, აპოკრიფულად წოდებული სახარებები შემორჩენილია, მაგრამ ეკლესიამ ოთხი შეარჩია, რომელთაც წარუვალი კანონიკური ძალა აქვთ. ოთხი მახარებლიდან მხოლოდ ორია ქრისტეს მოციქული – მათე და იოანე, დანარჩენი ორი – მარკოზი და ლუკა არც მოციქულები და არც მოწაფენი ყოფილან ქრისტესი, არც იცნობდნენ მას. რატომ არ გახდნენ მახარებლები ის მოციქულები, რომლებიც სხვებზე მეტად იყვნენ დაახლოებულნი იესოსთან, სახელდობრ, პეტრე და იაკობი (ისინი, ვინც იოანესთან ერთად დაასწრო მან თავის ფერისცვალებას თაბორის მთაზე და უკანასკნელ ლოცვას გეთსიმანიაში) – სამუდამო საიდუმლოდ რჩება.

მახარებელი მათე და სახარება მისგან

ლევითი ძე აღფესი, წარმოშობით გალილეელი, იესოს თვისტომი, რომელმაც იგი კაპერნაუმელ მებაჟეთა შორის გამოარჩია, რითაც ფარისეველთა გულისწყრომა დაიმსახურა. ზოგიერთი მოციქულის მსგავსად იგი, ებრაული წესისამებრ ორ სახელს ატარებდა: ლევით-მათე. პირველი სახელი შობითგანვე ეწოდა, მეორე თავად იესომ შეარქვა: ებრ. *მათთი-აჰუ* „ჯილდო უფლისა“. მათე მხოლოდ ხუთგზის არის ნახსენები ახალ აღთქმაში. პირველად, როცა იესომ მოუწოდა მას (მათ. 9:9; პარალელური ადგილი მარკ. 2:14), მერე მოციქულთა სიაში (ლუკ. 6:15; მარკ. 3:18; მათ. 10:3; საქმე, 1:13). მათე ნაკლები აქტიურობით გამოირჩევა მოციქულთაგან, მაგრამ მან თავისი აქტივობა სახარების წერით გამოხატა.

საეკლესიო მწერლები პაპიასი, ირინეუსი, ორიგენი, ევსებიოსი, იერონიმუსი ერთხმად აღიარებენ, რომ მათემ თავისი სახარება ებრაელთათვის დაწერა. და

მართლაც, ამას თავად ტექსტი მოწმობს, სადაც არ არის განმარტებული ებრაული წეს-ჩვეულებანი და რეალიები, განსხვავებით სხვა მახარებელთაგან, რომლებიც ლათინთა და ბერძენთათვის წერდნენ. მათე ქრისტეს იმ საუბრებს გადმოსცემს, რომლებიც შეიძლება მხოლოდ ებრაელთათვის ყოფილიყო საინტერესო, სახელდობრ, რომ რჯული კი არ უქმდება, არამედ აღსრულდება (5:17). იგი უფრო ძლიერად, ვიდრე სხვა მახარებლები, გახაზავს რჯულის ყალბ თარგმანებას (განმარტებას) ფარისეველთა და მწიგნობართა მხრიდან, ამხილებს მათ პირფერობას და მზაკვრობას, რაც მხოლოდ ებრაელი მკითხველისა თუ მსმენელისთვის იქნებოდა საგულისხმო და აქტუალური.

მათეს სახარების ორიენტაციას ქრისტეს გენეალოგიაც მოწმობს, რომელიც აბრაამით იწყება, აბრაამი კი, როგორც „რწმენის მამა“ ებრაელთა უდიდესი ავტორიტეტია. იესო მოდის აბრაამიდან დავითის ხაზით, ხოლო დავითი მესიანისტური ფიგურაა, როგორც ისრაელის ერთიანი სამეფოს მეფე, რომელიც კვლავ გააერთიანებს გახლეჩილ ისრაელს (იხ. ეზეკიელის წიგნი, თ. 34). თუმცა ყველა მახარებელი ახსენებს იესოს დავითისგან წარმომავლობას, მაგრამ მათე გასაკუთრებით გახაზავს ამ მომენტს (იხ. 9:27; 12:23; 15:22; 21:9; 21:15). იესო ყველას აზრით დავითის სამეფო სახლის კანონიერ მემკვიდრეა.

ეს და სხვა გარემოებები მიმზიდველს ხდიდა ებრაელი მკითხველისთვის ამ სახარებას.

ახარებელი მარკოზი და სახარება მარკოზისაგან

ის პიროვნებაა, რომელიც მრავალგზის არის ნახსენები ხან როგორც იოანე-მარკოზი (საქმე 12:12, 25; 15:37), ხან როგორც იოანე (საქმე 13:5, 13), ხან როგორც მარკოზი (საქმე 15:39), ასევე ნახსენებია პავლესა (კოლ., 4:10; II ტიმ., IV:11; ფილ., 24) და პეტრეს მიერ (I პეტ., 5:13). პეტრე მას შვილს უწოდებს (I პეტ. 5:13); მისი დედა მარიამი მოციქულის მეგობარი და თავდაპირველი ეკლესიის გამომჩენილი წევრი იყო იყო იერუსალიმში (საქმე, 21:12); სწორედ მის სახლში შეაფარა თავი საპატრიარქოდან გათავისუფლებულმა პეტრემ (საქმე, 12:12-13). პეტრესთან სიახლოვის მიუხედავად, მარკოზი მსახურად პავლეს ჰყავდა წაყვანილი ანტიოქიიდან თავის სამოციქულო გზაზე. ძნელია იმის გარკვევა, თუ ზუსტად რა იგულისხმება ბერძნულ სიტყვაში *ჰუპერეტეს* (მსახური), მაგრამ აღნიშნულია, რომ მარკოზი პავლეს და თავის ბიძაშვილს ბარნაბას, რომლებიც სულიწმიდის მიერ იყვნენ არჩეულნი საქადაგებლად, სწორედ ქადაგებისას ემსახურებოდა მათ (საქმე, 13:5); მაგრამ მალევე დაშორდა მათ და იერუსალიმში დაბრუნდა, თითქოს მოერიდა ტვირთს, რომელიც პავლეს და ბარნაბას ჰქონდათ ნაკისრი (საქმე, 13:13). ეს იყო იმის მიზეზი, რომ პავლემ აღარ გაიყოლა მარკოზი თავის მეორე მგზავრობისას, რის გამოც ბარნაბასთანაც მოუხდა მას განშორება, რომელმაც მარკოზი თავად წაიყოლა კვიპროსში (საქმე 15:37-40). ეს მოხდა 49-50 წლებში. ამის

შემდეგ მარკოზის ხსენება აღარ არის მოციქულთა საქმეებში. თუმცა ათი წლის შემდეგ მას კვლავ პავლესთან ვხვდებით რომში (კოლ. 4:10) და პავლე კვლავ თავის თანამშრომლად თვლის მას (ფილიმ., 24). თუ ამ დროს, როცა პავლე სატუსალოში ელოდა სასჯელს, მარკოზი რომში იმყოფებოდა, იგი მომსწრე უნდა ყოფილიყო პავლეს მარტვილობისა. ამ დროისთვის მისი, როგორც მოციქულთა თანამდგომის სახელი, საყოველთაოდ ცნობილი უნდა ყოფილიყო ეკლესიებში, როგორც ეს პეტრეს კათოლიკე ეპისტოლედან ჩანს, რომელსაც ყველა ეკლესიას მიუწერს: „მოკითხვას გითვლიან ბაბილონში [ანუ რომში] თანაარჩეული ეკლესია და მარკოზი, ჩემი ძე“ (1პეტ., 5:13).

გავრცელებული, მაგრამ მოგვიანო ცნობით, მარკოზი ალექსანდრიის ეკლესიის დამფუძნებელი და მისი პირველი ეპისკოპოსია (ევსებოსი. საეკლესიო ისტორია, II, XVI, XXI; იერონიმუსი „გამოჩენილ ადამიანთა შესახებ“, VIII), თუმცა ალექსანდრიელი მოღვაწენი (კლიმენტი, ორიგენი) დუძან ამის თაობაზე ასევე მოგვიანო (IV ს.) გადმოცემის თანახმად, მარკოზი ალექსანდრიის ქუჩებში თრევისას მოწამებორივად აღესრულა.

მარკოზი თავის სახარებას, მათესა და ლუკას სახარებათაგან განსხვავებით, იწყებს არა შობით ქრისტესი, არამედ მისი ნათლისღებით, რომელიც არის დასაბამი მისი ამქვეყნიური მოღვაწეობისა.

მარკოზი მახარებელი აშკარად ორიენტირებულია იუდეურ აუდიტორიაზე, შესაძლებელია, მას რომი ჰქონდეს მხედველობაში. სახარებაში თარგმნილია არამეული და ებრაული სიტყვები, როგორც არია: „ტალითა კუმი“ (5:41, „აბბა“ (14:36), ქრისტეს ულანასკნელი სიტყვები ჯვარზე: „ელოი, ელოი, ლამა საბაქთან“ (15:34) და სხვა.

მარკოზი ყურადღებას ამახვილებს არა იმდენად იმაზე, თუ რას ლაპარაკობს იესო, არამედ მის მოქმდებაზე...

არც ერთი სახარება არ გადმოსცემს ისე მკვეთრად იესოს ადამიანურ ბუნებას, როგორც მარკოზი. სახარებაში იგი გამოხატავს ადამიანურ ემოციებს, მწუხარებას, მრისხანებას და განცვიფრებას; მას ერევა ძილი დაღლილობისგან (4:32); იგი თუმცა ღვთის ძეა, მან არ იცის მეორედ მოსვლის ჟამი (13:32).

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მარკოზს იგი ჩვეულებრივ ადამიანად მოაჩნია. მთელს სახარება ლეიტმოტივად გასდევს იესოს ღვთისშვილობა. არა მხოლოდ მახარებელი იხსენიებს მას ღვთის ძედ, არამედ ისინიც, ვისაც შეხება აქვს იესოსთან: ეშმაკეულები (3:1; 5:7), ათისთავი (15:39)...

ლუკა მახარებელი და სახარება ლუკასაგან

იყო პავლეს მოწაფე, ექიმი, ნაწარმართალი ქრისტიანი, ბერძენი... პირველად ტროაში ვხვდებით მას, საიდანაც აემგზავრა პავლეს (საქმე, 16:8) და სიცოცხლის ბოლოსაც მასთან იყო: „მარტო ლუკადა არის ჩემთან“, წერს იგი ტიმოთეს (2ტიმ 4:11), უკვე გამზადებული სამარტვილოდ.

ლუკა, როგორც სახარებისა და “მოციქულთა საქმის” ავტორი, სეპტუაგინტასა და ებრაელთა საქმეების დიდ ცოდნას ავლენს, რაც მას უნდა შეეთვისებინა გააქრისტიანების შემდეგ ქრისტეს მოწაფეებთან და

მოციქულებთან ურთიერთობისას. ბერძნულის გარდა, მას არამეულიც უნდა სცოდნოდა, რაკი წარმოშობით ანტიოქიიდან იყო, თუმცა საექიმო განათლება ტარსუსში, პავლეს მშობლიურ ქალაქში, ჰქონდა მიღებული. პავლე მას „საყვარელ მკურნალად“ იხსენიებს (კოლ 4:14).

ლუკა ახალი აღთქმის ავტორთა შორის ყველაზე ნაყოფიერია: მისი სახარება პავლეს თოთხმეტ ეპისტოლეზე დიდია მოცულობით, ხოლო „საქმენი“ შვიდ კათოლიკე ეპისტოლესა და „გამოცხადებას“ აღემატება. მისი სახარების სტილი (ბერძნული) მხოლოდ ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს თუ ჩამოუვარდება. ლუკა თავის სახარებაში, განსხვავებით დანარჩენ მახარებელთაგან, უყურადღებოდ არ სტოვებს იოანე ნათლისმცემლის შობის ამბავს, რომელსაც იგი, შეიძლება ითქვას, კონტრასტულად, მაცხოვრის შობასთან აკავშირებს. იოანე ნათლისმცემელი და წინამორბედი, როგორც ძველი აღთქმის უკანასკნელი წინასწარმეტყველი, ძველი აღთქმის რჩეულ ადამიანთა შობის წესით ბერწი თუ მოხუცებული დედისგან (როგორც ისაკი სარასგან, იოსები რახელისგან) იბადება. მის საპირისპიროდ, იესო, რომელიც ძველი რჯულის დასასრულებლად მოვიდა, ქალწულისგან იშვა, რითაც ესაიას საკვირველი წინასწარმეტყველება (7:14) აღსრულდა.

ლუკას სახარება იმ მიზნით არის დაწერილი, რომ ქრისტიანობას აზიაროს განათლებული ბერძენი მკითხველი, როგორც უნდა ყოფილიყო თეოფილე, სახარების ადრესატი (1:1-4). ჩანს, სახარება არაიუდეველი აუდიტორისთვის არის გამიზნული, ამიტომაც მასში მცირეა დამოწმებები ძველი აღთქმიდან, რომელიც მათთვის უცნაური და ნაკლებად ცნობილი იყო.

ლუკა გახაზავს იესოს მისიის უნივერსალობას. თუ მათეს სახარებაში იესო გენელოგიის თავში აბრაამია, ლუკას სახარება მის წინაპრად ადამს ასახელებს, რაც ირიბად იმის მიმანიშნებელია, რომ ქრისტე არა მხოლოდ ებრაელთა, არამედ ადამის მოდგმის, მთელი კაცობრიობის, გამოსახსნელად იშვა.

იმ მიზნისთვის, რისთვისაც ეს სახარება დაიწერა, სავსებით ადექვატურია მისი ავტორის დახვეწილი ბერძნული, რაც მას დანარჩენი მახარებლებისგან გამოარჩევს.

სინოპტიკური სახარებები

პირველი სამი სახარება (მათესაგან, მარკოზისაგან და ლუკასაგან) დიდ მსგავსებას იჩენენ ერთმანეთთან კომპოზიციაში, აღწერის თანამიმდევრობაში, პასაჟების სიტყვიერ აგებულებაში, საერთო მიმართულებაში, ფაქტების ერთნაირ ხედვაში. ამის გამო დაერქვათ მათ სინოპტიკური, რაც ნიშნავს “ერთნაირად მხედველთ”, “თანამხედველთ” (ბერძნ. *სინ-ოპტეო* „თანავხედავ“). ამ და კიდევ სხვა ნიშნებით ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან მეოთხე სახარებისგან, რომლის ავტორს იოანეს „ლოგოსის მოციქულად“ მოიხსენიებენ. შედარებითმა ანალიზმმა ცხადყო, რომ ეს სამი სახარება ერთმანეთით არიან განპირობებული და ერთმანეთზე დამოკიდებულნი. ეს სიახლოვე აშკარა გახდა მას შემდეგ, რაც XVIII საუკუნეში ისინი გამოსცეს ე. წ. სინოპსისის სახით

ანუ პარალელურ სვეტებად (ამგვარი სინოპსისი დღესაც იბეჭდება დამთხვევათა თვალსაჩინოების მიზნით).

მათგან განსხვავდება მეოთხე სახარება, რომლის ავტორი მოციქულთაგან უმრწემესი იოანეა, მაცხოვრის საყვარელი მოწაფე.

იოანე მახარებელი და სახარება იოანესაგან

იოანე, ძე ზებედესი, რომელიც ქრისტეს დამოწაფებამდე იოანე ნათლისმცემლის მოწაფე იყო; თავისი მგზნებარების გამო ქრისტემ მას „ქუხილის ძე“ შეარქვა. სახარებაში იგი თავის თავს სახელის მოუხსენიებლად „საყვარელ მოწაფედ“ ან „სხვა მოწაფედ“ (იოან. 18:15,16; 20:2,3,4,8) იხსენიებს, რაც მეოთხე სახარების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს. იგი სხვა ორთან (პეტრესთან და იაკობთან) ერთად ახლდა იესოს თაბორის მთაზე და გეთსიმანიაში აგონიური ლოცვისას. იგი იყო ერთადერთი მოწაფე და მოციქული, რომელიც იესოს სულის ამოხდომამდე იმყოფებოდა ჯვართან; იესომ მას დაავალა დედაზე, მარიამზე, ზრუნვა. ამ დროს იოანე ოცი წლისა თუ იქნებოდა (იოან. 19:25-27).

პირველი მუხლებიდანვე თვალში ეცემა მკითხველს იოანეს სახარების განსხვავება დანარჩენი სახარებებისგან: „პირველითგან იყო სიტყვა...“ ეს არის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი. არც ერთი სხვა მახარებელი ქრისტეს არ იხსენიებს როგორც *სიტყვას* (ბერძნ. *ლოგოს*), რომელიც კარგად არის ცნობილი ანტიკური ფილოსოფიიდან (მას გნოსტიკოსებიც იყენებდნენ), როგორც სამყაროს, მთელი ყოფიერების შინაგანი საზრისის გამომხატველი სიტყვა-ცნება. ამ მიზეზით, ზოგიერთნი ფიქრობენ, რომ მეოთხე სახარება ბერძნის დაწერილია. მაგრამ ლოგოსის, შემოქმედებითი სიტყვის, ცნება არც იუდაური აზროვნებისთვის და თეოლოგიისთვის არის უცხო, როგორც ღვთის გამოცხადების ფორმა (მისი ძირები უფრო შორს, საუკუნეთა სიღრმისკენ მიდის: დასაბამს, შესაძლოა, შემერულ საღვთო ჰიმნოგრაფიაში იღებდეს). იოანე ზებედეს ძეს თავისუფლად შეეძლო გამოეყენებინა ეს სიტყვა ქრისტეს მიმართ. სინოპტიკოსებისგან განსხვავებით, ქრისტეს ლოგოსად წარმოსახვით ერთგვარად გადებულია ხიდი იუდაურ ღვთისშემეცნებასა და ბერძნულ ფილოსოფიას შორის, რამაც მოგვიანებით განვითარება ჰპოვა წმიდა მამათა მოძღვრებაში. გავრცელებულია აზრი, რომ იოანესთან უფრო ხაზგასმულია მისი ღვთიური წარმოშობა, ყურადღება თითქოს მხოლოდ მის ღვთის ძეობაზეა გამახვილებული, მაგრამ ეს მთლად ასე არ უნდა იყოს. იოანეს სახარება ერთადერთია, სადაც იესო ტირის (11:35). მაგრამ ამავე დროს, ის ერთადერთია, სადაც ხორციელი შობის ნაცვლად, რითაც სინოპტიკოსები იწყებენ თავიანთ ტექსტს, იოანე მისი მოძღვრებით იწყებს: „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი. ის იყო თავდაპირველად ღმერთთან. ყოველივე მის მიერ შეიქმნა და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა. მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი. ნათელი ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიცვა იგი... იყო სოფელში და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმას ვერ იცნო იგი. თავისიანებთან

მოვიდა და თავისიანებმა არ მიიღეს იგი...“ (იოან. 1:1-11). ასე შემაჯამებლად არც ერთი მახარებელი არ ლაპარაკობს.

იოანეს მოთხრობილი აქვს მნიშვნელოვანი ამბები, რომლებიც არ იპოვება სხვა სახარებებში: პირველი სასწაული კანაში (2:1-11), ქრისტეს საუბარი ნიკოდემოსთან (2:13-25), საუბარი სამარიელ დედაკაცთან (4:4-42), ლაზარეს აღდგინება (11).

იოანეს მიეწერება ასევე „გამოცხადება“ და სამი კათოლიკე ეპისტოლე. ნაწერები მოწმობს მის განსწავლულობას ელინისტური ხანის ბერძნულში.

ლოგოსის სახარება გამოირჩევა იგავების სიმცირით (სულ შვიდი იგავი 41 იგავიდან).

საინტერესოა, რომ ეგვიპტეში აღმოჩენილ რომაელ ჯარისკაცს ნივთებს შორის არის პაპირუსი იოანეს სახარების ტექსტით (დაახლ. 120-125 წწ.), რომელიც 30-35 წლით შორავს დაწერის თარიღს (90 წ.).

ირინეოს ლიონელი სახარებების შესახებ

„მას შემდეგ, რაც უფალი ჩვენი აღდგა მკვდრეთით, მოციქულები მოიცვა ზეგარდამო გადმოსულმა სულიწმიდის ძალამ, აღივსნენ მისი ყოველი ნიჭით და მიიღეს სრულყოფილი ცოდნა, გავიდნენ ქვეყნის ოთხივე კუთხისკენ, რათა ეხარებინათ ღვთისგან მონიჭებული სიკეთეები, ემცნოთ ციური მშვიდობა აღამიანებისთვის, რომელთაც ყველას ერთად და ცალ-ცალკე აქვთ ღვთის სახარება. ასე, მათემ მისცა სახარება ებრაელებს მათ საკუთარ ენაზე მაშინ, როცა პეტრე და პავლე ქადაგებდნენ რომში და იქ აარსებდნენ ეკლესიას; მათი სოფლიდან განსვლის შემდეგ მარკოზმა, პეტრეს მოწაფემ და თარჯიმანმა, წერილობით გადმოგვცა პეტრეს ნაქადაგები. ხოლო ლუკამ, პავლეს თანამგზავრმა, გადმოსცა წიგნში მისი ნაქადაგები სახარება. მერე იოანემაც, უფლის მოწაფემ, მის მკერდს მიყრდნობილმა, გამოაქვეყნა სახარება აზიის ეფესოში ყოფნისას“ (ირინეოს ლიონელი, III, I, 1).

ეპისტოლეები

ახალი აღთქმის წიგნთა შორის პირველი, რაც დაიწერა, იყო არა სახარება ან მოციქულთა საქმენი, არამედ ეპისტოლეები – 1 და 2 თესალონიკელთა მიმართ (დაიწერა 51-52 წწ.). ეპისტოლური ჟანრი საკმაოდ გავრცელებული იყო ელინისტურ სამყაროში და დღემდე მისი მრავალი ნიმუშია შემორჩენილი. თუ შევადარებთ ერთმანეთს, ახალი აღთქმის ეპისტოლეები თავისი სტრუქტურით არსებითად არ განსხვავდება ბერძნულ-რომაული ტიპის ეპისტოლეთაგან. ბერძნულ-რომაული ეპისტოლეები იწყება წერილის ავტორის დასახელებით, მას მოსდევს ადრესატის სახელი, მერე მოკითხვა-მისაღმება, დასასრულ – სურვილები. ახალ აღთქმაში იპოვება ბერძნული წერილის ნიმუში: „კლავდიოს ლუსია უადმატებულეს განმგებელ ფელიქსს: იხარებდე (xairain)“, წერილი მთავრდება სურვილით: „იცოცხლე“ (საქმე, 23:26; 23:30); ამგვარივე ტიპის არის რომაული წერილი: „პლინიუსი არიანუსს: საღამს (salutem) [ეტყვის]“, წერილი მთავრდება სურვილით: „ჯანმრთელად იყავი“. ახლა ვნახოთ, როგორ მიუწერს პავლე მოციქული:

„პავლე, იესო ქრისტეს მოწოდებული მოციქული ღვთის ნებით, და ძმა სოსთენი, ღვთის ეკლესიას, რომელიც კორინთოშია, ქრისტე იესოში წმიდებად გამხდართ, მოწოდებულ წმიდებს... მადლი თქვენ და მშვიდობა ჩვენი მამა ღვთისა და უფალ იესო ქრისტესაგან“, წერილი მთავრდება: „ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი თქვენთან, და ჩემი სიყვარული ყველა თქვენგანის მიმართ ქრისტე იესოში. ამინ.“ (1კორ. 1:1-3; 16:23-24).

როგორც ვხედავთ, სქემა ბერძენ-რომაელთა და პავლეს წერილისა ერთი და იგივეა. მაგრამ განსხვავება მაინც მნიშვნელოვანია: რომელი თავისი სახელით იწერება წერილს, პავლე – ქრისტეს სახელით: ქრისტე იესოს მადლით იწყებს და ქრისტე იესოს მადლით ამთავრებს. ასე იქცევა მოციქული, რადგან იგი თავისას კი არ წერს, არამედ ქრისტეს მოძღვრებას. „მადლთან“ (ბერძნ. *xaris*), რომელიც პავლე მოციქულის და, მის მერე ქრისტიანული თეოლოგიის მნიშვნელოვანი ცნებაა, დაწვეილებულია სიტყვა-ცნება „მშვიდობა“, რომელიც ასევე ძველი აღთქმიდან მკვიდრდება ქრისტიანულ ენაში, თუმცა ებრაულ *შალომს* უფრო მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე ბერძნულ *eirene*-ს (თუ რა საზრისი აქვს „ქრისტეს მშვიდობას“ ან „მშვიდობის ღმერთს“, ეს უფრო ებრაული *შალომის* სიღრმისეული სემანტიკით უნდა აიხსნას). ეპისტოლის დასასრულებისას მოკითხვას ხშირად „წმიდა ამბორიც“ ახლავს (მაგ., 2კორ. 13:12), რაც სრულიად წარმოუდგენელია ბერძნულ-რომაული წერილებისთვის.

მოციქულთა ეპისტოლეები ორი ტიპისაა: ერთნია კათოლიკე ანუ საყოველთაო ეპისტოლეები, რომელთაც მოციქულები იაკობი, პეტრე, იოანე და იუდა იწერებიან, მეორენი ის ეპისტოლეები, რომლებსაც პავლე უგზავნის ცალკეულ პირებს ან კონკრეტულ ეკლესიებს. ეს განსხვავება მათ სახელწოდებებშიც არის ასახული: კათოლიკე ეპისტოლეები, რომლებიც მოციქულთა ხელიდან არის გამოსული, მიემართება არა რომელიმე კონკრეტულ ეკლესიას, არამედ ყველა ეკლესიას, ამიტომაც წოდებულნი არიან ისინი როგორც *კათოლიკე* ანუ საყოველთაო გავრცელების ეპისტოლეები.

შენიშვნა. ახალი აღთქმის ქართულ ვერსიებში ბერძნული სიტყვა *კათოლიკე* (მომდინარეობს: *კათ'ოლონ*) უთარგმნელად არის დატოვებული (რუსულად: *соборное послание*).

მათ შინაარსობრივ მხარეში ჩაუღრმავებლად (ეს ჩვენი „შესავლის“ ამოცანა არ არის) აღვნიშნავთ, რომ ორივე სახის ეპისტოლეებში წამოჭრილი პრობლემები მაინც ყველა ეკლესიას ეხება და, აქედან გამომდინარე, ეკლესიას, როგორც მთლიანს, უნივერსალურ ეკლესიას, როგორც სამი საუკუნის შემდეგ ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსში ასე განისაზღვრა: „ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“. ამ მხრივ, კათოლიკე (საყოველთაო, უნივერსალური) და სამოციქულო ერთმანეთს განაპირობებს: კათოლიკე ეკლესია დაფუძნდა სამოციქულო მოძღვრებაზე, რომელიც ამ ეპისტოლეებში იქნა პირველად გადმოცემული. ტიპურია ამ მხრივ იაკობ მოციქულის კათოლიკე ეპისტოლის მიმართვა: „ღვთისა და უფლის იესო ქრისტეს მონა იაკობი განთესილობაში მყოფ თორმეტ ტომს, გიხაროდეთ“. ტრადიციული თორმეტი ტომი, რომელთაგან I საუკუნეში მხოლოდ იუდასა და ბენიამინის

ტომები იყო შემორჩენილი, შეადგენს მთელს ეკლესიას, ძველი აღთქმის ეკლესიის (ებრ. *კაჰალ*, *ყელაჰ*, ბერძნ. *სინაგოგე*) ფიგურატივულ სახეს. ასევე პეტრე მოციქულის ეპისტოლის ადრესატია მთელი ეკლესია, სადაც კი არ უნდა მყოფობდეს იგი სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესიების სახით: „პეტრე, იესო ქრისტეს მოციქული, ხიზნებს, განთესილთ პონტოში, გალატიაში, კაბადოკიაში, აზიასა და ბითვინიაში...“ სწორედ ესენი მოიცავდნენ მთელს (*კათ'ოლონ*) ეკლესიას. ჩამოვთვალოთ კათოლიკე ეპისტოლენი, რომლებიც ახალი აღთქმის გამოცემებში ან „გამოცხადებას“ მოსდევს ან პავლეს ეპისტოლეებს ან მოციქულთა საქმეებს: იაკობის ეპისტოლე, პეტრეს 1 დ 2 ეპისტოლეები, იოანეს 1, 2 და 3 ეპისტოლეები, იუდას ეპისტოლე. იაკობი უფლის ძმამ, რომელიც იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსი იყო, ამიტომაც მისი ეპისტოლე ეპისტოლეთა თავშია მოქცეული.

მოციქულ პავლეს 14 ეპისტოლე ეკუთვნის, რომლებიც 11 ადრესატისადგია მიმართული; ადრესატები ან ადგილობრივი ეკლესიებია (რომის, კორინთოს, გალატიის, ეფესოს, კოლასის, თესალონიკის) ან კერძო პირებია, მოციქულის მეგობრები და თანამდგომნი (ტიმოთე, ტიტე, ფილიმონი). ბოლო ეპისტოლე ებრაელთადმი თავისებურია (მის შესახებ ქვემოთ).

რა ხასიათის არის პავლეს ეპისტოლეები? მათ ხასიათს მათი ადრესატი განსაზღვრავს: ადრესატი და მსმენელი მისი სიტყვისა არის არა ზეპიროვნული საზოგადოება, როგორც არის *ერთი* კათოლიკე ეკლესია, არამედ კერძო ეკლესიები და ადამიანები თავიანთი კონკრეტული საჭირობოროტო საკითხებით. თითოეულ მათგანთან პავლეს აქვს პირადი (პიროვნული) დამოკიდებულება და ურთერთობანი. აი, როგორ მიმართავს ფილიმონს პავლე: „პავლე, ქრისტე იესოს პატიმარი, და ძმა ტიმოთე, ფილომონს – ჩვენს საყვარელს და თანამშრომელს, და აპფიას, საყვარელ დას, და არქიპოსს, ჩვენს თანამებრძოლს, და შენს საშინაო ეკლესიას“ (ფილ. 1:1). აქ იგრძნობა, რომ დასახელებული პირები ერთმანეთის ახლობელნი და პავლეს მეგობრები არიან; ისინი საშინაო ეკლესიის მრევლია. აქ ყველაფერი კონკრეტულ-დოკუმენტურია დაწყებული იმის აღნიშვნით თუ შესხენებით, რომ ონისიმე, რომელსაც შეიღს უწოდებს, მან ბორკილებში შვა ანუ პატიმრობისას მონათლა (1:10); აი, ამ ონისიმეს შუამდგომლობს იგი ფილომონის წინაშე, რომ მიიღონ როგორც დვიძლი და თავისიანი, როგორც თავად პავლეს მიიღებდნენ („მიიღე იგი, როგორც ჩემი გული“, „მიიღე ის, ვითომც მე ვიყო“). ამავე დროს, პავლე უმხელს მათ თავისი მომავალი სტუმრობის თაობაზე („გამიმზადე ბინაც, რადგან ვიმედოვნებ, რომ თქვენი ღოცვით მოგეცემით თქვენ“, 1:22).

ეპისტოლეში, როგორც, მაგალითად, 1კორ 7:1-დან ჩანს, რომ მათ შორის არსებობს მიწერ-მოწერა და ეს ეპისტოლე ამ მიწერ-მოწერის ნაწილია. მართალია, ეპისტოლის მიწერის საბაბი ხშირად კონკრეტული საჭირობოროტო ან საჭოჭმანო საკითხებია, მაგრამ ეპისტოლე ბუნებრივად გადაიზრდება ფუნდამენტური თეოლოგიური პრობლემის განხილვაში, რითაც ის კათოლიკეობას იძენს ანუ საყოველთაო ხდება, გასცდება რა ადგილობრივი ეკლესიის საზღვრებს. ერთი ეკლესიის გასაჭირი ან ცდომილებანი და

დაბრკოლებანი რწმენაში საყოველთაო ეკლესიის პრობლემა ხდება. მათ თანდათან შეიძინეს უნივერსალური ხასიათი, როცა სხვადასხვა ადგილობრივმა ეკლესიებმა დაინახეს, რომ ეპისტოლეებში პავლე ბევრს ისეთ რამეს წერს, რაც ქრისტეს მოვლინების უდრემს საიდუმლოებებთანაა დაკავშირებული. მაგალითისთვის, პავლე გაფანტავს თესალონიკელთა ეჭვებს მკვდრეთით აღდგომის გამო: „რადგან თუ გეწამს, რომ იესო მოკვდა და აღდგა, მაშინ ღმერთი იესოში განსვენებულებსაც მოიყვანს მასთან ერთად“ (1თეს. 4:14), ასევე, უფრო მკვეთრად და დამარწმუნებლად, ორიგინალურად დასმული კითხვით კორინთელთადმი ეპისტოლეში: „ხოლო თუ ქრისტეზე იქადაგება, რომ ის აღდგა მკვდრეთით, როგორღა ამბობს ზოგიერთი თქვენგანი, არ არის მკვდრეთით აღდგომა? მკვდრეთით აღდგომა თუ არ არის, ქრისტეც არ აღმდგარა. ხოლო თუ ქრისტე არ აღმდგარა, ჩვენი ქადაგებაც ფუჭია და ფუჭია თქვენი რწმენაც“ (1კორ. 15:12-14). ქრისტეს რელიგიის ამ ფუნდამენტური საკითხის, მისი არსისა და გულისადმი, ცხადია, სხვა ეკლესიებიც არ დარჩებოდნენ გულგრილნი.

პავლეს ეპისტოლეები, განსაკუთრებით ეს ითქმის გალატელთა და რომაელთა მიმართ ეპისტოლეებზე, თითქოს თეოლოგიური ტრაქტატებია, თუმცა, ამავე დროს, ისინი ინარჩუნებენ ნამდვილი წერილების ხასიათს. პავლეს ეპისტოლეებს კათოლიკე ეპისტოლეთაგან გამოარჩევს ღრმა რელიგიური პრობლემებისა და ადამიანური მომენტების თანაარსებობა: ისინი მოიცავენ ღვთაებრივს და ადამიანურს – რწმენის უკანასკნელი იმედებიდან დაწყებული მეგობრის დალატის გამო გულისტკივილით დამთავრებული („დიმასმა შეიყვარა ეს სოფელი და მიმატოვა...“, 1ტიმ. 4:10, „შენ იცი, რომ აზიაში მიმატოვა ყველამ...“, 2ტიმ. 1:15); ეპისტოლეს აცოცხლებს ეგემერული ყოფითი საზრუნავი: „მოსასხამი, რომელიც ტროაში დავტოვე კარპესთან, წამომიღე, როცა მოხვალ. აგრეთვე წიგნებიც, მეტადრე პერგამენტები“ (2ტიმ. 4:13), რაც ადამიანური კუთხით წარმოგვიდგენს მოციქულ პავლეს. ეპისტოლეებში ჩვენს თვალწინ არის პავლეს და მისი ადრესატიც.

ასეთი არ არის ეპისტოლე ებრაელთადმი. ეს არ არის წერილი, სადაც გამოჩნდებოდა კონკრეტული ადრესატი, ხორცშესხმული ადამიანი. იგი ნამდვილი თეოლოგიური ტრაქტატია. მას არ აქვს დასაწყისი – მისალმების ფორმულა, სადაც წერილის ავტორი უნდა ასახელებდეს თავის სახელს, თუმცა ის ტრადიციულად მთავრდება (“მოიკითხეთ ყველა...”, 13:24). მასში არ ჩანს ცოცხალი, ადამიანური პავლე. მაგრამ მისი ავტორი ამხელს თავს, როგორც ღვთისმეტყველი და ეგზეგეტიკოსი. ვერსად სხვა ეპისტოლეებში ვერ ვიპოვით წმიდა წერილის (ძველი აღთქმის) ადგილების ეგზეგეტიკურ განმარტებებს. ამით ეპისტოლე ებრაელთა მიმართ გამორჩეულია: აქ პირველად არის გახსნილი მელქიცედეკის, მეფისა და მღვდლის, როგორც ქრისტეს წინამორბედის, ტიპოლოგია (5:1-10; 7:1-10).

ამ ეპისტოლის ავტორობის საკითხი დღემდე პრობლემურია, თუმცა ის ჩათვლილია პავლეს ეპისტოლეთა რიცხვში. ადრეული ხანაში ეპისტოლის ავტორობაზე რამდენიმე განსხვავებული თვალსაზრისი არსებობდა. კლიმენტი

ალექსანდრიელის (150-215) მოწმობით, პავლემ ეპისტოლე არამეულ ენაზე დაწერა, ბერძნულად კი ლუკამ თარგმნა. ირინეოს ლიონელი ეჭვს გამოთქვამდა პავლეს ავტორობის გამო. ორიგენი ეპისტოლის შინაარსს (თემატიკას) პავლესეულად მიიჩნევდა, მაგრამ არა მის სტილსა და გამოთქმის ფორმას. სხვანი ირწმუნებოდნენ, რომ მისი ავტორი გაბერძნებული იუდეველი იყო, როგორც აპოლოსი, რომელიც იუდეველთა შორის ქადაგებდა და ამხილებდა მათ (საქმე, 18:24-28). IV საუკუნიდან გამყარდა პავლეს ავტორობა: ევსებოს კესარიელმა შეიტანა იგი პავლე მოციქულის ეპისტოლეთა შორის. ბოლოს, კართაგენის კრებამ (397 წ.) დააკანონა იგი, როგორც პავლეს მეთოთხმეტე ეპისტოლე.

საქმე მოციქულთა

ბერძნულ მწერლობაში გავრცელებულ ისტორიულ ჟანრს შეიძლება მივაკუთვნოთ ახალი აღთქმის ეს წიგნი, სადაც მოციქულთა, განსაკუთრებით, პავლე მოციქულის მცირე აზიისა და ელადის ეკლესიებში მიმოსვლა და მოღვაწეობაა აღწერილი. ბერძნულად იგი იწოდება როგორც *პრაქსეის* ანუ, ზუსტი თუ ვიქნებით, „საქმიანობანი“; ძველი ქართული თარგმანით: „საქმე“ (უმჯობესი იქნებოდა „საქმენი“). როგორც ლუკას სახარებიდან ჩანს, „საქმე მოციქულთა“ უშუალო გავრძელებაა იმ სახარებისა, რომელიც ლუკამ გადმოსცა. სახარებას მისი ავტორი ამთავრებს იესოს ამადლებით (ლუკა, 24:50-51), ხოლო „საქმე მოციქულთა“, რომელიც მისივე ხელიდან გამოვიდა, იესოს უკანასკნელი სიტყვებით და ასევე მისი ამადლების აღნიშვნით იწყებს: „ეს თქვა და, სანამ ისინი უყურებდნენ მას, ამადლდა იგი და ღრუბელმა მოაფარა მათ თვალს“ (საქმე, 1:9).

თავად წიგნის შინაარსი იწყება ახალი მოციქულის (მათიას) არჩევით და მთავრდება პავლე მოციქულის რომში ყოფნით. თუმცა წიგნი ფაქტობრივად არ მთავრდება: ჩვენ არ ვიცით, როგორ წარიმართა სასამართლო, რომელსაც პავლე საპყრობილეში ელოდებოდა, ან როგორ დაასრულა მან სიცოცხლე. რატომ არ გააგრძელა თხრობა ლუკამ, უცნობია ჩვენთვის. მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ წიგნი ქრისტიანული მოძღვრების გავრცელებისა და ქმნადობის დასაწყის ეტაპს გადმოგვცემს. ის, რაც სახარებაში ჯერ კიდევ ჩანასახის სახით იყო მოცემული, „საქმეში“ ყვავილივით იფურჩქნება, ხდება მისი თანდათანობითი მანიფესტაცია. „საქმეში“ ასახულია ღვთის სიტყვის გავრცელების ფართო გეოგრაფიული არეალი. ყველა პუნქტს და ყველა ადგილს, რომელსაც ავტორი ახსენებს წიგნში, თავისი ზუსტი მისამართი აქვს რუკაზე, მცირე აზია იქნება, თუ ელადი. თუ პირველ ეტაპზე ქრისტეს სიტყვა პალესტინით – გალილიის და იუდეის დაბა-ქალაქებით შემოიფარგლებოდა, მოციქულთა ხანაში მათი მშობლიური ქვეყნიდან შორს გახშირდა სიტყვა. და ეს დაუფერებლად მოკლე ხანში მოხდა, სულ რაღაც სამი ათეული წლის განმავლობაში.

ზუსტად არ არის ცნობილი, როდის დაიწერა „საქმე“. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი იერუსალიმის ტაძრის დანგრევამდე (70 წ.) დაიწერა,

რადგან ტაძარი წიგნის მიხედვით ჯერ კიდევ დგას (საქმე, 21:30). ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თუ ის 64 წლის შემდეგ დაიწერებოდა, ავტორი 64 წლის რომის დიდი ხანძრის ხსენებას გვერდს ვერ აუვლიდა, მოვლენისა, რომელმაც შეძრა ქრისტიანთა ცხოვრება.

აპოკალიპსი (გამოცხადება)

ახალ აღთქმას აგვირგვინებს წიგნი, რომლის ჟანრი უცნობია ბერძნული მწერლობისთვის. ის წმიდაწელის ებრაულ-იუდაისტური წარმოშობისაა. მისი ძირები ეზეკიელისა (26-28) და დანიელის (კერძოდ, 11-12) წინასწარმეტყველურ წიგნებშია საძიებელი, მაგრამ ამ ჟანრის ტერმინად ბერძნული სიტყვა *აპოკალიპსის* დამკვიდრდა, რაც გამო-ცხად-ებას, დაფარულის გამოაშკარავებას, საიდუმლოს გახსნას ნიშნავს. მაგრამ საიდუმლო და დაფარული აპოკალიპსური ჟანრის წიგნებში კვლავ აუხსნელ საიდუმლოდ რჩება, რადგან სიმბოლური, გაუგებარი და ძნელად ასახსნელი სურათ-ხატებით არის გამოცხადებული. ასეთია სწორედ იოანეს აპოკალიპსი ანუ გამოცხადება, ახალი აღთქმის კანონის დამასრულებელი წიგნი, რომლის გამო ყოყმანობდა თავდაპირველი ეკლესია, შეეტანა თუ არა იგი კანონში. აპოკალიპსის ჟანრის აღმოცენებისთვის ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა ისრაელის უკიდურესი ძნელბედობის ხანაში, როცა გაიდვიდა მესიის მოსვლის მოლოდინმა და დაკარგული სამეფოს აღდგენის იმედებმა. ქრისტიანული აპოკალიპსი მესიანისტურია, იგი სწორედ მესიის მოხმობით მთავრდება; „ჰე, მოდი, უფალო იესო!“ (გამოცხ. 22:20).

იოანეს „გამოცხადება“ მცირე აზიის შვიდ ეკლესიისადმი მიმართვით იწყება, მაგრამ ამ შვიდში ისევ და ისევ ერთი მსოფლიო (უნივერსალური) ეკლესია იგულისხმება: ისინი მსოფლიო ეკლესიის სხვადასხვა მდგომარეობას გამოხატავენ. წიგნში იგრძნობა კვალი ქრისტიანთა საყოველთაო დევნისა, რომელიც განსაკუთრებით გასასტიკდა იმპერატორ დომიციანის მეფობის (81-96) ბოლო ხანებში, როცა იმპერატორის კულტმა გამოკვეთილი სახე მიიღო (ქრისტიანები არ მიაგებდნენ ღვთიურ პატივს იმპერატორის გამოსახულებას, რისთვისაც ისჯებოდნენ). დაწერის თარიღად ასახელებენ 94-95 წლებს. თავად ავტორი „გამოცხადებისა“ ასახელებს თავის სახელს და ადგილს, სადაც დაიწერა იგი: „მე ვარ იოანე, თქვენი ძმა და მოზიარე გასაჭირში, სუფევასა და იესო ქრისტეს მოთმინებაში. ვიყავი კუნძულზე, რომელსაც ეწოდება პატმოსი“; (1:9); ყოველ შემთხვევაში გამოცხადების ხილვა მას ამ კუნძულზე ჰქონდა, სადაც გადასახლებული იყო და სადაც სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა. თუმცა მისი ავტორობის საკითხი ეჭვს ბადებს იმ განსხვავებათა გამო, რაც ჩნდება „გამოცხადებისა“ და მეოთხე სახარების (ან ორი ეპისტოლის) ენასა და თეოლოგიას შორის. მთავარი განსხვავება ის არის, რომ „გამოცხადებაში“ სრულიად უგულვებელყოფილია ისტორიული იესო, როგორც კაცი, რომელიც მისსავე სახარებაში ადამიანური მხრიდან არის წარმოდგენილი. ტექსტიდან არ ჩანს, რომ ავტორი განხორციელებული ღვთის თვითმხილველი და მისი საყვარელი მოწაფე იყო (როგორც იოანე ხშირად იხსენიება სახარებაში), ან

გულისხმობს თუ არა ავტორი თავის თავს „კრავის თორმეტი მოციქულის სახელებს“ (გამოცხ. 21:14) შორის.

იოანეს „გამოცხადება“ ებრაულ აპოკალიპსურ უანრს ეკუთვნის, მაგრამ ძირეულად განსხვავდება მისგან. პირველ რიგში, ის არ არის ფსევდოეპიგრაფიკული ანუ არ მიეწერება ძველი აღთქმის ხანის ავტორიტეტს (მოსეს, ენოხს თუ დანიელს), არ შეიცავს მომავალი ისტორიის წინასწარმეტყველებას; მეორე ის, რომ ავტორს მხედველობაში ჰყავს რეალური საზოგადოება კონკრეტული ქრისტიანული თემების ანუ ეკლესიების **სახით**. ტექსტში მოცემულია მცირე აზიის რეალური ეკლესიების აქტუალური მდგომარეობა და მისი შეფასება. ეს არის მისი ამოსავალი ასპექტი. ეგზეგეტიკა მასში ხედავს შორეული მომავლის წინასწარმეტყველებას; ალევორიული განმარტებით, „გამოცხადება“ აღწერს საუკუნო დაპირისპირებას ღვთის სასუფეველსა და სატანას შორის, ანუ იგი ააშკარავებს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ფაქტებს. „გამოცხადების“ ისტორიული აქტუალობა არ ეწინააღმდეგება მის ალევორიულ-სიმბოლურ ინტერპრეტაციას.

დასავლეთის ეკლესიამ „გამოცხადება“ იმთავითვე შეიტანა კანონში, მაგრამ ასე არ იყო აღმოსავლეთში: მას არ ცნობდნენ ევსებიოს კესარიელი, კირილე იერუსალიმელი, იოანე ოქროპირი და სხვანი. ლაოდიკიის კრებამ (შედგა IV ს-ის 60-იან წლებში) იგი კანონის გარეშე დატოვა. არ მიიღო იგი სირიულმა (ე.წ. *პეშიტამ*) და სომხურმა ბიბლიამ.

4. ძველი აღთქმის დამოწმებანი ახალ აღთქმაში

სახარებისა და, სავარაუდოდ, მოციქულთა მოღვაწეობის („საქმე მოციქულთა“) ხანაში არ არსებობდა ქრისტიანულწიადში შექმნილი წიგნი, რომელსაც დაიმოწმებდნენ მახარებელნი ან მოციქულნი. ერთდერთი წიგნი, როგორც ითქვა, ძველი აღთქმა იყო, რომელიც სახარებაში, ეპისტოლეებსა და „მოციქულთა საქმეშია“ დამოწმებული. სხვა წერილობით ავტორიტეტს ახალი აღთქმა არ იცნობს. *წერილი*, *სჯული* და *წინასწარმეტყველნი* – ამ სახელწოდებებით არის მოხსენიებული დამოწმებისას ძველი აღთქმა, რომელიც, როგორც ვიცით, სამი ნაწილისგან – *რჯული*, *წინასწარმეტყველნი* და *წერილნი* – შედგება. 320 შემთხვევიდან ყველაზე ხშირად ფსალმუნები და ესაიას წინასწარმეტყველების წიგნია დამოწმებული, მერე მე-2 რჯული და გამოსვლათა წიგნი. ზოგი ადგილი ზუსტად არის დამოწმებული, ზოგი პერიფრაზის სახით, ზოგიც – მხოლოდ ალუზიურად (იმ იმედით, რომ ბიბლიის მცოდნისთვის მიხვედრა ძნელი არ იქნებოდა).

ტიპიურია ამგვარი წანამძღვრება დამოწმების წინ: “ყოველივე ეს მოხდა, რათა აღსრულდეს უფლის ნათქვამი წინასწამეტყველის მიერ, რომელიც ამბობს...” (მათე, 1:22); “მაშინ აღსრულდა წინასწარმეტყველ იერემიას ნათქვამი...” (მათე, 2:17); “რადგან ეს არის, ვისზეც ითქვა ესაია წინასწარმეტყველის მიე” (მათე, 3:3). ეს იმას ნიშნავს, რომ სახარების ავტორის

(შემდგენელის) რწმენით და ხედვით ის, რაც ნათქვამია ძველ აღთქმაში, ახალში პოულობს განხორციელებას. სწორედ ეს მომენტი იგულისხმება ავგუსტინეს გამონათქვამში, რომ

“ძველ აღთქმაში დაფარულია ახალი აღთქმა, ხოლო ახალში გამოცხადებულია ძველი”.

ასე ყოველი მნიშვნელოვანი ხდომილება ახალი აღთქმისა (შობიდან დაწყებული აღდგომა-ამაღლებამდე) თავის წინასახეს პოულობს ძველ აღთქმაში და, ამრიგად, წინასწარმეტყველთა ნათქვამები თავის სიღრმისეულ საზრისს იძენენ ახალი აღთქმის შუქზე.

ასე და ამრიგად, მახარებლები ძველი აღთქმის პირველი ეგზეგეტიკოსები (განმმარტებელნი) იყვნენ.

თვალაჩინოებისთვის მოგვყავს ადგილი “მოციქულთა საქმიდან”:

“უფლის ანგელოზმა უთხრა ფილიპეს: ადექი და წადი სამხრეთისაკენ იმ გზაზე, რომელიც იერუსალიმიდან დახაში ჩადის. უკაცრიელია იგი. დგა და წავიდა. და, აჰა, კაცი ეთიოპელი საჭურისი, ეთიოპიის დედოფლის, კანდაკეს დიდებული, მთელი მისი საგანძური მცველი, რომელიც თავიანთი საცემად მოსულიყო იერუსალიმში, უკან ბრუნდებოდა და, თავის ეტლში მჯდარი, კითხულობდა ესაია წინასწარმეტყველს. უთხრა სულმა ფილიპეს: მიდი და ახლოს დაუდექი მაგ ეტლს. მიიბრინა ფილიპემ და, როცა გაიგო, რომ იგი ესაია წინასწარმეტყველს კითხულობდა, უთხრა: თუ გესმის, რასაც კითხულობ? მან უთხრა: როგორ შევძლებ, თუ არავინ განმიმარტავს? და სთხოვა ფილიპეს, ასულიყო და მის გვერდით დამჯდარიყო. წერილის ადგილი, რომელსაც ის კითხულობდა, ეს იყო: კრავივით დასაკლავად მიიყვანეს და, როგორც ცხვარი დუმს მპარსველების წინაშე, ისე მასაც არ დაუძრავს ბაგე. დამცირებაში წაერთვა სამართალი და ვინ მოიკითხავდა მის წარმოშობას? რადგან ცოცხალთა ქვეყანას მოსწყდა, ჩემი ხალხის ცოდვებისთვის შესვდა სატანჯველი”. მიუგო საჭურისმა ფილიპეს და უთხრა: გვედრები, ვისზე ამბობს ამას წინასწარმეტყველი, თავის თავზე თუ სხვა ვინმეზე? გახსნა ფილიპემ ბაგე და დაიწყო ამ წერილით და ახარა იესოს შესახებ” (საქმე მოციქულთა, 8:26-35).

ყურადღება მივაქციოთ ამ სიტყვებს “დაიწყო ამ წერილით და ახარა...”. ფილიპემ ესაიას წინასწარმეტყველების ეს ადგილი (ეს. თ. 53) სახარებად გამოიყენა, რის შესაძლებლობასაც მას აძლევდა ტექსტი. 53-ე თავის გამო ნეტარი იერონიმუსი ამბობს, რომ ესაია აქ უფრო მახარებელია, ვიდრე წინასწარმეტყველი. გადაჭარბება არ ქნება, თუ ვიტყვით, რომ ესაიას წიგნის 53-ე თავი მესუთე სახარებაა, რომელიც ქრისტეს ჯვარცმამდე საუკუნეების წინ დაიწერა.

5. ახალი აღთქმის კანონი

კანონამდე

II-III სს-ში ქრისტიანთა შორის, სხვადასხვა ეკლესიებში, მოგვიანებით

კანონიკურად შერაცხილ წიგნებთან ერთად ვრცელდებოდა ტექსტები, რომელთა კანონიკურობა-არაკანონიკურობის საკითხი თავდაპირველად არ იდგა. ეკლესიის მამები თავიანთ ნაწერებში ამა თუ იმ პრობლემაზე მსჯელობისას ეყრდნობოდნენ მათ და იმოწმებდნენ. ესენია:

კლიმენტი რომაელის I ეპისტოლე კორინთელთადმი.

ეპისტოლეს ავტორია რომის მესამე ეპისკოპოსი წმ. პეტრე მოციქულის შემდეგ, მისი ეპისკოპოსობის ხანა მოდის 92-101 წლებზე. ასე რომ მისი ეპისტოლე დაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს II ს.-ის 90-იანი წლებისა. გამოდის, რომ ეს ტექსტი უფრო ადრეა შექმნილი, ვიდრე იოანეს სახარება და „გამოცხადება“. ამრიგად, იგი მოციქულთა ხანას განეკუთვნება, რის გამოც მისი ავტორიტეტი დიდი უნდა ყოფილიყო, თუმცა იგი, საბოლოოდ, მაინც ვერ მოხვდა ახალი აღთქმის კანონში.

ეს ეპისტოლე, გარდა სიძველისა, ორი კუთხით არის მნიშვნელოვანი: პირველი, ეკლესიის ისტორიის თვალსაზრისით, რომ მასში დადასტურებულია პეტრეს მყოფობა რომში, პავლე მოციქულის მოგზაურობა ესპანეთში, და ამ ორი მოციქულის მოწამებობრივი სიკვდილი; ეკლესიის დევნა ნერონის ხელით. მეორე, დოგმატურ-კანონიკური თვალსაზრისით: აქ ლაპარაკია საეკლესიო ხელისუფლების ლეგიტიმურობაზე, რომელიც მოციქულიდან ეპისკოპოსებს გადაეცემათ. კლიმენტის ეპისტოლე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ძველ ეკლესიაში: მას კითხულობდნენ ეკლესიებში მრევლის საკვირაო შეკრებებზე. აი, რას წერს ევსებოს კესარიელი: „ცნობილია ერთი საკვირველი წერილი კლიმენტისა, რომელიც სანდოდ ითვლება; იგი რომის ეკლესიის სახელით არის დაწერილი კორინთოს ეკლესიის მიმართ, სადაც მაშინ განხეთქილება მოხდა. ჩვენ ვიცით, რომ ეს ეპისტოლე იმთავითვე იკითხებოდა საჯაროდ ბევრ ეკლესიაში. მას დღემდე კითხულობენ...“ (წ. III, 16).

„დიდაქე“

ანუ „თორმეტი მოციქულის სწავლანი“, კომპილაციური ნაწარმოები, დაწერილია II ს.-ში ეგვიპტეში ან სირიაში, შედგება 16 მოკლე თავისგან, სადაც გადმოცემულია ქრისტიანული მორალისა და ეთიკის საკითხები, საეკლესიო პრაქტიკა, ესქატოლოგიური მოლოდინი (ქრისტეს მეორედ მოსვლა სოფლის დასასრულს). მას იმოწმებდნენ IV-V სს.-შიც კი.

ჰერმას „მწყემსი“

ეს არის აპოკალიპსის ტიპის ნაწარმოები. გამოცხადება ეძლევა ვინმე ჰერმას რომში მოხუცებული დედაკაცის პირით და მწყემსის სახით მოვლენილი ანგელოზის მიერ. წიგნი სამი ნაწილისგან შედგება: *ხილვანი*, *მცნებანი* და *იგავნი*. ტექსტის ებრაიზმები მოწმობს ავტორის იუდეურ წარმოშობას ან აღზრდა-განათლებას. დოგმატური თვალსაზრისით საინტერესოა: ჰერმას თანახმად, ეკლესია ღვთის უპირველესი ქმნილებაა (ავტორს ეკლესია ევლინება მოხუცებული ქალის სახით, რომელიც ყველაზე ადრე შეიქმნა და, რაც

შეიქმნა, მისთვის შეიქმნა). ამ წიგნის ავტორიტეტს მოწმობენ ეკლესიის ძველი მამები: ირინეუსი, ტერტულიანი და ორიგენი, რომელნიც მას ღვთივშთაგონებულ წიგნად თვლიდნენ და ახალი აღთქმის ერთ-ერთ წიგნად აღიარებდნენ. მურატორისეულ (იხ. ქვემოთ) ლათინურ ახალ აღთქმაში, სადაც მოთავსებულია იგი, დაწერის თარიღად 140-150 წლებია მითითებული.

ბარნაბას ეპისტოლე

ტრადიცია მის ავტორობას მოციქულ ბარნაბას მიაწერს. სინამდვილეში იგი ანონიმურია და დაწერილია II ს.-ის 30-იან წლებამდე. ეპისტოლე მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი ასწავლის ძველი აღთქმის კითხვას ახალი აღთქმის შუქზე. ის ამბობს, რომ ძველი აღთქმის მკითხველმა მასში ქრისტეს პრეფიგურაციები უნდა დაინახოს, მაშინ გაიხსნება მისი საზრისი. ამიტომ ებრაელები, რომლებიც არ აღიარებენ ქრისტეს, ვერასოდეს გაიგებენ ამ წიგნებს. ეპისტოლე დამოწმებული აქვს კლემენტი ალექსანდრიელს (გარდ. 215) და, რაც საინტერესოა, მას შეიცავს IV ს.-ის ახალი აღთქმის ხელნაწერი, ცნობილი სახელწოდებით Codex sinaicus (სინას მთის კოდექსი).

ოთხივე ეს წიგნი ბერძნულ ენაზეა დაწერილი.

ამ ნაწერების გარდა, არსებობდა ბევრი სხვა აპოკრიფული ნაწერი, – სახარებები, ეპისტოლეები თუ აპოკალიპსები, რომლებიც თავიდანვე უკუგდებული იქნენ ეკლესიის მიერ, როგორც გნოსტიკური. ესენია: ფილიპეს, ანდრიას, თომას სახარებები, პეტრეს აპოკალიპსი და სხვა. კანონში ვერ ჰპოვეს ადგილი, მაგრამ არც უარყოფილი იქნენ ნიკოდემოსის სახარება და იაკობის პროტოსახარებად წოდებული ტექსტები (არსებობს მათი ძველი ქართული თარგმანები).

5. კანონის დადგენა

II ს.-დან დაიწყო წიგნების შერჩევა, რომელთაც მკაცრად განსაზღვრული კორპუსი უნდა შეედგინათ. II ს.-ის შუახანებში ცხოვრობდა ვინმე მარკიონი, სინოპელი მდიდარი გემთმეპატრონე. 140 წელს იგი ჩავიდა რომში და იქ მყოფ ეკლესიას შეუერთდა, მაგრამ მალე მოექცა ქრისტიან გნოსტიკოსთა (იხ. ქვემოთ) გავლენის ქვეშ და გახდა ძველი აღთქმის დაუძინებელი მტერი. უარყოფდა რა ძველი აღთქმის რჯულს და მის წიგნებს, მათში გაცხადებულ ღმერთს, როგორც ბოროტ დემიურგს, გადაწყვიტა მათთვის ახალი აღთქმის წიგნები დაეპირისპირებინა. მან შექმნა ახალი აღთქმის თავისი საკუთარი კრებული, რომელიც ორი ნაწილისგან შედგებოდა:

ა) ერთადერთი სახარება ლუკასაგან, ისიც შემოკლებული, იუდაური ელემენტებისგან „გაწმენდილი“ ვარიანტი. ლუკას სახარება იმ მოტივით იყო შერჩეული, რომ მას პავლე მოციქულიდან მომდინარედ მიიჩნევდა, პავლეს კი ახალი აღთქმის სხვა ავტორთა შორის ერთადერთ ავტორიტეტად რაცხდა. პავლე იყო ერთადერთი, რომელსაც მარკიონი ქრისტეს მოწაფედ აღიარებდა.

ბ) მეორე ნაწილად მარკიონს თავის ახალ აღთქმაში პავლეს 10 ეპისტოლე ჰქონდა შერჩეული, ოღონდ თავისებურად რედაქტირებული: უარყო რომ. 4,

სადაც აბრაამზეა ლაპარაკი, როგორც რწმენის მამაზე, რაც მისთვის, როგორც ებრაელთა მოძულისთვის, მიუღებელი იყო. თვითნებურად შეჰქონდა შესწორებები ტექსტში, ზოგჯერ რადიკალურად ცვლიდა აზრს სიტყვების გადანაცვლებით ან გამოტოვებით. მაგალითისთვის, გალ. 1:1-ში გამოტოვა სიტყვები *kai theou patros* („და მამა ღმერთის მიერ“), რათა ეჩვენებინა, რომ ღმერთს არ აღუდგენია იესო ქრისტე, არამედ, როგორც გნოსტიკოსები ფიქრობდნენ, თავად აღიდგინა თავი. ამგვარ ცვლილებათა მიზანი იყო, მკვეთრად განესხვავებინა ერთმანეთისგან მის მიერ ბოროტად მიჩნეული ძველი აღთქმის ღმერთი (ე. წ. ბოროტი დემიურგი) რომელმაც ბოროტი სამყარო შექმნა, ახალი აღთქმის „უცნობი“ მოწყალე ღმერთისგან, რომელმაც ქრისტეთი გამოაგლინა თავი.

საბოლოოდ, 144 წელს მარკიონის შეხედულებები დაგმოვიღ იქნა და იგი მოიკვეთა რომის ეკლესიამ. მარკიონის მიერ დაარსებულმა სექტამ მისი სიკვდილის შემდეგ კარგა ხანს იარსება და, ბოლოს, მანიქეელებს შეერწყა. დამახასიათებელია მარკიონის პიროვნებისთვის, რომ ცნობილმა პოლიკარპემ, შემდგომ მარტვილმა (მოწამემ), როცა მას რომში პირადად შეხვდა, „სატანის პირმშო“ უწოდა. აი, ასეთი რეპუტაცია ჰქონდა მარკიონს. ცხადია, მისეული ახალი აღთქმა ეკლესიამ არ მიიღო. მაინც მარკიონი პირველი იყო, რომელმაც ახალი აღთქმის სტრუქტურა ნაწილობრივ მოხაზა (სახარება და სამოციქული წიგნები).

მარკიონმა ერთადერთი ლუკას სახარება შეიტანა თავის კანონში, მის დროს ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი ოთხი სახარების კანონიკურობა. პირველად სირიელმა ტატიანემ (დაახლ. 175) მოიყვანა ჰარმონიაში ოთხი სახარება (*დიატესარონის* სახელწოდებით), რასაც ფართოდ გაუღო კარი ეკლესიამ.

ირინეუსი (დაახლ. 200) უკვე იმოწმებს 4 სახარებას, ამ დროს უკვე დადგენილია მათი კანონიკურობა, თუმცა მათი რიგი ჯერ კიდევ არ არის მკაცრად განსაზღვრული. ირინეუსს დამოწმებული აქვს პავლეს 11 ეპისტოლე, კათოლიკე ეპისტოლეთაგან: 1პეტრე, 1 და 2 იოანე, გამოცხადება, საქმე მოციქულთა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ დანარჩენი ეპისტოლეები ჯერ კიდევ არ იყო მიჩნეული კანონიკურად. მის მიერ ჰერმას „მწყემსის“ დამოწმება შეიძლება იმაზე ლაპარაკობდეს, რომ ირინეუსი ამ ნაწარმოებს ავტორიტეტულად მიიჩნევდა და შესაძლებლად თვლიდა, რომ იგი ახალი აღთქმის წიგნებს შორის შერაცხულიყო.

არსებობს ლათინური ხელნაწერი, რომელიც მისი აღმომჩენის – ლოდოვიკო ანტონიო მურატორის სახელით არის ცნობილი და 170-180 წლებით არის დათარიღებული, სადაც შემდეგი წიგნებია თავმოყრილი: 4 სახარება, მოციქულთა საქმენი, პავლეს 13 ეპისტოლე, იუდას და 2იოანეს კათოლიკე ეპისტოლეები, გამოცხადება.

დღეისათვის ცნობილი კანონი მხოლოდ IV საუკუნის ბოლოს დადგინდა. ევსებოს კესარიელი (260-240) ჯერ კიდევ ყოყმანობს ზოგიერთი წიგნის ავთენტურობისა და უტყუარი ავტორიტეტის თაობაზე. მოვუსმინოთ, რას წერს

იგი „ეკლესიის ისტორიაში“:

„ახლა ჩამოვთვალოთ ახალი აღთქმის ჩვენთვის უკვე ნაცნობი წიგნები. პირველ ადგილზე, რა თქმა უნდა, მოვაქცევთ წმიდა ოთხ სახარებას, მათ მოსდევს „საქმე მოციქულთა“, შემდეგ პავლეს ეპისტოლეები, უშუალოდ მათ შემდეგ კი სიონე და უდაოდ პეტრე, ხოლო შემდეგ, თუ გნებავთ, იოანეს „გამოცხადება“, რის შესახებაც თავის დროზე ვილაპარაკებთ. ეს წიგნები ექვმიუტანელია. საეჭვოთა, მაგრამ უმრავლესობის მიერ მიღებულია შორის არიან: ეპისტოლეები იაკობის, იუდას, მეორე პეტრესი, მეორე და მესამე იოანესი (შესაძლოა, ისინი ეკუთვნიან მახარებელს, შეიძლება ვინმეს მის მოსახელეს). ნაყალბეებს ეკუთვნიან: „პავლეს საქმენი“, წიგნი „მწყემსის“ სახელწოდებით, „პეტრეს გამოცხადება“, ბარნაბასეულად აღიარებული ეპისტოლე, „დიდაქე“ („თორმეტი მოციქულის მოძღვრება“) და, როგორც ვთქვი, თუ გნებავთ, „იოანეს გამოცხადება“, რომელსაც ერთნი უარყოფენ, მეორენი აღიარებულ წიგნთა შორის მოიხსენიებენ. ზოგიერთნი ამ წიგნებს შორის ათავსებენ „სახარებას ებრაელთაგან“, რომელიც ქრისტეს მორწმუნე ებრაელებს ყველაზე მეტად უყვართ. ყველა ეს წიგნი უარყოფილია, მაგრამ ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ, შეგვედგინა მათი სია იმ მიზნით, რომ ვიცოდეთ, რომელი წიგნებია ნამდვილი, არა გამოგონილი, და მიღებულია ეკლესიის გადმოცემით, და რომელი წიგნებია ახალი აღთქმიდან ამოღებული, თუმცა ისინი ცნობილი არიან საეკლესიო მწერალთა უმეტესობისთვის. უნდა ვიცოდეთ ეს წიგნებიც და ისინიც, რომლებიც ერეტიკოსთა შორის მოციქულთა სახარებების სახელით არიან აღიარებული (პეტრესი, თომასი და სხვათა) და ასევე თითქოს ანდრიას, იოანეს და სხვა მოციქულთა „საქმენი“. ეს წიგნები არც ერთ საეკლესიო მწერალს არ გაუხდია ხსენების ღირსად...“ (წ. III, 25).

მოგვიანებით ათანასე ალექსანდრიელს (296-373) თავის სიაში საეჭვოთა შორის აღარ შეუტანია 2 პეტრე. და 2 და 3 იოანეს კათოლიკე ეპისტოლეები. ოღონდ მაინც საეჭვოდ მიიჩნევს „დიდაქესა“ და ჰერმას „მწყემსს“. ჩამოთვლის რა ძველი და ახალი აღთქმის კანონიკურ წიგნებს, მღვდელმთავარი წერს:

„მეტი სიზუსტისთვის (ამას აუცილებლობით ვწერ) დავსძენ, რომ ამ წიგნებს გარდა არის სხვებიც, რომლებიც კანონში არ შეუტანიათ, მაგრამ მამებმა დაუწვესეს მათი კითხვა ახალშემომატებულებს და კათაკმეველებს. ესენია: „სიბრძნე სოლომონისა“, „სიბრძნე ზირაქისა“, „ესთერი“, „ივლითი“, „ტობია“, ეგრეთწოდებული „მოციქულთა მოძღვრება (დიდაქე)“ და „მწყემსი“. მოკლედ, საყვარელნო, როცა წიგნთაგან ერთნი შეტანილია კანონში, სხვანი კი საკითხავად არის შეთავაზებული, არსად არ იხსენება აპოკრიფული წიგნები; ისინი მწვალებელთა გამონაგონია, რომლებიც წერენ, როცა სურთ, და აძველებენ, რათა გულუბრყვილო ადამიანები მოხიბლონ“ (XXXIX წერილიდან).

ამ ნაწევებიდან ირკვევა, რომ ათანასეს დროს უკვე მკვეთრად იყო გამოიწვენილი ერთმანეთისგან არაკანონიკური და აპოკრიფული წიგნები, რომლებიც იმხანად მრავლად იყო დაგროვილი და, როგორც ჩანს, ეძლეოდა ეკლესიის მრევლს.

ტექსტების შერჩევის კრიტერიუმები

სულ ცოტა სამი მოთხოვნა უნდა დაეკმაყოფილებინა ტექსტს, რომ მას ადგილი ეპოვნა ახალ აღთქმაში:

1) მასში გაცხადებული უნდა იყოს ჭეშმარიტი მოძღვრება და სახარებათა და სხვა ტექსტთა ურთიერთ-თანხმობა;

2) ტექსტი სამოციქულო წარმოშობისა უნდა ყოფილიყო, ანუ მას ფესვი მოციქულთა ხანაში უნდა ჰქონოდა გადგმული;

3) ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული; მისი გამოყენება არ უნდა შემოფარგლულიყო ერთი რომელიმე ეკლესიის საზღვრებით. მაგალითისთვის, პერმას „მწყემის“, „დიდაქე“ და კლიმენტის I ეპისტოლე აკმაყოფილებენ ორ პირობას: ისინი შეიცავენ ჭეშმარიტ მოძღვრებას და ფართოდ იყვნენ გავრცელებული, მაგრამ არ იყვნენ დაკავშირებულ მოციქულთა ხანასთან; ამიტომაც ვერ ვხედავთ მათ ახალი აღთქმის წიგნებს შორის.

ამ სამ კრიტერიუმს კიდევ უნდა დაუმატოთ ერთი ნიშანი, რომელსაც სწორედ აპოკრიფული სახარებებია მოკლებული. ეს არის ისტორიულობა, ხდომილებათა კონკრეტული კონტექსტი. არ არის საკმარისი, რომ ქრისტე ქადაგებს სახარებას; ქრისტე არის სიტყვა, მაგრამ აუცილებელია ვხედავდეთ და განვიცდიდეთ განკაცებულ სიტყვას კონკრეტულ სივრცესა და დროში, აი, ახლა და აქ. ეს არის სახარებათა ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი, რომელმაც განაპირობა სწორედ ამ ოთხი სახარების კანონიკური ადგილი ახალი აღთქმაში.

ორიგენი (გარდ. 254) განარჩევდა ქრისტიანული შინაარსის წიგნთა თუ წერილთა სამ ჯგუფს თუ დონეს:

1. *ჰომოლოგუმენა* ანუ უტყუარი ტექსტები; ასეთები იყო მისთვის 4 სახარება, პავლეს 13 ეპისტოლე, 1 პეტ., 1 იოან., საქმენი, გამოცხადება.

2. *ამფიბლომენა* ანუ სადაონი; ასეთებია: 2 პეტ., 2 და 3 იოან., ეპისტოლე ებრაელთადმი.

3. *ნოთა* ანუ ნაყალბენი და ამიტომ უკანონონი; ასეთებია: ეგვიპტელთა სახარება, თომას სახარება და სხვა გნოსტიკური ხასიათის ტექსტები, რომლებიც მრავლად იყო მის ხანაში. ორიგენი წერილად (ბერძნ. *გრაფე*) მოიხსენიებდა „დიდაქეს“, „მწყემს“, ბარნაბას ეპისტოლეს, მაგრამ არ მიაჩნდა ისინი კანონიკურად.

7. იესო ქრისტეს ისტორიულობა

არის იესო ქრისტე ისტორიული პირი? არის და არც არის? რამდენადაც

იგი არის ღმერთიც და კაციც? ღმერთი ზეისტორიულია, კაცი კი მხოლოდ ისტორიული შეიძლება იყოს, ანუ მისი ისტორიულობა ნიშნავს მის არსებობას ისტორიაში, უამთა სვლაზე დაქვემდებარებას. ადამიანი, როგორც მეხსიერი არსება, ყველა თავისი განზომილებით, ისტორიული არსებაა, მაგრამ რეალურად, ფიზიკურად ზოგადი ადამიანი არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ეს ადამიანი, რომელსაც შევხებივარ, ან შეხებია ოდესმე ვინმე, ყოფილა ეს ნაბუქოდონოსორი თუ ვინმე მისი უჩინო და უჩინარი თანამედროვე, ან თუნდაც პილატე პონტოელი, რომლის რეალურობას არა მხოლოდ სახარება ადასტურებს. მეორე აზრით, ისტორიულია ის პირი, ვისაც რაიმე მნიშვნელოვანი გაგლენა მოუხდენია ისტორიულ პროცესზე.

ამ ორ კრიტერიუმს სავსებით აკმაყოფილებს იესო ქრისტე, შობილი იუდას ბეთლემში ამა და ამ წელს (თარიღი დაზუსტება შეიძლება არ ხერხდებოდეს) და ჯვარცმული იერუსალიმში „პონტოელისა პილატეს ზე“. მაგრამ მაინც ათეისტური (და, საზოგადოდ, ქრისტიანობის) კრიტიკა XVIII საუკუნიდან დაწყებული, შესაძლებელია, დღემდეც დაეჭვებულია მისი პიროვნების ისტორიულობაში, და მის რეალურ-ფიზიკურ არსებობაშიც კი. წარსული დროის გნოსტიკოსები უარყოფდნენ რა იესოს ფიზიკურ არსებობას, ზედროულ ეონად (მიწაზე გარკვეული მისიით მოვლენილ ზეციურ არსებად) მიიხნევენ მას, ანუ უარყოფდნენ მასში მიწიერს ზეციურის სასარგებლოდ, მაგრამ რის სასარგებლოდ უარყოფენ თანამედროვე ხანის უარყოფელნი მიწიერ, ხორციელ ქრისტეს? არც სული, არც ხორცი? მას უმაღლ მითოლოგიურ პერსონაჟად, მის მოწაფეთა და, განსაკუთრებით, პავლეს „მეოცნებე“ თავში წარმოსახულ ფანტომად, ვიდრე რეალურ პირად მიიხნევენ. მითოლოგია ანტირელიგიური რეაქციის უკანასკნელი თავშესაფარია მათთვის, ვინც ორჭოფობს – არც სულში ეძებს, არც ხორცში, არამედ სადღაც ირეალურ სივრცეში. სიმპტომატურია, რომ საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნებულ მითოლოგიურ ენციკლოპედიებში იესო ქრისტეც არის მოხსენიებული, როგორც მითოლოგიური პერსონაჟი.

ქრისტეს არაისტორიულობის არგუმენტად ხშირად მოჰყავთ ის გარემოება, რომ მისი ჯვარცმიდან სამი ათეული წლის შემდეგ დაწერილ სახარებათა და ეპისტოლეთა გარდა, სხვა წყარო არაფერს გვეუბნება მის შესახებ. ეს თითქოს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს საკუთარი თავი მოჰყავს მოწმედ. მაგრამ მოწმობაც არის და მოწმობაც. სახარებებზე რომ არ ვილაპარაკოთ, პავლე მოციქულის ეპისტოლეები განმსჭვალულია იესოსადმი ისეთი გულწრფელი და თავდადებული ერთგულებით, როგორიც შეუძლებელი იქნებოდა, რომ იგი მის რეალურ არსებობაში არ ყოფილიყო დარწმუნებული, რომ მისი პიროვნების შესახებ და მისი ამბავი მხოლოდ მეორე პირისგან ჰქონოდა გაგებული, რომ მას მასთან პირადი შეხვედრის გამოცდილება არ ჰქონოდა. დაუუკვირდეთ რას წერს იგი პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ, რომელიც ქრისტეს ჯვარცმიდან ოცდაოთხი წლის შემდეგ დაიწერა:

„გაუწყებთ თქვენ, ძმანო, სახარებას, რომელიც მე გახარეთ, რომელიც კიდევ მიიღეთ და რომელზეც დგახართ. რომლითაც გადარჩებით კიდევ,

თუ დაიცავთ სიტყვას, მე რომ გახარეთ, თუ ფუჭად არ ირწმუნეთ. რადგან თავდაპირველად გადმოგეცით ის, რაც თვითონვე მივიღე, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენი ცოდვებისთვის, როგორც წერილებშია. და რომ დაიკრძალა იგი და აღდგა მესამე დღეს, როგორც წერილებშია. და რომ გამოეცხადა კეფას და მერე თორმეტს. მერე გამოეცხადა ხუთასზე მეტ კმას ერთდროულად, რომელთაგან უმრავლესნი აქამდე ცოცხალნი არიან, ზოგმა კი განისვენა. მერე გამოეცხადა იაკობს და მერე ყველა მოციქულს. ხოლო ყველაზე ბოლოს, როგორც უდღეურად შობილს, მეც გამოეცხადა. რადგან უმცირესი ვარ მოციქულთა შორის და მოციქულის წოდების ღირსიც არა ვარ, რადგან ვდევნიდი ღვთის ეკლესიას. მაგრამ ღვთის მადლით ვარ, რაც ვარ...” (1კორ. 15:1-10).

„რომელთაგან უმრავლესნი აქამდე ცოცხალნი არიან“, – ძნელია ამაზე უკეთესი და სარწმუნო მოწმობის მოძებნა. პავლეს დროს, იოანეს დროსაც, რომელმაც II საუკუნეშიც გადააბიჯა, ჯერ კიდევ ცოცხალნი იყვნენ აღმდგარი იესოს თვითმხილველნი. მათგან ხილული სასწაულის ამბავი ზეპირად ვრცელდებოდა ორ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე, ვიდრე წერილობით აღიბეჭდებოდა. რატომ უფრო ადრე არ აღიწერა ის, რაც მაშინ, პასექის დასასრულს, იერუსალიმში მოხდა? პასუხი ასეთი იქნება, თუ ჯვარზე წარწერის შესახებ პილატეს სიტყვებს – “რაც დავწერე, დავწერე” (იოან. 19:22) – გავიმეორებთ: “როცა დაიწერა, დაიწერა”.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ახალი სარწმუნოების მოწინააღმდეგენი, იუდეველნი თუ წარმართნი, არ უარყოფდნენ მისი დამაარსებლის რეალობას. მნიშვნელოვანია მოწმობანი წარმოშობით იუდეველი, მაგრამ გაელინებული იოსეფ ფლავიოსისა, რომელსაც ვერ დავაბრალებთ მიკერძოებას, როცა „იუდეველთა სიძველეებში“ ჯერ იოანე ნათლისმცემლის შეპყრობასა და სიკვდილით დასჯაზე, მერე იაკობ მოციქულის, „ქრისტედ წოდებული იესოს ძმის“ (მისი სიტყვებია) ქვით ჩაქოლვაზე ლაპარაკობს და, ბოლოს, მოკლედ გადმოგვცემს იმას, რასაც სახარებებში ვრცლად ვკითხულობთ:

„ამ დროს ცხოვრობდა იესო, კაცი ბრძენი, თუკი საერთოდ კაცად მოვისხენიებთ, რადგან საკვირველ საქმეებს ჩადიოდა და მოძღვრავდა ჭეშმარიტებაში ყველას, ვინც ხალხით უსმენდა მას. მან ბევრი მიიმხრო როგორც იუდეველთაგან, ისე ელინთაგან. ეს იყო ქრისტე. და როცა პილატემ ჩვენი წარჩინებული ხალხის ბრალდებით სიკვდილი მიუსაჯა მას, არავინ, ვინც თავიდანვე შეიყვარა იგი, არ განმდგარა მისგან. მესამე დღეს ეჩვენა მათ ცოცხლივ, როგორც ღვთიური წინასწარმეტყველნი წინასწარმეტყველებდნენ ამის თაობაზე და სხვა სასწაულებზე, რაც მასთან იყო დაკავშირებული. დღემდე არ შემწყდარა ქრისტიანთა მოღვაძე, რომელიც მისი სახელით იწოდება.“ (დამოწმება)

ეს სიტყვები უფრო ადრე დაიწერა, ვიდრე ახალი აღთქმის ყველა წიგნი დაიწერებოდა. ყოველ შემთხვევაში, იოსებ ფლავიუსმა ეს ნაწარმოები I

საუკუნის 90-იან წლებში დაასრულა, სწორედ იმ ხანებში, როცა იოანე მოციქულის სახარება და „გამოცხადება“ იწერებოდა.

მაგრამ რა გვეთქმის იმის თაობაზე, რომ ახალი აღთქმის წიგნების გარეშე იესო ქრისტეს ხსენება მართლაც მწირია? რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ორი სახის უნდა იყოს: პირველი სუბიექტურია: დღეს ჩვენ, ქრისტიანობის ესოდენი განვრცობის მოწმეთ, ვერ წარმოგვიდგენია და ვერ აგვიხსნია წერილობითი სიტყვის გულგრილობა იმ ფაქტისადმი, რომელმაც შეცვალა ისტორიის გეზი. ჩვენ რეტროსპექტულად ვჭკვრეტ ქრისტიანობის ზრდას საუკუნეების მანძილზე, I საუკუნეში კი ამის განჭვრეტა არავის შეეძლო. ჩვენი დროის რეტროსპექტივა არ თანხვედება I საუკუნის პერსპექტივას. მეორე მიზეზი ობიექტურია: თუ იოანე მახარებელი (ღვთისმეტყველი) ამბობს, რომ ქრისტე „თავისიანებთან მოვიდა და თავისიანებმა არ მიიღეს“ (იოან. 1:11), თავისიანებმა ანუ იუდეველებმა, რომლებიც მესიის მოლოდინით იყვნენ აღსავსე, რაღა ითქმის ბერძნულ-რომაულ სამყაროზე, ვისთვისაც ქრისტეს მოვლინება არც მათ წარსულთან, არც მომავლის მოლოდინთან და იმედებთან არ იყო დაკავშირებული. ის ეხებოდა მხოლოდ ებრაელებს, ერთ ბეწო ხალხს მთელს იმპერიაში, და ამასთანავე შინაგან-პროვიდენციული ფაქტი იყო და არა ისტორიულ-ზედაპირული, რომ ბერძნულ-რომაულ საისტორიო მწერლობას თავისი ინტერესის საგნად გაეხადა. ეს მწერლობა ხომ ყველაფერს იმპერიის თვალსაზრისით აფასებდა. და რა იყო ქრისტე იმპერიის წინაშე? ის თითებზე ჩამოსათვლელი ხსენებანი ქრისტესი, რომელიც ლათინურ საისტორიო მწერლობაში იპოვება, მხოლოდ პროვინციული შემთხვევის აღნუსხვაა, რომელსაც რაიმე მნიშვნელობა რომისთვის არ უნდა ჰქონოდა. მას ვერ უნდა შეემჩნია ქრისტიანობა მის გენეზისში – ეს ბუნებრივია. მაგრამ შეამჩნია მაშინ და, მეტიც, შეშფოთდა, როცა ის ხალხში ფართოდ გავრცელდა და მათი ცნობიერება და ყოფა-ცხოვრება დაიპყრო.

ქრისტეს ხსენებანი რომაულ წყაროებში

ქრისტეს ყველაზე ადრეული ხსენება ეკუთვნის რომაელ სახელმწიფო მოღვაწეს და ავტორს პლინიუს უმცროსს (61-113). იგი ბითინიაში მსახურობდა და დევნიდა „ხრესტიანებს“, ასამართლებდა და სჯიდა. იმპერატორ ტრაიანეს წერდა მათ შესახებ, რომ ისინი, მათივე აღიარებით, დადგენილ დღეს დილაამდე ერთად ატარებდნენ, ჰიმნებით უგალობდნენ „ხრესტუსს“, როგორც ღმერთს (quasi Deo) [წერილი ტრაიანესადმი 96]. ეს ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ვერავითარი იძულება ნამდვილ ქრისტიანებს ვერ აგმობინებდა ქრისტეს, რასაც მისგან მოითხოვდნენ. ნიშანდობლივია, რომ რწმენის სიმტკიცის დადასტურებას, რაც უცხო იყო რომაელთათვის, მათ პლინიუს უმცროსი სიკერპესა და სიჯიუტეში უთვლის.

თუ პლინიუს უმცროსში ქრისტიანები ანტიპათიას მაინც და მაინც არ იწვევენ, კორნელიუს ტაციტუსი (55-120), მისი უფროსი მეგობარი, მათ უარყოფითი მხრიდან წარმოგვიდგენს, მაგრამ ქრისტეს შესახებ უფრო

დაწერილებულ ინფორმაციას იძლევა:

„რათა გაექარწყლებინა ხმები, რომ მისი ბრძანებით მოაწყვეს ხანძარი რომში, ნერონმა გამოძებნა დამნაშავენი და სასტიკად დასაჯა ისინი, რომლებიც თავიანთი სისაძაგლეებით საყოველთაო ზიზღი დაიტყვეს თავს და რომელთაც ხალხი (vulgus) *ხრესტიანებს* უწოდებს. ამ რელიგიის სახელის ავტორი *ხრესტუსი* ტიბერიუსის იმპერატორობისას დასაჯა პროკურატორმა პონტოელმა პილატემ...“ (ანალები, წიგნი XV, 44).

გაიუს სეპტონიუსი (70-140) „თორმეტი კეისრის ცხოვრებაში“ წერს, რომ იმპერატორმა კლავდიუსმა (41-54) „*ხრესტუსის* წაქეზებით სულმუდამ შფოთში მყოფი იუდეველები რომიდან განდევნა“ („ღვთიური კლავდიუსი“, 25, 4). ეს ფაქტი ახალი აღთქმიდანაც არის ცნობილი: „კლავდიუსმა ბრძანა ყველა იუდეველი რომიდან გაეძევებინათ“ (საქმე მოც., 18:2). როგორც ჩანს, სეპტონიუსი ფიქრობს, რომ კლავდიუსის დროს ქრისტე რომში იმყოფებოდა.

ცნობები ქრისტეს (რომაელები გამოთქვამდნენ: *ხრესტუს*, Chrestus) შესახებ მართლაც მწირია, თუმცა მათ ნამდვილობაშიც ეჭვი შეაქვს ბიბლიის კრიტიკას, თვლის რა მათ შემდგომი დროის ჩანართებად. მაგრამ ისმის კითხვა: თუ ჩართვის სურვილი იყო, რატომ არ არის ჩანართები უფრო მეტი და უფრო დაწერილებითი ინფორმაციის მომცველი?

8. ქრისტე როგორც მოძღვრება

აქვე უნდა შევნიშნოთ, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა იმას, არის თუ არა ნახსენები, ან რამდენჯერ და სად, ან ვის მიერ იესო ქრისტე, როგორც ისტორიული პირი. იესო ქრისტეს პრობლემა არ ძვეს მის, მხოლოდ როგორც ადამიანის, პიროვნებაში. ყველა სხვა რელიგიის დამაარსებლის თუ ლიდერისგან განსხვავებით, რომელიც გამოცხადებით იღებს რელიგიურ ჭეშმარიტებებს და მცნებებს (როგორც, მაგალითისთვის, მოსე ან მუჰამადი), ქრისტე თავად არის გამოცხადება, რომელიც თავის თავში მოიცავს ჭეშმარიტებას; თავად ქრისტე, როგორც ღვთის ძე, სამების მეორე ჰიპოსტასი, თავად არის მოძღვრება, რომელიც გაგებას, წვდომას და გათავისებას მოითხოვს. არ არის შემთხვევითი, რომ იესო მიმართავს თავის მოწაფეებს კითხვით: როგორ გგონია, ვინ ვარ მე? არც ერთი რელიგიის წინამძღოლს ასეთი კითხვა არ დაუსვამს თავისი ადეპტებისადმი. ყველა ისინი ადამიანები იყვნენ თავიანთი ადამიანური ნაკლოვანება-ღირსებებით, თუმცა მათ შეეძლოთ თავიანთ ცნობიერებაში მოეცვათ ჭეშმარიტება და ექადაგათ ის, – ექადაგათ, რაც მათ გამოცხადებით მიიღეს. ქრისტე ასეთი არ იყო. ის ქადაგებდა მხოლოდ საკუთარ თავს, საკუთარ *ბუნებას*, როგორც მოძღვრებას. ამიტომაც სახარებათა მიზანი არ არის მისი ემპირიული პიროვნების ცხოვრების გზის გადმოცემა. მახარებლებს სურთ გადმოსცენ პიროვნების პროვიდენციულ-მესიანისტური ასპექტი, მისი *ბუნება*, რომელიც შეიცავს საიდუმლოს. მთელი სახარება არის მისი *ბუნების* ეტაპობრივი განშლა მოწაფეთა თვალწინ. ამას

ასახავს იოანე მახარებელი, როცა სახარების გადმოცემას არა იესოს შობით, არამედ ლოგოსის (სიტყვის) დაუსაბამოობით იწყებს.

9. მოციქულები

ის თორმეტი პიროვნება, რომელიც იესო ქრისტემ შემოიკრიბა თავის გარშემო სახარებებში ორი სახელწოდებით მოიხსენიება: მოწაფე (*მატყეთს*) და მოციქული (*აპოსტოლოს*). პირველი სახელწოდება აღნიშნავს მათ დამოკიდებულებას მოძღვართან, რომლისგანაც ისინი სწავლობენ ახალ მოძღვრებას, ახალ აღთქმას, სახარებას; ხოლო მეორე აღნიშნავს მათ, როგორც ქრისტეს მისიის გამავრცელებელთა, მოწოდებას. მოციქული ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს რაიმე ამბის შესატყობინებლად გაგზავნილს, მივლინებულს. ქრისტე ჯერ დამოძღვრავს, ასწავლის მათ, ხოლო შემდეგ აგზავნის, მიავლენს მათ. “ეს თორმეტი მიავლინა იესომ, დაარიგა და უთხრა მათ: ...წადით ისრაელის სახლის დაკარგულ ცხვრებთან. როცა მიხვალთ, იქადაგეთ, რომ მოახლოებულია ცათა სამეფო” (მათე, 10:5-7).

აი, მათი, სახელები, რომელთაც მახარებელი მათე ქრისტესთან დამოწაფების რიგისამებრ ჩამოთვლის მათ: სიმონი, რომელსაც მოძღვარმა შემდგომ პეტრე (“კლდე”, ბერძნ. *პეტროს* არამეულად *კეფა*) შეარქვა; ანდრია, მისი ძმა; იაკობ ზებედეს ძე; მისი ძმა იოანე; ფილიპე; ბართლომე; თომა; მებაჟე მათე-ლევე; იაკობ ალფეს ძე; ლებეოსი, რომელსაც თადეოსი ეწოდა; სიმონ კანანელი (“მოშურნე”, ბერძ. *ძელოტეს*); და იუდა ისკარიოტელი.

იესოს მოწაფეთა რიცხვი სამოცდაათს შეადგენს, მაგრამ მათ შორის მან თორმეტი გამოარჩია, რომელთაც განსაკუთრებული, არცთუ უხიფათო მისია დაეკისრა. როგორც ცნობილია, მოციქულთა უმეტესობამ თავისი სამოციქულო გზა მოწამებრივი სიკვდილით დაასრულა. რატომ მაინც და მაინც თორმეტი? გასაგებია, რადგან ისრაელი ერი თორმეტი ტომისგან შედგებოდა და ამ რიცხვს ამ შემთხვევაში სიმბოლური მნიშვნელობა მიენიჭა: ეს თორმეტი უნდა ყოფილიყო ის დანარჩენი ისრაელის სახლიდან, რომელსაც ახალი აღთქმის ეკლესია უნდა შეექმნა (თუმცა ეს რიცხობრივი სიმბოლიზმი სახარებაში მაინც და მაინც თემატიზებული არ არის).

მხოლოდ რამდენიმე მოციქულს; შესთხვევაში არის გამახვილებული ყურადღება მათი მოწოდების პირობების შესახებ. იოანეს სახარების თანახმად, პირველი, ვისაც იორდანეზე ნათელდების შემდეგ იესომ დაიმოწაფა, ანდრია იყო¹, ძმა სიმონისა. როგორც ჩანს, იგი და კიდევ ერთი პიროვნება, რომელიც სახელით მოხსენიებული არ არის, იოანე ნათლისმცემლის მოწაფეები იყვნენ. მაგრამ მოესმათ თუ არა მათ იოანესაგან მომავალ იესოს მიმართ ნათქვამი “აჰა, ღვთის კრავი”, დატოვეს იოანე და გაყვნენ იესოს იმ ადგილამდე, სადაც ის ცხოვრობდა. ანდრიას სიტყვები – “ჩვენ ვიპოვეთ მესია” – მოწმობს მის მოლოდინს მესიის გამოჩენაზე, რითაც აღვსილი იყო ძველი აღთქმის ხალხის ცნობიერება და იმის რწმენას, რომ სწორედ ეს ადამიანი – იესო იყო მესია. ანდრიამ მიიყვანა იესოსთან თავისი ძმა პეტრე, რომელსაც გაცნობისთანავე

¹ ამის გამო ანდრია ამის გამო ანდრია ქრისტიანულ ლიტერატურაში ქრისტიანულ ლიტერატურაში “პირველწოდებულის” სახელით იხსენიება.

იესომ *კეფა* (ბერძნ. *პეტროს* “კლდე”) დაარქვა (იოანე, 1:35-42).

მახარებელი მათე მათ დამოწაფებას იესოს მიერ განსხვავებულად გადმოგვცემს. თუ იოანეს მიხედვით, ანდრია იესოს დანახვაზე იოანე ნათლისმცემელს მიატოვებს იესოს გულისთვის, მათეს თანახმად ორი ძმას თევზაობისას, როცა ისინი ბადეს ისროდნენ გალილეის ზღვაში, მოუხმობს სიტყვებით “მომყევით მე და კაცთა მებაღურებად გაგხდით” და ისინიც გაყვნენ მას (მათე, 4:18-20). მათესვე ცნობით, იესო იმავე დღეს კვლავ ორ ძმას – იაკობს და იოანეს, რომლებიც თავიანთ მამასთან ზებეესთან ერთად მებაღურობდნენ, დაიმოწაფებს. ძმები მიატოვებენ მამასააც, ნავსაც და ბადეებსაც და გაყვებიან მას (მათე, 4:21-22).

იოანე მახარებლის თანახმად კი, მეორე წყვილი, რომელიც იესომ დაიმოწაფა, ფილიპე და ნათანაელი იყო, თუმცა ისინი ძმები არ ყოფილან. ფილიპეზე ნათქვამია, რომ იგი ანდრიასა და პეტრეს ქალაქიდან – ბეთსაიდადან იყო. ფილიპესთვის ნათქვამი ერთადერთი სიტყვა – “გამომყევი” – საკმარისი იყო, რომ ისიც უსიტყვოდ გაჰყოლოდა. როგორც ანდრიამ, რომელსაც პეტრეს ახარა მესიის მოძიება, ფილიპემაც ამცნო ნათანაელს, თავის მოძმეს: “ჩვენ ვნახეთ ის, ვისზეც დაწერეს რჯულში მოსემ და წინასწარმეტყველებმა: იესო იოსების ძე, ნახარეთიდან” (იოან. 2:45). იესომ ნათანაელის დანახვაზე თქვა სიტყვები, რომლებიც სხვა მოწაფეებზე არ უთქვამს: “აჰა, ნამდვილი ისრაელიანი, რომელმაც არ არის მზაკვრობა” (იოან. 2:46). ხოლო ნათანაელი (სინოპტიკოსების თანახმად, ბართლომე), როგორც ჩანს, პირველი იყო მოციქულთაგან, რომელმაც იესოში არა მხოლოდ ქრისტე (მესია) დაინახა, არამედ მის ღვთის ძეობაც აღიარა (“რაბი, შენ ხარ ძე ღვთისა...” იოან. 2:49). თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი აღარ ჩანს სახარებებში. ერთადერთი იოანე მახარებელია, რომელიც მას ამ სახელით მოიხსენიებს.

უფრო ხშირად, როგორც წესი, მოციქულები, რომლებიც უმეტესწილად მოწაფეებად მოიხსენებიან, სახარებებათა ან “მოციქულთა საქმეთა” სიუჟეტებში კრებითად მონაწილეობენ, თუმცა ზოგიერთი მათგანი ინდივიდუალური კუთხით წარმოჩინდება. მაგალითისთვის, ფილიპე, რომელიც თითქოს არაფრით გამოირჩევა თორმეტისგან, “საქმეში” მნიშვნელოვანი მისია ეკისრება. მას წილად ხვდა საგონებელში ჩავარდნილი ეთიოპელისთვის განემარტა მესიანისტური ადგილი ესაიას წინასწარმეტყველებიდან (ეს. 53). ეთიოპელის კითხვაზე, “გევედრები, ვისზე ამბობს ამას წინასწარმეტყველი, თავის თავზე თუ სხვა ვინმეზე? გახსნა ფილიპემ ბაგე და დაიწყო ამ წერილით და ახარა იესოს შესახებ” (საქმე, 8:34-35). შეიძლება ითქვას, რომ მოციქული ფილიპე ახალი აღთქმის პირველი ეგზეგეტიკოსია, რომელის ჩაწვდა მესიის საიდუმლოს, რაც მიუწვდომელი დარჩა იუდეველთათვის.

იესო მოციქულებთან ერთად მიმოდის დაბიდან დაბამდე, ქალაქიდან ქალაქამდე, მათი თანდასწრებით ქადაგებს, სტუმრობს შეჭირვებულებს, კურნავს და აღადგენს დავრდომილთ, მაგრამ თორმეტიდან მან გამორჩია სამი – პეტრე და ზებედეს ძენი, იაკობი და იოანე და დაასწრო ისინი ჯერ ფერისცვალებას (მათე, 17:1-9) და მერე, საბოლოოდ, თავის უკანასკნელ

ლოცვას გეთსიმანიის ბაღში (მათე, 26:36-46); სიმონ-პეტრე მან მოციქულთა თავად გამოარჩია, როცა კლდე უწოდა და უთხრა, რომ ამ კლდეზე დაშენებდა თავის ეკლესიას (მათე, 16:18); იოანე ზებედეს ძე გამორჩეული იყო იმით, რომ იგი, მისივე ცნობით, “უყვარდა იესოს”, როგორც ვკითხულობთ: “იესოს უბეს მიყრდნობოდა ერთი მოწაფეთაგანი, რომელიც უყვარდა იესოს” (იოან. 13:23; აგრ. 19:26). იოანეს რჩეულობა იმაშიც გამოიხატა, რომ იგი ერთადერთი იყო მოწაფეთაგან, ვისაც არ მიუტოვებია ჯვარცმული და ვისაც იესომ დედა მარიამზე ზრუნვა დაავალა (იოან. 19:26-27). თავისებურია პეტრეს დამოკიდებულება იესოს მიმართ: თუ, ერთი მხრივ, რწმენის გამო მან სახელად კლდე (*პეტროს, კევა*) დაიმსახურა, მეორე მხრივ, შიშისგან სამგზის უარყო მოძღვარი, რომელიც ადრე ღვთის ძედ აღიარა (მათე, 26:69-75). მოციქულ თომას წილად ხვდა ყოფილიყო იმ ტიპის ადამიანთა განსახიერება, რომელთა რწმენას ფაქტი განაპირობებს. “იმიტომ მირწმუნე, ეუბნება მას იესო, რომ მიხილე. ნეტარ არიან, ვისაც არ ვუნახივარ და მირწმუნეს” (იოან. 20:29). მაგრამ მანვე გამოიჩინა თავდადება იესოსადმი, როცა თქვა: “ჩვენც წავყვით, რათა მასთან ერთად დავიხოცოთ” (იოან. 11:16).

ვინ იყვნენ მოციქულები? ისინი უბრალო ადამიანები იყვნენ, რომელთა საშუალებითაც ღმერთმა ინება ჭეშმარიტების გაცხადება. ძმები სიმონ-პეტრე და ანდრია, და ძმები იაკობი და იოანე მებადურები იყვნენ – ეს პროფესია მოციქულობის სიმბოლო გახდა: “მომყევით მე და კაცთა მებადურებად გაგხდით” (მათე, 4:19). არ იყო შემთხვევითი, რომ პირველწოდებულნი სწორედ მეთევზეები იყვნენ (თევზს, როგორც სიმბოლოს, ადრეულ ქრისტიანობაში ორმაგი დატვირთვა ჰქონდა: ის მოციქულთა მიერ მონადირებულ სულებზე მიანიშნებდა, მაგრამ ამავე დროს თევზი² ქრისტესაც აღნიშნავდა, რომელიც მოციქულებმა “მონადირეს”). სხვა მოციქულთა პროფესია ცნობილი არ არის (არ არის დასახელებული), გარდა ლევი-მათესი, რომელიც მებაჟე იყო, მებაჟეობა კი, გასაგები მიზეზის გამო, გასაკიცხ პროფესიად მიიჩნეოდა – მებაჟე ცოდვილის სინონიმი იყო. მოციქულთა შორის ყოფილი მებაჟის მყოფობა საუკეთესო ილუსტრაციაა იესოს სიტყვებისა, რომ იგი არ მოსულა მართალთა მოსახმობად, არამედ ცოდვილთა სინანულად (მარკ. 2:17).³ მებაჟეთა და მეძავთა მოხმობა იესოს მიერ ფარისევლების გამოწვევა იყო, რომელთაც ხსნის ერთადერთ გარანტიად რჯულის დაცვა-აღსრულება მიაჩნდათ.

ეს მცირერიცხოვანი ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც თავად იესომ აირჩია და რომლებიც სიმბოლურად ძველი აღთქმის საზოგადოებას (ეკლესიას) განასახიერებდა, მოწოდებული იყო ახალი ერთობის შესაქმნელად და უკვე წარმოადგენდა მ ახალ ერთობას, რომელიც მესიის გარშემო იქნა შემოკრებილი. მათ, როგორც ერთ ოჯახს (სიმბოლური იყო, რომ მათ შორის ორი წყვილი ძმა იყო: პეტრე და ანდრია და ზებედეს ძენი – იაკობი და იოანე), თავისუფლად იტევდა ერთი ოთახი, და როგორც ერთმა ოჯახმა, წესისამებრ, პასეჟი ერთად იდღესასწაულა, რითაც ახალი ერთობა მოასწავა. ამ ახალმა ოჯახმა შეადგინა “მცირე სამწყსო” (ლუკა 12:32), რომელიც ქრისტე მომავალი ეკლესიის წინამორბედი გახდა. ამიტომაც ქრისტიანული ეკლესია “მრწამსში”

² პირველი ქრისტიანები ბერძნულ სიტყვას *იხთუს* (თევზი) ამგვარად შიფრავდნენ: *იხთუს ხრისტოს ჰვოს თუ* “იესო ქრისტე, ძე ღვთისა”

³ იხ. აგრეთვე მეზვერისა და ფარისევლის ივაგი (ლუკა, 18:9-14).

განიმარტა როგორც სამოციქულო: “ერთი, წმინდა, კათოლიკე (=საყოველთაო) და სამოციქულო ეკლესია”.

იუდას ჩამოშორებით, რომელმაც მოციქულ პეტრეს სიტყვებით (საქმე, 2:16-17) წილად ირგუნა “ეს სამსახური” (ქრისტეს გადაცემა), შეიბღალა მოციქულთა რიცხვი 12, ამიტომაც დარჩენილმა თერთმეტმა წილისყრით იუდას სანაცვლოდ მათია აირჩიეს (საქმე, 2:26). მაგრამ, ღვთის განგებით, მოხდა ისე, რომ მოციქულთა სრულ რიცხვს მეცამეტე დაემატა.

ეს იყო სავლე ტარსუსელი, ფარისეველთა წრიდან, ეკლესიის გააფთრებული მღვწელი, რომელსაც ქრისტემ აღდგომის შემდეგ მოუწოდა. იერუსალიმიდან დამასკოს გზაზე, როცა ის რწმუნებით აღჭურვილი, ქრისტიანთა შესაპყრობად მიემართებოდა, “უეცრად გაბრწყინდა მის გარშემო ნათელი ციდან, დაეცა მიწაზე და მოესმა ხმა, რომელიც ეუბნებოდა: “სავლე, სავლე, რად მღვწი მე?” ამ გამოცხადებამ ეკლესიის მღვწელი, პავლეს სახელით, ქრისტეს დაუცხრომელ მქადაგებლად აქცია (საქმე, 9:1-19). სახელის შეცვლა სავლედან პავლედ მისი მოქცევის ფორმალური ნიშანი იყო.

10. იოანე ნათლისმცემელი.

იოანე, რომელიც წინამორბედის (ბერძნ. *პროდრომოს*) სახელითაც არის ცნობილი, იესოს ღვთის ნათესავის ელისაბედისა და მღვდელ ზაქარიას შვილი (ლუკა, 1:36) იყო. ბერწმა ელისაბედმა, როგორც სარამ და როგორც სამსონ მსაჯულის დედამ, სიბერეში შვა ძე. ერთადერთი ლუკა მახარებელია, ვინც გადმოსცემს იოანე ნათლისმცემლის შობის ამბავს (ლუკა, 1:5780). ცნობილია მისი აღსასრულიც, რომლის შესახებაც მახარებელი მარკოზი გვამცნობს (მარკ. 6:14-29), მაგრამ არ არის ცნობილი, სად იმყოფებოდა იგი და რას აკეთებდა იორდანეზე გამოჩენამდე (მათე, 3:1). ვარაუდობენ, რომ ის ამ ხანებში ესეების (იხ.) საზოგადოებაში იმყოფებოდა. მისი სამოსელი (აქლემის უხეში ბეწვი და ტყავის სარტყელი) და საკვები (მკალი და ველური თაფლი) მის ასკეტობას და არა მის უკიდურეს სიღატაკეს მოწმობს. ჩანს, ამგვარი შესამოსელი წინასწარმეტყველის ნიშანი იყო, რომლითაც ის რიგითი ადამიანისგან გამოირჩეოდა. ამგვარად იყო შემოსილი ელია წინასწარმეტყველი: “ბალანი მოსავს იმ კაცს და წელზე ტყავის სარტყელი არტყია” (4მეფ. 1:8). იოანე უდაბნოდან მოვიდა, ხოლო უდაბნო ასკეტებისა და წინასწარმეტყველთა ბუნებრივი სამყოფელია. მალაქიას შემდეგ სამასი წლის მანძილზე ქვეყანა არ იცნობს წინასწარმეტყველს. იოანე უკანასკნელია წინასწარმეტყველთა გრძელ რიგში; ის განსაკუთრებული მისიით მოვიდა, მისი მოსვლა მალაქიას მიერ არის ნაწინასწარმეტყველები: “აჰა, მოვაველენ ჩემს ანგელოზს და გაამზადებს გზას ჩემს წინაშე...” (მალ. 3:1). იოანემ, “წინასწარმეტყველთა გვირგვინმა”, როგორც მას უწოდებენ, იხილა ის, ვისი მოლოდინიც მათ ჰქონდათ, ანუ ტარიგი (კრავი), რომელიც იტვირთავდა ადამიანთა ცოდვებს. მანვე თქვა: “ის (იესო) უნდა იზრდებოდეს, მე კი ვმცირდებოდე” (იოან. 3:30). იოანეს ამ

სიტყვებმა განსორციელება ჰპოვა იმ ფაქტში, რომ მისი მოწაფეები სტოვებენ მას და იესოს შეუდგებიან.

იოანე მოუწოდებდა სინანულისკენ. დას გულისხმობს “სინანული”, ბერძნული *მეტანოია*? ეს ნიშნავს ფიქრების შეცვლას, სულიერ გარდაქმნას მოახლოებული ცატა ასუფეველის წინაშე, რათა გარდაქმნილი ადამიანი სასუფეველის ღირსი გახდეს. არ არის შემთხვევითი, რომ ძველი აღთქმის უკანასკნელი წინასწარმეტყველი – მესიის წინამორბედი ესაიას სიტყვებს იმეორებს: განუმზადეთ გზა უფალს, მოუსწორეთ ტრამალზე ბილიკი ჩვენს ღმერთს” ეს. 40:3), ეს ღმერთი იესოს სახით, ძე ღმრთისა გამოჩნდა სწორეთ ხალხის წინაშე იორდანეზე. ესაია კი, როგორც ზემოთ ითქვა, უფრო მახარებელი იყო, ვიდრე წინასწარმეტყველი: ის, რაც ესაიამ იგავურად აღწერა, იოანემ თვალნათლივ იხილა.

11. სვიმონ მოხუცებული

მესიის საყოველთაო მოლოდინი, რომლითაც სავსე იყო ადამიანთა ცნობიერება, ყველაზე მკვეთრად იერუსალიმელ პიროვნებაში, სახელად სვიმონში გამოიხატა, რომელსაც ჰქონდა სულიწმიდით შთაგონება, რომ არ იხილავდა სიკვდილს, ვიდრე უფლის ცხებულის ხილვის ღირსი არ გახდებოდა (ლუკა, 2:25-35). თუ იოანე წინამორბედმა ზრდადასრულებულ იესოში შეიცნო პიროვნება, რომელიც ითვირთავდა ადამიანთა ცოდვებს, სვიმონმა იუდეველთა წესისამებრ ტაძარში მიყვანილ ჩვილ იესოში გამოიცნო ისრაელის ნუგეშისმცემელი, მკერდზე მიირქვა და წარმოთქვა ცნობილი სიტყვები, რითაც ძველი აღთქმის ხანის დასასრული და ახლის დასაწყისი გამოხატა:

“ახლა კი განუტევე მონა შენი, მეუფეო, როგორც ნათქვამი გაქვს, მშვიდობით, რდგან იხილის ჩემმა თვალებმა შენი მაცხოვარება, რომელიც შენ განამზადე ყოველი ხალხის წინაშე, წარმართთათვის ნათლის გამსაცხადებლად და შენი ხალხის, ისრაელის, დიდებად” (ლუკა, 2:29-32).

12. იესოს მეგობარი ქალები

იმ ქალთაგან, რომლებიც ახლდნენ იესოს მისი ამქვეყნიური მისიის გზაზე და ემსახურებოდნენ (ლუკა, 8:1-3), საბოლოოდ კი, იდგნენ ჯვართან ღვთისმშობელთან და იოანე მოციქულთან ერთად, იყვნენ მარიამ, კლეოპას ცოლი და მარიამ მაგდალელი (იოანე, 19:25), რომლისგანაც შვიდი ეშმაკი იყო განდევნილი. ეს მარიამი, რომელიც მეთაურობდა იესოსთან დახლოებულ გალილეველ ქალთა დასს, გამოარჩია იესომ, რათა ყოფილიყო პირველი, ვინც აღმდგარი მაცხოვარი იხილა “სხვა მარიამთან” ერთად (მათე, 28:1-10; იოანე, 20:1-18)). მარკოზ მახარებელი მას მენელსაცხებელ დედათა შორის მოიხსენიებს (მარკ. 16:1-2).

მარიამ კლეოპასი იყო იმ ორთაგან, რომელთაც ემაუსის გზაზე აემგზავრა აღმდგარი იესო, და რომელმაც იესოს კითხვაზე, რაზე მსჯელობთო, უთხრა: “შენა ხარ ერთადერთი ხიზანი, რომელმაც არ იცის რა ამბავი მოხდა ამ დღეებში იერუსალიმში” (ლუკა, 24:13-18). იგი უნდა იყოს ის “სხვა მარიამი”, რომელმაც, მათეს მიხედვით, აღმდგარი იესო იხილა (მათე, 28:1).

სხვა ქალებისგან განსხვავებით, არ ჩანს, რომ მარიამი და მართა ოდესმე ხლებოდნენ იესოს, მაგრამ ისინი მისი საუკეთესო მეგობრები იყვნენ; იესოს უყვარდა მათი ოჯახი და სტუმრობდა მათ ბეთანიაში, სადაც ისინი თავის ძმასთან ლაზარესთან ერთად ცხოვრობდნენ (ლუკა, 10:38-42; იოანე, 11).

ლაზარეს დები მარიამი და მართა ადამიანთა ორ განსხვავებულ ტიპს წარმოადგენენ: მარიამი იესოს სტუმრობისას მის ფეხთქვეშ იჯდა და უსმენდა მას, ხოლო მართა სტუმრებისთვის ფუსფუსებდა. მართას საყვედურზე, რომ მარიამმა იგი შეატოვა სტუმრებისთვის სამზადისს, იესომ უთხრა: “მართა, მართა! შენ ბევრ რამეზე ზრუნავ და წუხხარ, მაგრამ საჭირო კი ერთია. მარიამმა უკეთესი წილი ამოირჩია, რომელიც არასოდეს წაერთმევა მას” (ლუკა, 10:38-42). მართა მოქმედის ტიპს განასახიერება, მარიამი კი – მჭვრეტელისას.

იესოს მეგობართა შორის ვერ მოვიხსენიებთ, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია **სამარიელი დედაკაცის** ფიგურა, რომელსაც იესო, მოწაფეთა გასაკვირად, ესაუბრა იაკობის ჭასთან (იოანე, 4:7-30). მოწაფეთა განცვიფრებას იწვევს, რომ მათი მოძღვარი ესაუბრებოდა ქალს უცხოს, უფრო მეტიც, სამარიელს (იუდეველთა ნეგატიური დამოკიდებულება სამარიელებთან ცნობილია. მაგრამ აქ საყურადღებო ის არის, რომ იესო სამარიელ დედაკაცს გაუმხელს, რომ იგი არის მესია, რომელსაც სამარიელებიც ელიან, და კიდევ ამცნობს ძალზე მნიშვნელოვან რასმე: “ქალო, მერწმუნე, დგება ჟამი, როცა არც ამ მთაზე და არც იერუსალიმში თაყვანს აღარ სცემენ მამას” (იოანე, 4:21-

13. სახარების ძირითადი ფაქტები

ყველაფერი, რაც სახარებებშია მოთხრობილი, ძირითადად, იესო ქრისტეს ეხება ან მის ირგვლივ არის დაჯგუფებული. ყველგან, სახარებათა ყველა მონაკვეთში, მისი მყოფობა იგრძნობა. შობიდან ამდღებამდე დრო შევსებულია ეპიზოდებით, რომელთაც ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვთ იესოს, როგორც ადამიანის, ცხოვრებაში და აქედან გამომდინარე მისი, როგორც ღვთის ძის, თავად ღმერთის ბუნებაში. თავისი ცხოვრების მანძილზე ქრისტე აჩენს თავის ორ ბუნებას. შობა, თუნდაც ქალწულისგან, თუ კაცებრივი აქტია, აღდგომა-ამდღება მის ღვთიურ ბუნებაზე მიუთითებს.

I. შობა. იესო ქრისტეს შობა მხოლოდ ორ სახარებაშია აღწერილი. სახარება მათესაგან და ლუკასაგან ერთმანეთს ავსებენ, სხვადასხვა მომენტებზე ამახვილებენ ყურადღებას. მათესთვის იესოს ბეთლემში შობა

პროვიდენციულია, რადგან სწორედ იუდას ბეთლემში უნდა შობილიყო იუდეველთა მეფე, რადგან ბეთლემი იყო იუდას ისტორიული მეფის დავითის ქალაქი, იესო კი დავითის შთამომავალი იყო (მათესეულ მოთხრობას იესო ქრისტეს გენეალოგია უძღვის წინ). მაგრამ მათეს წინასწარმეტყველურ განჭვრეტაში “იუდეველთა მეფე” არ არის შემოზღუდული ბეთლემით და იუდათი, მოგვების გამოჩენა ცხადყოფს, რომ იესოს მოვლინება უნივერსალური ხასიათისაა და პირველად ეს ჭეშმარიტება აღმოსავლეთიდან მოსულ მოგვებს გამოეცხადათ. უფრო მეტიც: მათ მიერ მორთმეული ძღვენი – ოქრო, გუნდრუკი და მური ქრისტეს ბუნებზე მიანიშნებს: ოქრო, როგორც მეფეს; გუნდრუკი, როგორც ღმერთს; მური, როგორც ადამიანს. მათე არ ახსენებს ადგილს – ბაგას, სადაც იშვა იესო.

ლუკა, როგორც უფრო ყოფითი გარემოებების ნარატორი უხსნის მკითხველს, თუ როგორ მოხდა ბეთლემში და მერე ბეთლემის მწყემსთა ბაგაში იესოს შობა. ლუკა სრულიად სამართლიანად აბამს ძაფს ბეთლემში შობასა რომის იმპერიის მოსახლეობის აღწერას შორის, რომელიც კეისარ ავგუსტუსის ბრძანებით შედგა. ეს დეტალი, თუ ზუსტად არა, დაახლოებით მაინც განსაზღვრავს ქრისტეს შობის თარიღს. უკას მიხედვით, იმ ხანად გალილეაში, ერთ უჩინო სოფელში ნაზარეთში მცხოვრები ოჯახი აღსაწერად ბეთლემში ჩავიდა, საიდანაც მათი საგვარეულო იყო, თანახმად ბრძანებისა, რომ თითოეული ისრაელიანი თავის მშობლიურ ქალაქში უნდა აღწერილიყო (ლუკ. 2:3-4). რატომ ბაგაში? იმიტომ, რომ ბეთლემში ამ ოჯახს, გარდა გენეალოგიური ხსოვნისა, აღარაფერი აკავშირებდა: არ ჰქონდა სახლი და არც სასტუმროში აღმოჩნდა ადგილი, რომ დამგარიყვნენ და ორსულ მარიამს მოელოებინა. ბაგაში შობა იესოსი იძულებით მოხდა, მაგრამ ამ ფაქტში პროვიდენციული საზრისი იქნა ამოკითხული: თუ ერთი მხრივ ბაგა დაკნინებული ოჯახის მდგომარეობის შესატყვისი იყო, მეორე მხრივ, ბაგაში შობა გამოხატავს ღვთის განხორციელებულ-განკაცების შინაგან ბუნებას: ღმერთმა მიიღო დაცემული ადამიანის ხორცი, რასაც შემდგომ ღვთისმეტყველებაში კენოზისი ეწოდა (ბერძნ. *კენოსის* “წარმოცარიელება”). ლუკა არ “იცნობს” მოგვების თაყვანისცემას, სამაგიეროდ მისი მოთხრობით, პირველნი, ვინც იხილეს ახლადშობილი ყრმა მწყემსები იყვნენ, რასაც არანაკლები პროვიდენციული საზრისი აქვს: იუდეველთა მეფე (ისტორიული დავითი) მწყემსი იყო და მომავალში ის იტვირთავს კაცობრიობის მწყემსობას. თუ მოგვებს ვარსკვლავი მიუძღოდა წინ, მწყემსებს ანგელოზების მეშვეობით ეუწყათ ყრმის შობა (ლუკ. 2:9-15).

II. ტაძრად მიყვანება, რასაც ორი აღთქმის – ძველისა და ახლის – შეხვედრის საზრისი აქვს. სვიმონ მოხუცებულის სახით, რომელმაც იხილა იგი, ვის ხილვასაც ნატრობდნენ პატრიარქები და ვერ იხილეს, დაიხურა ძველი აღთქმის წიგნი, მის მკვლავებში მწოლარე ყრმის სახით კი გადაიშალა ახალი აღთქმის წიგნის პირველი ფურცელი. ეს არის **მირქმა**, რომელსაც მხოლოდ ლუკასაგან ვეცნობით (2:25-35).

III. ნათლისღება, რომელიც ასევე ორ აღთქმას შორის არის მოქცეული, თუ იოანე ნათლისმცემელს ძველი აღთქმის უკანასკნელ წინასწარმეტყველად ჩავთვლით, რომელმაც უამის განსრულებისას, სვიმონ მოხუცებულის მსგავსად, იხილა მესია, ოღონდ არა ჩვილი, არამედ მთელი შეგნებით სამსხვერპლოდ გამზადებული მოწიფული და სრული კაცი. მისმა სიტყვებმა, რომლებიც მან იორდანეზე მომავალ იესოზე წარმოქვა: „აჰა, ღვთის კრავი, რომელიც იღებს სოფლის ცოდვებს“ (იოან. 1:29), მის ორ მოწაფეს გზა გაუხსნა იესოსკენ. „ორმა მოწაფემ გაიგონა მისი სიტყვა და გაჰყვა იესოს“ (1:37). ეს იმას ნიშნავდა, რომ იოანეს მისია ამოწურული იყო და იწყებოდა მესიის ხანა.

იესო იქცეოდა (მიმოდიოდა) ადამიანთა შორის; გარდა იმისა, რომ ჭამდა და სვამდა მათთან ერთად, მრისხანებდა, სინანულით ივსებოდა, არღვევდა შაბათს, ცრემლოდა, კურნავდა კიდევ ეშმაკეულებს, შობითგან ბრძებს, კეთროვანებს, განრღვეულებს და მკვდრეთით აღადგენდა, მაგრამ მისი ეს ქმედებანი ჯერ კიდევ ადამიანურ ფარგლებში იყო მოქცეული. მოწაფეთა შორის ის იყო ღვთიური მოძღვარი, მაგრამ როგორც კაცი – პირველი თანასწორთა შორის.

IV. გამოცდა-განსაცდელი უდაბნოში. ეს ეპიზოდი ერთადერთ მათეს სახარებაშია აღწერილი (თ. 4). უდაბნოში ორმოცი დღეღამის მარხვის შემდეგ იესო სამი განსაცდელის წინაშე დადგა. როდის მოხდა ეს? როგორც სახარების თხრობიდან ჩანს, იესო სულმა აიყვანა უდაბნოში მას შემდეგ, რაც იორდანეზე ნათლისღებისას ციდან გაისმა ხმა: “ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელიც მოვიწონე მე” (მათე, 3:17). ეს სამი განსაცდელი იყო: პირველი – მოშიებული იესო უარს ამბობს ქვების პურად ქცევაზე, რადგან “არა მხოლოდ პურით ცოცხლობს კაცი, არამედ პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით” (4:4); მეორე – იესო უარს ამბობს უფლის (4:7); მესამე – იესო უარს ამბობს ქვეყნიერების ყველა სამეფოზე სატანის თაყვანისცემის სანაცვლოდ (4:9-10).

გასაგებია, რომ აქ იესო ქრისტე გამოიცემა არა როგორც ღმერთი, ძე ღვთისა, რომელსაც ისედაც ეკუთვნის ქვეყნიერება, არამედ როგორც კაცი.

V. ფერისცვალება. ხდომილება, რომელიც **ფერისცვალების** სახელით არის ცნობილი და რომელსაც მხოლოდ სინოპტიკური სახარებები გადმოგვცემს, ქრისტეს ღვთაებრივი ბუნების წარმოჩენას ემსახურება. როგორც მათეს სახარებაში ვკითხულობთ, „და იცვალა ფერი მათ წინაშე: გაბრწყინდა მისი სახე მზესავით, ხოლო მისი სამოსელი ნათელივით გასპეტაკდა“ (17:2). ძე ღვთისა ეჩვენა მოწაფეებს თავისი მარადიული ბუნებით, იმ ჭეშმარიტი სახით, როგორც არასოდეს სჩვენებია მათ.

VI. საიდუმლო ანუ უკანასკნელი სერობა. ეს იყო ებრაული პასექის აღმნიშვნელი შეკრება, ასევე იყო გადასვლა ძველი აღთქმიდან ახალ აღთქმაში. ფაქტობრივად აქ გარდაიქმნა ძველი აღთქმის ეკლესია ახალი

აღთქმის ეკლესიად, რამდენადაც აქ ჩატარდა პირველად ევქარისტის რიტუალი, როცა წარმოითქვა სიტყვები პურის განტეხისას: „აიღეთ, ჭამეთ, ეს ჩემი სხეულია“ და სასმისის აღებისას „ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დაღვრილი“. სულთმოფენობის დროს (საქმე, 2) ეს პირველი ეკლესია, უბრალოდ, გასცდა მოციქულთა წრეს და მთელი მსოფლიო მოიცვა იერუსალიმში ამოსულთა წარმომადგენლობით).

VII. გეთსიმანია, ლოცვა გეთსიმანიაში. თუ თაბორის მთაზე (ფერისცვალება) მოწაფეებს იესო ღვთიური ბუნებით ეჩვენა, გეთსიმანიის ბაღში, სადაც მაცხოვარმა მოწაფეები (ივინივე, ვინც ფერისცვალებას დაესწრენ) დაასწრო თავის უკანასკნელ აგონიურ ლოცვას, მათ წინაშე იესო გამოჩნდა კაცობრიობის ცოდვებით დამძიმებული იმდენად, რომ „მისი ოფლი სისხლის წვეთებივით გახდა და ეპკურებოდა მიწას“ (ლუკ. 22:44). ეს სამნი – პეტრე, იაკობი და იოანე (მარკ. 14:33) უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ მათ წინაშე იყო ის ადამიანი, რომელიც ესაიას წინასწარმეტყველების თანახმად, კაცთა ცოდვებს იტვირთავდა (ეს. 53). მათ მოისმინეს აგრეთვე მისი სიტყვები, რომლებიც მათთვის იყო წარმოთქმული: „სასიკვდილოდ არის დამწუხრებული ჩემი სული. დარჩით აქ და იფხიზლეთ ჩემთან ერთად“ (მათ. 26:38). ასევე გაიგონეს მათ, შესაძლოა, ბურანში, რადგან ვერ იფხიზლეს: „მამაო ჩემო, თუ შეუძლებელია ამცილდეს ეს სასმისი, რომ არ შევსვა, იყოს ნება შენი“ (26:42), რომლებიც ეკუთვნოდა კაცს და არა ღმერთს.

VIII. ჯვარცმა, რომელიც გოლგოთაზე მოხდა, იესო ქრისტეს ამსოფლიური ცხოვრების დასასრულია. აქ უკიდურეს სატანჯველშია ჩავარდნილი მისი ადამიანური ბუნება. თუ გეთსიმანიის აგონიაში, როდესაც მან აიღო ტვირთი და ლამის გაიჭყლიტა მისი სიმძიმის ქვეშ (რასაც მოწმობს სისხლის ოფლი), ანგელოზი ამხნევებდა მას (ლუკ. 22:43), აქ, გოლგოთაზე არათუ ანგელოზი, მამა-ღმერთიც კი აღარ იყო მასთან. ამას მოწმობს სიტყვები, რომელიც მან თავის მშობლიურ ენაზე წარმოთქვა: *ელი, ელი, ღამა საბაქთან* ანუ “ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რისთვის მიმატოვე მე?” (მათ. 27:46).

IX. აღდგომა არის ახალი აღთქმის ცენტრალური ხდომილება (ფაქტი), რაზეც დაფუძნებულია ქრისტიანობა (ამაზე ლაპარაკობს მოციქული პავლე დაუინებით და დაბეჯითებით, 1კორ. 15). მაგრამ როგორი ხდომილებაა იგი – წარმოადგენს ის რეალურ ფიზიკურ ფაქტს თუ რწმენის საგანს, რომელიც არავის უხილავს, და ნეტარია ის, ვინც ირწმუნა? თუმცა ქრისტიანობა მოწმობს და ამოწმებს, რომ სახარებისეული არც ერთი ფაქტი ზემოთჩამოთვლილთაგან არ არის ისე მტკიცებადი ანუ ფაქტებით განმტკიცებული, როგორც აღდგომა.

ბეთლემის მწყემსთა ბაგაში იხილეს ახლადშობილი მწყემსებმა, მაგრამ რა საბუთი ექნებოდათ მათ იმის სამტკიცებლად, რომ ყრმა ქალწულისგან არის შობილი. მოგვებმა იხილეს ახლადშობილი, მიართვეს ძღვენი და დაუყონებლივ იმ გზით გაბრუნდნენ უკან, რომლითაც არ მოსულან.

ანგელოზებმა უგალობეს ახლადშობილს, მაგრამ, არ ვიცით, ვის ახარეს ეს საიდუმლო და სასწაული.

ნათლისღებისას მტრედის გადმოსვლა იხილა და ზეციერი მამის ხმა მოისმინა მხოლოდ იოანე ნათლისმცემელმა. მისი, როგორც წინასწარმეტყველის, ავტორიტეტით არის სარწმუნო ეს ფაქტი.

ფერისცვალებას სამი მოციქული (იაკობი, პეტრე და იოანე) შეესწრო და ეს მათი საიდუმლო იყო იმ ჟამამდე, ვიდრე სახარებებში არ მოხვდებოდა. ასევე ითქმის გეთსიმანიის აგონიურ ლოცვაზე. ერთადერთი ჯვარცმაა გარეშე კაცისთვისაც ეჭვიმუტანელი: იგი ხომ საჯაროდ მოხდა და ყველამ იხილა ჯვარზე გაკრული, ვინ – მართლაც მეფე იუდეველთა, მესია, ვინ – ავაზაკი ორ ავაზაკს შორის, და აქ განსაკუთრებული არაფერი იყო.

აღდგომის ფაქტი, უფრო სწორად, შედეგი აღდგომისა, შესაძლოა, მრავალს არ უხილავს, მაგრამ ვინც იხილა, არ მოელოდა ცარიელ საფლავს, ამის გამო მათი მოწმობა ობიექტური და ეჭვიმუტანელია.

„ბიბლიის შესავალში“ არ ვმსჯელობთ აღდგომის თეოლოგიურ საიდუმლოზე, აქ საუბარი უნდა იყოს საკითხზე, რომელიც ამგვარად შეიძლება დაისვას: როგორ ავხსნათ ცარიელი საფლავის არსებობა? ვინ გადააგორა ლოდი იესოს სამარხიდან? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა სავსებით ეჭვმდებარება ადამიანურ შესაძლებლობებს.

X. და, ბოლოს, **ამაღლება**, რომლითაც მთავრდება ქრისტეს მყოფობა მიწაზე მოწაფეთა შორის (მარ. 16:19; ლუკ. 24:50-51). ეს ხდომილება თერთმეტი (მეთორმეტე, იუდას ნაცვლად, ჯერ კიდევ არ იყო არჩეული) მოწაფის თვალწინ მოხდა. იგი კრავს წრეს: ძე, აღასრულა რა მან თავისი მისია, დაბრუნდა მამასთან ისე, როგორც ადრე ეუბნებოდა მათ: „მამისაგან გამოვედი და სოფელში მოვედი. კვლავ ვტოვებ სოფელს და მივდივარ მამასთან“ (იოან. 16:28).

14. იუდაიზმის დასები

იესო ქრისტეს ხანისთვის იუდაიზმი არ იყო ერთიანი რელიგიური მოძღვრება. პალესტინის იუდაიზმში რამდენიმე დასი გამოიყოფა, რომელთაც ლიტერატურაში პარტიებს უწოდებენ. გარდა დოგმატური განსხვავებებისა, მათი პოლიტიკური ორიენტაციაც განსხვავებულია. თუმცა ამის გამო მათი ურთიერთობა იმდენად არ დაძაბულა, რომ აშკარა კონფრონტაციაში გადაზრდილიყო. ყოველ შემთხვევაში, სახარებებში ამის კვალი არ ჩანს. დასები მშვიდობიანად თანაარსებობდნენ იერუსალიმის ტაძართან, რომელიც მათი საერთო სიწმიდე იყო. ტაძარი მათი ერთიანობის ხილული ნიშანი იყო.

ვარისეველები. ესენი შეადგენენ ყველაზე მრავალრიცხოვან და დაწინაურებულ დასს, თუმცა საკმაოდ ჩაკეტილი საზოგადოებაა. მათი წარმოშობა ეზრას ეპოქამდე (ძვ. წ. V ს.) აღის, როცა დაიწყო წმიდა წერილის ტექსტის მოწესრიგება და გამოწველილვით შესწავლა. სახარებებში ხშირად

ნახსენები მწიგნობარნი (*სოფერიძე*) იმათი სულიერი შთამომავალნი არიან, ვინც ეზრას დროიდან (იხ. ეზრა 1; ნეემია 8) ამ ასპარეზზე მოღვაწეობდნენ. ძვ. წ. II ს.-ში ისინი იწოდებოდნენ როგორც *ხასიდიმ* ანუ (ღვთის) მოყვარული, ერთგულნი. სახელწოდება „ფარისევლები“ გაჩნდა ხაშმონეური (მაკაბელთა) დინასტიის მეფე-მღვდლების ხანაში (ძვ. წ. 150 წ.); ამ დროს გაიყვნენ ისინი ორ დასად; უმრავლესობამ მათგან ხელში ჩაიგდო კონტროლი სახელმწიფო რელიგიაზე და იმთავითვე გამოირჩნენ როგორც რჯულის მკაცრი და უკომპრომისო დამცველნი, რის გამოც თითქოს გაემიჯნენ დანარჩენ მოსახლეობას, ე.წ. *ყამ ჰა-არეცს* („ქვეყნის ხალხს“). აქედან მოდის მათი სახელწოდება: ფარისევლები (*ფერუსიმი*) ნიშნავს „გამოცალკეებულთ“, „გამოყოფილთ“ ებრაული ძირიდან *ფარას* („გამოყოფა“). ფარისევლები რელიგიის ძირითადი კონცეფცია მდგომარეობდა იმის რწმენაში, რომ ბაბილონის ტყვეობის მიზეზი მოსეს რჯულის შეუსრულებლობა იყო, ამიტომაც მისი შესრულება როგორც თითოეული ისრაელიანის ინდივიდუალური, ისე მთელი ისრაელის ვალი იყო. ფარისევლები, როგორც ეზრას დროინდელ მწიგნობრების, მემკვიდრეთა დამსახურება იყო რჯულის წიგნის (მოსეს ხუთწიგნეულის) წმიდად დაცვა და შეუბღალავად შენახვა. მაგრამ დროთა განმავლობაში, როგორც ხშირად ხდება, მათ ამპარტავნება შეეპარათ და ზემოდან დაუწყეს ყურება უბრალო ხალხს (გავიხსენოთ ფარისევლისა და მეზვერის ლოცვა). საქმე იქამდე მივიდა, რომ რჯულის მცნებათა დაცვა და აღსრულება სრულიად ფორმალური გახდა – რჯული რჯულისთვის. ამან გამოიწვია ქრისტეს მიერ მათი უარყოფითი შეფასება, რასაც სახარებებში ბევრ ადგილას ვხვდებით. ამიტომაც „ფარისევლები“ სიტყვამ მიიღო ის მნიშვნელობა, რაც მას დღეს აქვს მართლმადიდებელი კულტურის ენებში: ფარისევლებს იმ ადამიანს უწოდებენ, ვისი ღვთისმოსაობა გარეგნულია, მხოლოდ რიტუალების ფორმალურ შესრულებაში გამოიხატება. ფარისევლობა, როგორც დასი, დატოვა მაცოცხლებელმა სულმა და მისგან მხოლოდდა ჩენხო დარჩა. ეს იყო ტაძარი, რომელშიც აღარ მყოფობდა ღმერთი. მათი რწმენა და სასოება ისრაელის ხსნისა რჯულის დაცვაში მდგომარეობდა, მაგრამ ისინი იცავდნენ უკვე არა რჯულს, არამედ ცარიელ სიტყვას, რაშიც ძველი აღთქმის წინასაწარმეტყველები დღენიდაგ ამხილებდნენ ხალხს. ფარისევლები შორის იყვნენ ჭეშმარიტი ღვთისმოსავნი, როგორც იყო ნიკოდემოსი, ქრისტეს ფარული მოწაფე, რომელიც შინაგანად გამიჯნული იყო დასისგან (ი. 3:1-21; 7:50-52). ფარისევლები ფრთხილნი იყვნენ რომთან ურთიერთობაში, რადგან ისინი ისრაელის სამეფოს აღდგენას ღვთის უშუალო ჩარევის და არა პოლიტიკური ბრძოლის შედეგად მოელოდნენ.

სადუკეველები თავს სოლომონის დროინდელი მღვდელმთავრის – ცადოკის შთამომავლად თვლიდნენ; ისინი სამღვდლო არისტოკრატიას შეადგენდნენ და პოლიტიკურადაც გავლენიანები იყვნენ. ფარისევლებთან განსხვავებით, უაღრესად კონსერვატორები იყვნენ: უარყოფდნენ ყოველგვარ „მოდერნულ“ მეტაფიზიკურ თეორიებს და ბიბლიისშემდგომი ხანის ტრადიციებს. არ აღიარებდნენ სულის უკვდავებას, აღდგომას, ნაცვალებას

ცოდვათა და სიკეთეთათვის, არ სწამდათ არც ანგელოზებისა და არც დემონებისა. არ სწამდათ ბედისწერის არსებობა, სამაგიეროდ, აღიარებდნენ, რომ ადამიანის კეთილდღეობა და უბედურება მის თავისუფალ არჩევანზეა დამოკიდებული (ანუ აღიარებდნენ ნების თავისუფლებას). პოლიტიკურად სადუკეველები ცდილობდნენ რომთან გაწონასწორებული ურთიერთობა შეენარჩუნებინათ. ტაძრის დანგრევის შემდეგ სადუკეველობამ შეწყვიტა არსებობა.

ზელოტები, ბერძნული სახელწოდება კანანელებისა (არამ. *კანა'ანი*), რაც ქართულად ნიშნავს „მოშურნეებს“. ისინი მკვეთრად გამოირჩეოდნენ დანარჩენი დასებისგან. ისრაელის რჩეულობას, რომ ის ღვთის ერია და რომ უნივერსალური ღმერთი მხოლოდ მისი ღმერთია, ისინი პოლიტიკურ ენაზე თარგმნიდნენ, ამიტომაც რომაული ოკუპაციისადმი შეურიგებელი იყვნენ. მათ შორის ვხვდებით ექსტრემისტებს, რომლებიც პოლიტიკურ ბრძოლაში ტერორს იყენებდნენ და სიკარები (ბერძნ. *სიკარიოი* „ხანჯლიანები“) შერქვათ. სამოსში დამალული ხანჯლით შეერეოდნენ ხალხს და ხოცავდნენ რომისადმი ლოიალურად განწყობილ პიროვნებებს. ზელოტების ლიდერობით იქნა წამოწყებული 66-70 წლების აჯანყება რომის წინააღმდეგ, რასაც საეკლესიო შედეგები მოყვა. თუმცა მათი უკანასკნელი თავშესაფარი მასადის ციხე-სიმაგრე დაეცა 74 წელს (აქ ბევრმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა), მათი სული კარგა ხანს არ ჩამქრალა. თითქოს ამ დასს ეკუთვნოდა ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული – სიმონი, კანანელად წოდებული (მ. 10:4; ლ. 6:15). შესაძლოა, სიმონის ეს ზედწოდება მის შეურიგებელ ხასიათს თუ ფიცხ ტემპერამენტს ან რელიგიურ მოშურნეობას გულისხმობდეს, თუმცა სახარებებში ეს არ ჩანს. ზოგიერთნი ვარაუდობენ, რომ ზელოტებსა და ყუმრანელებს შორის რაღაც ურთიერთობა უნდა არსებულებო.

ყუმრანელები. წიგნის პირველ ნაწილში ყუმრანი (ყუმრანი) ძველი აღთქმის ხელნაწერებთან დაკავშირებით ვახსენეთ. ახლა ვისაუბროთ ყუმრანის საზოგადოებაზე, მის წევრებზე, რომელთაც, ჩვეულებრივ, ესენების (ესეების) ცნობილ სექტასთან აიგივებენ. ყუმრანელები სამეცნიერო ლიტერატურაში მათ ადგილ-სამყოფელის მიხედვით შეერქვათ. ყუმრანის საზოგადოება, როგორც რადიკალურად განწყობილი სექტა, გამოეყო იუდაიზმს, დატოვა იერუსალიმი, მისი ტაძარი და იუდას უდაბნოში, მკვდარი ზღვის მახლობელ გამოქვაბულებს შეაფარა თავი. ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე, დაახლოებით ორი საუკუნის განმავლობაში არსებობდა ეს საზოგადოება, რომლის ადგილ-სამყოფელის აღმოჩენამ 1947 წელს ბიბლიოლოგიისა და იუდაიზმის ბევრ პრობლემას მოჰფინა შუქი და ბევრიც ახალი გააჩინა. მათ დატოვეს უზარმაზარი მემკვიდრეობა ბიბლიის ხელნაწერების, ბიბლიური აპოკრიფების და მათ მიერ შექმნილი ორიგინალური ტექსტების სახით. ჩვენთვის მათ ორიგინალურ ლიტერატურას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მათში გამოხატული სულისკვეთება რამდენადმე ეხმაურება იმ რელიგიურ სიტუაციას, რომელიც სახარებებშია გადმოცემული. ყუმრანელთა თვითსახელწოდებები მეტყველებს საზოგადოების ხასიათზე. განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს „გლახაკთა

თემი“, „ნათლის ძენი“, „ახალი კავშირი“ (ანუ „ახალი აღთქმა“), „ჭეშმარიტების თემი“ (ან „ჭეშმარიტი თემი“), „ღვთის რჩეულთა თემი“ და სხვა, რომლებიც გვახსენებს პირველ ქრისტიანთა თვითსახელწოდებებს. სახელწოდება „გლახაკთა თემი“ მიუთითებს ყუმრანელთა ნეგატიურ დამოკიდებულებას სიმდიდრისადმი. მათი ნაწერების მიხედვით მხოლოდ გლახაკი და უპოვარნი დაიხსნიან თავს ეშმაკის ბადისგან და გადარჩებიან. რაც შეეხება „ახალ აღთქმას“, ის იმაზე მეტყველებს, რომ ყუმრანული საზოგადოების წარმოდგენით აბრაამთან დადებულმა აღთქმამ დაკარგა ძალა ანუ დაძველდა, და მის ნაცვლად უფალმა (დაჰვემ) ახალი აღთქმა დაუდო ყუმრანელებს, როგორც „ღვთის რჩეულებს“. არანაკლებ შესანიშნავია სახელწოდება „ნათლის ძენი“, რომლითაც ისინი „ბნელის ძეთ“ უპირისპირდებიან. ასევე იწოდებიან ქრისტეს მიმდევრები „ახალი აღთქმის“ ტექსტებში: „სანამ ნათელი გაქვთ, იწამეთ ნათელი, რათა იყოთ ძენი ნათლისა“ (იოან. 12:36), „რადგან თქვენ ყველანი ნათლის ძენი ხართ და ღლის ძენი. არც ღამისანი ვართ და არც ბნელისანი“ (1თეს. 5:5). დამახასიათებელია უარყოფითი დამოკიდებულება იერუსალიმის სამღვდელთაადმი, რომელთაც ისინი „უკეთურებად“ იხსენიებენ, რამაც არ შეიძლება ფარისევლთა მიმართ ქრისტეს დამოკიდებულება არ გაგვახსენოს. ყუმრანელმა „ღვთის რჩეულებმა“ უარყვეს სისხლიანი მსხვერპლი, რომელსაც კეთილი საქმეთა კეთება შეუნაცვლეს. მათ განავითარეს და ცხოვრებაში გაატარეს წინასწარმეტყველთა მოწოდება, რომ კეთილი საქმეები ღვთის თვალში უფრო ფასობს, ვიდრე მსხვერპლშეწირვები. ოფიციალური იუდაიზმს განშორებული ყუმრანელთა საზოგადოება თავს უფლის ჭეშმარიტ მსახურად და რჩეულ ერად მიიჩნევს და, ამდენად, თავიანთ თვალში იგი განასახიერებს ისრაელიანთა იმ ნატამალს, რომლის ხსნაზე ესაია წინასწარმეტყველი ქადაგებდა. არც ძველ აღთქმაში, არც ახალში ყუმრანის საზოგადოება არ არის ნახსენები; თავის ამქვეყნიურ გზაზე იესო არ მოხვედრილა ყუმრანის მიდამოებში და არც ამ საიდუმლო საზოგადოების რომელიმე წევრს შეხვედრია. ოღონდ ვარაუდობენ, რომ იოანე ნათლისმცემელი, რომელიც იორდანის ნაპირებზე იესო ქრისტეს შეეგება, ყუმრანის გამოქვაბულებიდან უნდა მოსულიყო. მათგან უნდა მოეტანა მას იუდეველთათვის წყალში ნათლისღების (ებრ. ტბლ „ჩაფლვა-ჩადრმავების“) იდეა ცოდვათა მისატვეებლად და მოახლოებული სასუფეველის ხარება, რაც იყო მისი მთავარი მოწოდება. ყუმრანის საზოგადოების განმსაზღვრელია ესქატოლოგიური ანუ უკანასკნელი ჟამის მოლოდინი, რომლითაც მოცული იყვნენ მისი წევრები. ცენტრალური ფიგურა მათთვის არის ბიბლიური მელქიციდეკივით გამოუცნობი „მოძღვარი სიმართლისა“ თუ „მართალი მოძღვარი“ (*დორჟ ცედეე*), მათი „ახალი აღთქმის“ თემის დამაარსებელი, რომელიც იდევნებოდა „უკეთურთა“ (*რეშაყიმ*) მიერ და უსამართლოდ გაიწირა (ან უნდა გაიწიროს მომავალში) მათი ხელით. ყველაზე მნიშვნელოვანი ხდომილება, რომელიც უნდა მოხდეს უკანასკნელ ჟამს, ეს არის გადამწყვეტი ბრძოლა „ნათლის ძეთა“ და „ბნელის ძეთა“ შორის, რომელიც პირველთა გამარჯვებით დასრულდება. მთელი აწმყო ამ ბრძოლის სამზადისია.

სამარიელები. ესენი არ ჩაითვლებიან იუდეველთა დასებში, თუმცა მათი რწმენა მხოლოდ რამდენიმე პუნქტში განსხვავდება იუდეველთაგან: უარყოფენ მკვდრეთით აღდგომას და წილი არა აქვთ იერუსალიმის ტაძარში, სანაცვლოდ სიწმიდით მოსავენ გერიზიმის მთას. ისინიც, იუდეველთა მსგავსად, აღიარებენ ერთ ღმერთს და უარყოფენ ყოველგვარ ანთროპომორფიზმს და გამოსახულებებს; მოსეს ხუთწიგნეულის გარდა, სხვა წიგნს არ აღიარებენ, მაგრამ მასაც მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით განმარტავენ, როგორც მოგვიანოდ საღუკეველები. თუმცა დაწერილი რჯულის გარდა, დაუწერელ რჯულსაც მისდევდნენ. მათი რწმენით, ქვეყნის შექმნიდან 6000 წლის შემდეგ უნდა მოვიდეს მესია, „წინასწარმეტყველი, მსგავსი მოსესი“ (თანახმად რჯლ. 18:15-19), სახელად *თა'ები* („აღმდგენელი“ ან „დაბრუნებული“), რომელიც გერიზიმის მთაზე გამოაჩენს მოსეს მიერ დამარხულ თორას, წმიდა ჭურჭლებს, ზეციურ მანანას, და დაუბრუნებს ხალხს ჭეშმარიტ რწმენას. 110 წლის შემდეგ იგი მოკვდება და დაიმარხება გერიზიმის მთაზე. ხოლო შვიდი ათასწლეულის განსრულებისას დადგება განკითხვის დღე, რათა მართალნი სამოთხეში დამკვიდრდნენ, ცოდვილნი კი ჯოჯოხეთის კერძნი გახდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სამარიელებს იუდეველებთან ჰქონდათ საერთო რჯული და ეყრდნობოდნენ მოსეს ავტორიტეტს, ბაბილონიდან დაბრუნებულმა იუდეველებმა ისინი არ შეიწყნარეს, არ მიაღებინეს მონაწილეობა იერუსალიმის ტაძრის აღდგენაში, სამაგიეროდ, სამარიელებმა შურისძიების მიზნით ცილი დასწამეს იუდაელებს სპარსეთის მეფის წინაშე, როგორც მუამბოხე და ბოროტმოქმედ ხალხს (ეზრა, 4:24). ამ საქციელმა, ცხადია, არ შეუწყო ხელი მათ შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობას და, საბოლოოდ, არა მხოლოდ მათი ებრაელობა უარყვეს, არამედ წარმართებსაც გაუთანაბრეს. აიკრძალა მათთან საქორწინო ურთიერთობა. ხოლო შექემის მახლობლად გერიზიმის მთაზე სამარიელთა მიერ ტაძრის აშენებამ (ძვ. წ. IV ს.) საბოლოოდ გააუცხოვა ისინი ერთმანეთისგან. ამ აქტით სამარიელები საბოლოოდ მოწყდნენ იერუსალიმს და მის ტაძარს, და სექტად გადაიქცნენ. მაკაბელთა ხანაში (ძვ. წ. II ს.) სამარიელებმა გაილაშქრეს კიდევ ებრაელების წინააღმდეგ, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ. მღვდელმთავარმა იოანე ჰირკანუსმა ძვ. წ. 129 წ. აიღო სამარია, დაანგრია გერიზიმის ტაძარი და რელიგიური ცენტრის გარეშე დატოვა ისინი. იესოს ხანაში სამარიელთა და იუდეველთა შორის ყოველგვარი ურთიერთობა აღკვეთილი იყო. ამიტომ იყო, რომ განცვიფრდა სამარიელი დედაკაცი, როცა იესომ – იუდეველმა მას წყალი სთხოვა (იოან. 4:9). იესოს მოწაფეებიც გაკვირვებული დარჩნენ, როცა თავიანთი მოძღვარი სამარიელთან (ისიც, დედაკაცთან) მოსაუბრე დაინახეს (4:27).

საბოლოოდ, სამარიელებმა ებრაელთა უბედურება გაიზიარეს: 11600 კაცი, მოჯანყენი, როგორც იოსებ ფლავიუსი წერს, ვესპასიანემ გაანადგურა („იუდეველთა ომები“, წ, III, თ. 5, 32).

ქრისტიანთა თემი. ის საზოგადოება (თემი), რომელიც შემდგომ

ქრისტეს ეკლესიად ჩამოყალიბდა, სახარების ეპოქაში სხვაგვარად არ აღიქმებოდა, თუ არა იუდაიზმისგან გამოყოფილ სექტად. ბუნებრივია, იგი მხოლოდ ებრაელებს აერთიანებდა თავის წრეში. თორმეტი მოციქულიდან არც ერთი – ამას მათი სახელებიც მოწმობენ – არ იყო არაებრაელი, იმ სამოცდაათიდან კი (ამ რიცხვს სახარება ასახელებს) ძალზე მცირედნი თუ იქნებოდნენ სხვა ხალხის წარმომადგენლები – წარმართნი. ახალი სექტა არ მოწყვეტილა მთლიანად იუდაიზმს და ტაძარს – იესო ტაძარში დ სინაგოგებში შედიოდა საქადაგებლად და ყოველთვის წმიდა წერილს – რჯულსა და წინასწამეტყველებს იმოწმებდა. იესოს ქადაგებათა პათოსი წინასწარმეტყველთა, კერძოდ, ესაიას პათოსი იყო. ცათა სასუფეველის მოახლოებას და მესიას ესაიას სიტყვებით ახარებდა... რისი წინააღმდეგნიც ფარისევლები არ უნდა ყოფილიყვნენ. მოსეს რჯულთან დაკავშირებით, რომელიც იუდაიზმის თავი და თავი იყო, იესოს, როგორც ესაიას, პრინციპად ეს ჰქონდა: რჯული ადამიანისთვის და არა ადამიანი რჯულისთვის. ყოველ შემთხვევაში, ქრისტემ ამ პრინციპის თემატიზება მოახდინა, როცა დაუპირისპირდა შაბათის რიგორისტულ გაგებას. შაბათი აღიარა ადამიანისთვის და არა ადამიანი შაბათისთვის. შაბათის დარღვევას იუდაიზმის არც ერთი განშტოება არ აპატიებდა მას, თვით ყუმრანელებიც კი, რომელთა დოკუმენტში ვკითხულობთ: “არავინ დაეხმაროს ძროხას ხბოს მოგებაში შაბათ დღეს. და თუ ორმოში ჩავარდა ან თხრილში, არავინ ამოათრიოს იგი შაბათს...” (დამასკოს დოკუმენტი, XI. 13,14). თითქოს ეს სიტყვები ჰქონდა იესოს მხედველობაში, როცა აცხადებდა: “ვინ იქნება თქვენს შორის ისეთი, რომ ერთი ცხვარი ჰყავდეს, შაბათს ორმოში ჩაუვარდეს, ხელი არ ჩაავლოს და არ ამოიყვანოს? ადამიანი კი რამდენად უკეთესია ცხვარზე! ამგვარად, შეიძლება შაბათს სიკეთის კეთება“ (მათ. 12:11- 12).

მაგრამ მთავარი სიახლე კი ის იყო, რომ ახლადგამოჩენილი მოძღვარი არა მხოლოდ ქრისტედ (მესიად), არამედ ღვთის ძედ აღიარებდა თავს, რასაც, ბუნებრივია, იუდეველები ვერ შეურიგდებოდნენ, თუმცა წინასწარმეტყველთა ქადაგებით, რაც უნდა სცოდნოდათ მათ, მესია სწორედ ღვთის ძე უნდა ყოფილიყო. ამ უკანასკნელი აღიარებით, იესოს “სექტა” პრინციპულად უპირისპირდებოდა იუდაისტური რელიგიის განშტოებებს. ყველაზე კატეგორიულიც კი მათ შორის, როგორიც იყო ყუმრანის თემი, თავის ტექსტებში მხოლოდ უსამართლოდ დევნილ “მართალ მოძღვარზე” (*მორე ცედეე*) ლაპარაკობს და არსად მესიის ღვთისშვილობაზე. პირველად რელიგიის ისტორიაში მისი დამაარსებლის პიროვნება შეიქნა პრობლემა, რაც თავად იესომ გაუცნობიერა მოწაფეებს, როცა დაუსვა მათ კითხვა: “თქვენ რას იტყვით, ვინა ვარ მე?” (მათ. 16:15).

15. ღვთისმსახურება და კულტი

სინაგოგა. სატაძრო ღვთისმსახურებიდან სინაგოგურ ღვთისმსახურებაზე

გადასვლა ხანგრძლივი პროცესი იყო. იგი უნდა დაწყებულიყო სოლომონის ტაძრის დანგრევის შემდეგ ბაბილონის გადასახლებაში, როცა ისრაელიანებს საშუალება აღარ ჰქონდათ მოსეს რჯულის მიხედვით წარემართათ ღვთისმსახურება, რაც ძირითადად სისხლიანი მსხვერპლის ყოველდღიურ შეწირვაში მდგომარეობდა. ამგვარი მსხვერპლის შეწირვა კი ტაძარს მოითხოვდა. სინაგოგა საზოგადო სამლოცველო სახლია, თუმცა მისი ფუნქციები ფართო იყო, რაც მის ებრაულ სახელწოდებებში აისახა: *ბეთ ჰათეფილა* „სამლოცველო სახლი“, *ბეთ ჰა-ქნესეთ* „საკრებულო სახლი“ და *ბეთ ჰა-მიდრაშ* „სასწავლებელი სახლი“. ტერმინი *სინაგოგე* კი ბერძნულია (*სინაგეინ* „შეკრება“).

უძველესი სინაგოგა ძვ. წ.-ის III ს.-შია დადასტურებული, მაგრამ სინაგოგები უფრო ადრეულ ხანაშიც უნდა არსებულიყო. ფიქრობენ, სოლომონის ტაძრის დანგრევამ 586 წელს ძვ. წ.-ით გამოიწვია სინაგოგების წარმოშობა. პირველი სინაგოგები კერძო სახლები იყო, სადაც იმართებოდა საჯარო ლოცვები და ხალხის რელიგიური განსწავლა. ხოლო ტიტუსის მიერ მეორე ტაძრის დანგრევის (ჩვ. წ. 70 წ.) შემდეგ სინაგოგებს უდიდესი როლი მიენიჭა, როგორც ებრაელთა რელიგიური ცხოვრების კერას. ახალი აღთქმის ხანის ლიტერატურაში უამრავი სინაგოგა იხსენიება როგორც პალესტინაში, ისე მის ფარგლებს გარეთ მცირე აზიაში, ეგვიპტეში, ბაბილონში, საბერძნეთში, სირიაში, რომში. პაულე და სხვა მოციქულები სადაც კი მიდიოდნენ საქადაგებლად, სინაგოგებს მიმართავდნენ.

ახალი აღთქმის წიგნებში რამდენიმე სინაგოგაა დადასტურებული, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი კაპერნაუმის სინაგოგაა, სადაც იესოს ხშირად უხდებოდა ყოფნა და, როგორც თემის სრულუფლებიან წევრს, მოძღვრების კომენტირება (იოან. 6:59; მარკ. 1:21; 6:2). ასევე ნაზარეთის სინაგოგა, სადაც იესო კითხულობდა წმიდა წერილს და ასწავლიდა (ლუკ. 4:16,31). სინაგოგები იყო იერუსალიმშიც (საქმე, 6:9), ტაძართან ერთად. სინაგოგის ინსტიტუტმა თანდათან შეზღუდა სატაძრო მსხვერპლშეწირვა, აამაღლა რა ლოცვის როლი ღვთისმსახურებაში, რამაც საბოლოოდ მოამზადა იუდაიზმი უტაძრო ხანისთვის. ტაძრის დანგრევას (70 წ.) ებრაელობა მომზადებული შეხვდა: სისხლიანი მსხვერპლი, რომელიც მსხვერპლის უმაღლეს კატეგორიად ითვლებოდა მთელი ძველი აღთქმის ისტორიის განმავლობაში, უმტკივნეულოდ შეცვალა ლოცვამ. (ნიშანდობლივია, რომ ქართველი ებრაელების მეტყველებაში “ლოცვამ” სინაგოგის მნიშვნელობა შეიძინა (“ლოცვაში მივდივარ” და სხვა).

სინედრიონი (ებრ. *სანჰედრინ*) ბერძნული ტერმინია, აღნიშნავს საბჭოს, კრებას. ესაა იუდეველთა უმაღლესი სამსჯავრო და ადმინისტრაციული საბჭო, რომლის დაარსება მოსეს მიეწერება (რიცხვ. 11:16,17), განახლდა ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, როგორც თვითმართველობის ორგანო. იგი შედგებოდა სამოცდათერთმეტი კაცისგან, რომელთაც მღვდელმთავარი თავმჯდომარეობდა. სინედრიონში სამი რანგის წევრები შედიოდნენ: 1. მოქმედი და გადამდგარი მღვდელმთავრები, და სამღვდლო ოჯახების მამები; 2.

უხუცესები ანუ მღვდლები და ერისკაცები, რომლებიც შეძლებულ და გავლენიან ოჯახებს წარმოადგენდნენ; 3. მწიგნობარნი, რომელთა განგებულებაში იყო რჯულის საქმე. სინედრიონი უფლებამოსილი იყო გამოეტანა განაჩენი მნიშვნელოვან პოლიტიკურ და რელიგიურ საქმეებზე, თუმცა ქრისტეს ხანაში რომის ადმინისტრაციამ შეუზღუდა უფლებები: მას აღარ შეეძლო დამოუკიდებლად სასიკვდილო განაჩენის გამოტანა, თუ ამაზე პროკურატორის თანხმობა არ იქნებოდა. მისი განაჩენი რომის სამართლისთვისაც სარწმუნო უნდა ყოფილიყო. ქრისტე სინედრიონის სამსჯავროზე მიიყვანეს და მას აქ წაუყენეს სასიკვდილო ბრალდება – ღვთის გმობა, რადგან ღვთის ძედ აღიარა თავი მათ წინაშე (მათ. 26:57-66). რამდენადაც სინედრიონს სასიკვდილო განაჩენის გამოტანის უფლება არ ჰქონდა, მისმა წევრებმა სახეში ფურთხებით და ცემით გამოხატეს „ბრალეულისადმი“ დამოკიდებულება.

16. დღესასწაული

პასექი – ცენტრალური დღესასწაული სახარებაში. სამ პასექს მოითვლის იესოს ამქვეყნიური მოღვაწეობის ხანგრძლივობა და მისი აღსასრულიც პასექთან არის დაკავშირებული. მოციქულები და მათი მოძღვარი, როგორც ერთი ოჯახი, ზეიმობს პასექს.

17. ისტორიული პირები ახალ აღთქმაში

აგუუსტუსი – რომის იმპერატორი, ძვ. წ. 27–ჩვ. წ. 14 წ. ნახსენებია ლუკას სახარებაში (2:1) პალესტინის მოსახლეობის აღწერასთან დაკავშირებით. აღწერა სწორედ მისი ბრძანებით ჩატარდა. მისი იმპერატორობის მეოთხე წელს იუდას ბეთლემში იშვა იესო ქრისტე.

ტიბერიუსი – ჩვ. წ. 14–37 წწ. ნახსენებია ლუკას სახარებაში (3:1). ქრისტეს ამქვეყნიური მოღვაწეობა მის დროს მიმდინარეობდა, ჯვარცმაც მისი იმპერატორობის დროს მოხდა.

ჰეროდე დიდი მოხსენიებულია ქრისტეს შობასთან დაკავშირებით. იგი მეფობდა პალესტინაში ძვ. წ. 37–ჩვ. წ. 4 წწ. იგი არ იყო ებრაელი, იდუმეური (იხ. იდუმეა იგივე ედომი) წარმოშობისა იყო. ამიტომაც ებრაელები მაინცდამაინც არ აღიარებდნენ მას კანონიერ მეფედ. სამეფო ტახტზე იგი რომმა აიყვანა და მისი ერთგული იყო სიცოცხლის ბოლომდე. ჰეროდე არ სცემდა დიდ პატივს ებრაელთა რელიგიას, თუმცა მან განაახლა ტაძარი, მიუშენა მას ახალი ნაგებობები; ააშენა სამეფო სასახლე, მასადის განთქმული ციხე-სიმაგრე, რომელიც ჩვ. წ. I პირველი საუკუნის ბოლოს საბოლოოდ რომაელებმა აიღეს და დაანგრიეს. იგი მოწყვეტილი იყო იმ ქვეყნის კულტურას, რომელსაც განაგებდა. მთელს პალესტინაში აშენებდა პირწმინდად ელინისტურ ქალაქებს. მან გარდაქმნა სამარია და კესარია ელინისტურ ყაიდაზე, ააგო რა ყველგან ტაძრები იმპერატორისთვის სათაყვანოდ. მისი

სიკვდილის შემდეგ სამეფო მის შვილებს – არქელაოსს, ჰეროდე ანტიპასსა და ფილიპეს შორის გაიყო.

პილატე პონტოელი. პილატეს სახით იუდეაში რომის ხელისუფლება იყო წარმოდგენილი ჩვ. წ. 26-37 წ. იგი იყო მეექვსე რომაელი პროკურატორი. გამოირჩეოდა სისასტიკითა და სიძულვილით იუდეველებისადმი, რასაც აძლიერებდა მის დროს გახშირებული აჯანყებები და შფოთი. უსამართლობის, სისასტიკისა და თვითნებობის გამო მას „კაცი-შუბი“ შეარქვეს. აი, ასეთ ადამიანს მოუხდა ქრისტეს გასამართლება და მისთვის მსჯავრის დადება. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მან შესაშური მიუკერძოებლობა და ობიექტურობა გამოიჩინა. ქრისტემ მასში გულმოწყალება აღძრა, რამაც იუდეველები კიდევ უფრო გააცოფა და დაშინებაც კი დაუწყეს მას. და მაინც პილატე ებრაელებისადმი სიძულვილს შეეწირა. საბაბი შემდეგი ამბავი გახდა: ერთმა ცრუპენტელა კაცმა სამარიელთა დიდი ბრბო შეყარა გარიზიმის მთაზე, მოსემ აქ დამარხა წმიდა ჭურჭელი და გაჩვენებთო. პილატემ ეს გულუბრყვილო შეკრება აჯანყებად მიიჩნია და სასტიკად გაუსწორდა უდანაშაულო ბრბოს. სამარიელებმა მას სირიის განმგებელთან ვიტელიუსთან (იმპერატორის მამასთან) უჩივლეს, რომელმაც დამნაშავედ ცნო პილატე. მან ვერ გაიმართლა თავი რომში იმპერატორ ტიბერიუსის წინაშე და 37 წელს გადაყენებული იქნა პროკურატორობიდან. გამტყუნებული პილატე პონტოელი გალეთში გადაასახლეს. გადმოცემით, ბოლო ორი წელი პილატეს სინდისის საშინელ ქენჯნაში გაუტარებია, ბოლოს კი სასოწარკვეთილს თავი მოუკლავს. კესარიაში, ჰეროდეს თეატრში ნაპოვნია წარწერიანი ქვა, რომელზეც პონტოელი პილატეს სახელია ამოკვეთილი.

18. ახალი აღთქმის ქვეყნის ადგილები

ძველი აღთქმის ლანდშაფტი პალესტინაში, როგორც იყო, ცხადია, იგივე დარჩა, მაგრამ საგრძნობლად შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკური და დემოგრაფიული რუკა. ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრება იმავე ლანდშაფტში მიმდინარეობს, მაგრამ თითო-ოროლა დაბა-ქალაქის გვერდით, რომელიც ძველ აღთქმაში იხსენიება და ახალი აღთქმის ხანაშიც განაგრძობს არსებობას, სახარებები უამრავ ახალ დასახლებებს და ადგილებს ასახელებს.

ცენტრალური პუნქტები ახალი აღთქმისა – ქრისტეს შობის ადგილი ბეთლემი და მისი აღდგომის ადგილი იერუსალიმი ასევე ძველი აღთქმის მნიშვნელოვანი პუნქტებია. ორივე დავითის სახელთან არის დაკავშირებული. ბეთლემი დავით მეფის სამშობლო ქალაქია, იერუსალიმი კი – მისი სატახტო.

ბეთლემი (*ბეთ ლეხემ* „სახლი პურისა“) დატვირთულია ძველი აღთქმისეული ისტორიებით. აქ არის დამარხული ისრაელიანთა მამამთავრის საყვარელი ცოლი რახელი; მის საფლავს ახლაც აჩვენებენ გზის პირას, ქალაქის შესასვლელთან; აქ იყო ბოყოზის ყანა, სადაც შრომობდა სხვა მის მუშაკებთან ერთად რუთი, მოაბელი ქალი, რომელსაც წილად ხვდა დავით

მეფის წინაპარი ყოფილიყო; აქ ცხოვრობდა იესე (იშაი) თავის ვაჟებთან ერთად, აქ ცხო მეფედ იგი სამუელ წინასწარმეტყველმა. საიდან ჩამოვიდნენ ბეთლემში იოსები და მარიაში, ამაზე სახარება არაფერს ამბობს; მაგრამ ისინი აღწერის წესისამებრ იმ ქალაქში უნდა აღწერილიყვნენ, საიდანაც მათი საგვარეულო იყო წარმოშობილი. მათი სამშობლო ბეთლემი იყო. ის ფაქტი, რომ მწვემსთა სადგომის გარდა, მათ გასახერებელი ადგილი ვერსად ჰპოვეს, იმაზე მიუთითებს, რომ ბეთლემთან ამ ოჯახს აღარაფერი აკავშირებდა. როგორც მოვიდნენ, ისე წავიდნენ. ეგვიპტიდან აქ აღარ დაბრუნებულან. ქრისტე თავის მიმოსვლაში სამი წლის მანძილზე ერთხელაც არ სწევია ბეთლემს. ბეთლემის მოსახლეობას არ სმენია მისი სიტყვა. ბეთლემი არ შედიოდა მისი ქადაგების საწიერში.

იერუსალიმი (ებრ. *იერუშალაიმ* – თითქოს „ქალაქი მშვიდობისა“) – ძველი *შალემი*, რომლის მეფე და მღვდელი მელქიციდეკი იხსენიება დაბადების წიგნში. ისრაელის სულიერი და პოლიტიკური ცენტრი, ბეთლემიდან ჩრდილოეთით, სამიოდე საათის სავალზე; გაშენებულია მაღალ ბორცვზე, ზღვის დონიდან 770 მეტრზე, ამიტომაც იერუსალიმში მიმსვლელნი ამბობენ, იერუსალემს ავედითო. მის წარსულში ეპიზოდურად, მაგრამ მკვიდრად ჩანს მეფე და მღვდელი მელქიციდეკი, რომელმაც აბრაამ მამამთავარს შალემის (ასე ერქვა იმ ხანაში იერუსალიმს) კარიბჭესთან პური და ღვინო გამოუტანა, რითაც წინასახეობრივად წარმოადგინა ქრისტე და ევქარისტის რიტუალი. იერუსალიმს საუკუნეებში განუცდია დიდება და სიხარული (როცა შენდებოდა და აშენდა პირველი ტაძარი), განუცდია დიდი გასაჭირიც ალყის დროს, განუცდია ნგრევა და პარტახიც („გატიალების სიბილწე“), როცა მოსახლეობამ მიატოვა იგი, განუცდია აღორძინების სიხარულიც, როცა გადასახლებიდან დაბრუნებული ხალხი შეუდგა მისი კედლების გამაგრებას და ახალი ტაძრის შენებას... ამ ტაძარში მიიყვანეს ჩვილი იესო, ამ ტაძარში განმარტავდა იგი რჯულს და წინასწარმეტყველებს. სამი პასექი მაინც გაუტარებია მას ამ ქალაქში, უკანასკნელზე თავად შეიწირა როგორც საპასექო კრავი. იერუსალიმის მიდამოებთან არის დაკავშირებული მისი უკანასკნელი ამქვეყნიური აქტები. ლუკას სახარების 21-ე თავში იესო წინასწარმეტყველებს იერუსალიმისა და მისი ტაძრის მომავალზე. დიდრონი ლოდებით აგებულ ამ დიდებულ ტაძრის გამო იგი წარმოთქვამს: „დადგება დღეები, როცა ამათგან, რასაც აქ ხედავთ, ქვა ქვაზე არ დარჩება, რომ არ ჩამოიქცეს“ (21:6). ამ სიტყვების წარმოთქმიდან ორმოცი წლის შემდეგ, 70 წელს, იმპერატორ ტიტუსის ჯარისკაცებმა, მიუხედავად იმისა, რომ ნაბრძანები იყო, ხელი არ ეხლოთ მისთვის, ჯერ ცეცხლი წაუკიდეს და მერე, მართლაც, მისგან ქვა ქვაზე არ დასტოვეს. იესო აფრთხილებდა იერუსალიმის მოსახლეობას: „როცა იხილავთ იერუსალიმს, ლაშქრით გარსშემორტყმულს, მაშინ იცოდეთ, რომ მოახლოვდა მისი აღსრულება. მაშინ იუდეაში მყოფნი მთებში გაიხიზნონ; ვინც იერუსალიმშია, გარეთ გავიდეს, ნუღარ შევა მასში...“ (21:20-21). ასეც მოხდა. როგორც ისტორიკოსი შაფი წერს, იერუსალიმის ქრისტიანებმა ყურად იღეს იესოს გაფრთხილება და დატოვეს განწირული ქალაქი, მიაშურეს

დეკაპოლისის ქალაქებს. მერე ჯარისკაცებმა ქალაქიც დაანგრიეს. ვინც ისმინა ქრისტეს ხმა, გადარჩა.

იერიხონი (ებრ. *იერ(ი)ხო* („მთვარის ქალაქი“ ან „სურნელოვანი ქალაქი“) – განთქმული ქალაქი იორდანის ხეობაში. იერუსალიმიდან იერიხონში მიმავალ გზაზე ხდება კეთილი სამარიელის იგავში აღწერილი ამბავი; იერიხონში აუხილა თვალი იესომ ორ უსინათლოს, რომლებიც შესთხოვნენ მას: „შეგვიწყალე, უფალო, დავითის ძეო!“ (მათ. 20:29-34).

სამარია (ებრ.-არამ. *შამრაია // შომრონ*) – ძველი აღთქმის ხანაში ჩრდილო სამეფოს (ისრაელის) სატახტო ქალაქი, რომელიც ძვ. წ. 724 წ. აშურელებმა დაიპყრეს, მისი მოსახლეობა აყარეს და შექცეში დაასახლეს. სამარია, როგორც ქალაქი, აღიგავა. იესოს ხანაში ამ სახელით იწოდებოდა *სამარიელებით* (იხ.) დასახლებული ტერიტორია, რომლის დაბა-ქალაქებზე უხდებოდათ გავლა იესოს და მის მოწაფეებს: „დატოვა მან იუდეა და კვლავ გალილეას წავიდა. მას სამარიაზე უნდა გაეველო. ამრიგად, მივიდა სამარიელთა იმ ქალაქში, სიქარი რომ ეწოდება“ (იოან. 4:4).

მაგრამ, ბეთლემისა და იერუსალიმის გვერდით, სახარებებში ბევრი მნიშვნელოვანი დაბა-სოფელი და ადგილია, რომლებსაც ან საერთოდ არ იცნობს ძველი აღთქმა ან იქ ძველი აღთქმის ისტორიაში ხსენების ღირსი არაფერი მომხდარა. ესენია:

გალილეა, ებრაულად *გალილ* („ოლქი“), პალესტინის ჩრდილოეთი ნაწილი, სიდონსა და სამარიას შორის, ნაფთალის ტომის ძველ მიწა-წყალზე; ძველ აღთქმაში იხსენიება როგორც *გელილ ჰავოიმ* „გალილეა წარმართთა“ (ესაია, 8:23), სადაც ბევრი ქანაანელი წარმართი ცხოვრობდა, განსაკუთრებით სიდონელები (იესო, 20:7). მხარე მთაგორიანია და ნაყოფიერი ხეობები სერავს მას. გალილეა ყველაზე ხშირად არის ნახსენები სახარებებში, იესო „ქადაგებდა გალილეის სინაგოგებში“ (ლუკ. 4:44). გალილეა მისი სამშობლოა. გალილეელები იყვნენ მისი პირველი მოწაფეები და გალილეიდან დაიწყო მან ცის სასუფეველის ქადაგება. გალილეელებს ჩამორჩენილი, გაუთლელი ადამიანების რეპუტაცია ჰქონდათ, რომელთა წრიდან კარგს და საიმედოს არაფერს მოელოდნენ. ისინი განსაკუთრებულ კილოკავზე მეტყველებდნენ და მათი გამორჩევა იუდეველთაგან ძნელი არ იყო. ლაპარაკზე იცნეს მოციქული პეტრე, როგორც გალილეელი და გალილეელების მოწაფე, როცა კაიაფას სახლის ეზოში ცეცხლს ეფიცებოდა, მის მოძღვარს კი სინედრიონი დაკითხავდა (მათ. 26:69). აღდგომის შემდეგ იესომ მოისურვა, რომ გალილეაში შეხვედროდა თავის მოწაფეებს (მათ. 28:10).

თქმულების თანახმად, როცა ქრისტიანობისგან განმდგარი და წარმართობის აღდგენის მოშურნე იმპერატორი იულიანე, ამის გამო განდგომილად წოდებული (332-363), კვდებოდა, მისი უკანასკნელი სიტყვები ყოფილა: „შენ გაიმარჯვე, გალილეელო“ (vicisti, Galilaeae). მის ბაგეებში „გალილეელი“ მაინც დაცინვით უღერდა.

ნაზარეთი – დაბა გალილეაში. ეს სახელი წარმოადგენს ებრაული *ნაცერეთის* ბერძნულ ფორმას. წარმოდგება ძირიდან *ნაცარ*, რაც ნიშნავს

„დაცვას“, ასე რომ, დაბის სახელი შეიძლება საგუშაგო კოშკთან იყოს დაკავშირებული. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ სახელწოდება მოდიოდეს სიტყვიდან *ნეკერ*, რაც „ყლორტს“ ნიშნავს (იგულისხმება, რომ დაბას ეს სახელი მისი სიმწვანის გამო შეერქვა). თუმცა ძნელია რამეს დაბეჭდვით თქმა. ასეა თუ ისე, როცა არაბები პალესტინაში შევიდნენ ამ დაბას *ელ-ნაცირა* უწოდეს და დღემდე ასე იწოდება არაბულ მოსახლეობაში. ეს დაბა არ არის ნახსენები ძველ აღთქმაში ან იმხანად მისი არარსებობის ან უმნიშვნელობის გამო. ნაზარეთი იოსებისა და მარიამის ქალაქად იწოდება („დაბრუნდნენ გალილეას თავიანთ ქალაქ ნაზარეთში“, ლუკ. 2:39). ნაზარეთს, როგორც გალილეის ქალაქს, კინი რეპუტაცია ჰქონდა ხალხში, რაც ცხადად ჩანს ნათანაელის სიტყვებიდან, როცა მას ახარეს წინასწარმეტყველის პოვნა ნაზარეთელი იესოს სახით: „განა ნაზარეთიდან რაიმე სიკეთე შეიძლება იყოს?“ (იოან. 1:45). იესოს, როგორც ლუკას სახარებაშია ნათქვამი, ნაზარეთში, მისი მშობლების ქალაქში, „ემატებოდა სიბრძნე და ასაკი, და მადლი ღმერთთან და კაცთან“ (ლუკ. 2:52), მაგრამ თავისი მისიის დაწყებისთანავე იგი გააძევეს მშობლიური ქალაქიდან (ლუკ. 4:29). ნაზარეთში მას არ მოუხდენია სასწაულები მის მკვიდრთა ურწმუნოების გამო (მათ. 13:58). იესოს წარმომავლობის სახელი „ნაზარეველი“ ორმაგ აზრს შეიცავს: ფიზიკური წარმოშობით იგი ნაზარეთიდან არის, მაგრამ სულიერი მხრივ ნაზარეველობას ეკუთვნის. ის ნაზარეველია (ებრაულად *ნაზირ*, ქართულად „განკრძალული“ ან „მოწმიდარი“), როგორც იყო იოანე ნათლისმცემელი, მისი წინამორბედი, და ძველი აღთქმის ზოგიერთი პირი (ნაზარეველობის ანუ მოწმიდარობის ინსტიტუტის შესახებ იხ. გამოსვლ. 20:25; რიცხვ. 19:2; 2რჯლ. 15:19). ეს იგულისხმება მახარებელ მათეს სიტყვებში: „მივიდა და დასახლდა ნაზარეთად წოდებულ ქალაქში, რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამი, რომ მას ნაზარეველი დაერქმეოდა“ (მათ. 2:23).

ბეთანია (ებრ. „ფინიკის სახლი“) – სოფელი იუდეაში, ზეთისხილის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებზე გაშენებული, იერუსალიმიდან აღმოსავლეთით რამდენიმე კილომეტრზე დაშორებით, სადაც იესოს ჰყავდა მეგობრები მარიამ და მართა, და მათი ძმა ლაზარე, რომელიც მკვდრეთით აღადგინა. აქედან ის უკანასკნელად გაემართა იერუსალიმისკენ. მისი არაბული სახელი *ლაზარიე* (სრულად *ელ-აზარიე*) ინახავს იესოს ბეთანიელი მეგობრის ხსოვნას.

იორდანე – მდინარე, რომელსაც ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში. იორდანის გადალახვამ ქანაანში ანუ აღთქმულ ქვეყანაში შესასვლელად, რომელიც რეალურად მომხდარი ფაქტი იყო ისრაელიანთა ისტორიაში, ადვილად შეიძინა ნათლობის სიმბოლური-წინასახეობრივი მნიშვნელობა. სხვა არის მდინარის ერთ ნაპირზე მდგარი და სხვაა გაღმა გასული. ასევე იორდანეში ჩადრმავება (*ბაპტისმა*) და იქიდან ამოსვლა ადამიანის გარდაქმნის საწინდარია. ყუმრანის თემის წევრთათვის ყოველდღიური აუცილებელი განბანვები იოანე ნათლისმცემელმა ცოდვათა აღსარებას და მონანიებას დაუკავშირა. „ინათლებოდნენ (ბერძნ. *ეპაპტიძონტო* „იძირებოდნენ“) იორდანეში და აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს“ (მათ. 3:6).

იორდანის რომელი ადგილი უნდა ვივარაუდოთ, სადაც იოანემ მონათლა ქრისტე? ქრისტე გალილეიდან მოვიდა იორდანეზე (მათ. 3:13), მაგრამ არა მდინარის იმ მონაკვეთზე, რომელიც გალილეის პროვინციას გამოყოფს დეკაპოლისისგან; ის სამხრეთის დინებაზე მივიდა, დაახლოებით იმ მონაკვეთზე, სადაც ისრაელიანებმა გადმოლახეს მდინარე, ანუ ძველ გილგალთან, იერიხონის მახლობლად, სადაც მათ ამ ისტორიული აქტის ნიშნად იორდანის ფსკერიდან ამოღებული ქვები დაახვავეს (ამას გამოხატავს სიტყვა გილგალ). აქვეა იუდას უდაბნო, სადაც იორდანიდან ამოსული იესო „სულმა გაიყვანა უდაბნოში“ (ლუკ., 4:1).

ბეთსაიდა (ებრ.-არამ. *ბეთ ცაიდა* „სათევზაო სახლი, ადგილი“) – დაბა გალილეის ზღვის დასავლეთ ნაპირას. როგორც სახელწოდება მოწმობს, ეს იყო საუკეთესო სათევზაო ადგილი და, ამავე დროს, თევზის მთავარი ბაზარი. ბეთსაიდა იყო პეტრეს, ანდრიას და ფილიპეს სამშობლო. მის მახლობლად, ველზე იესომ სასწაულებრივად დააპურა 5000 ადამიანი (ლუკ. 9:10). მიუხედავად ამისა და სინანულისთვის მოწოდებისა, ბეთსაიდა ცოდვებში რჩებოდა და ქრისტემ მასზე მეზობელ ხორაზინთან ერთად საბედისწერო წინასწარმეტყველება წარმოთქვა, რომელიც წყველის ფორმულად იქცა: „ვაი შენ, ქორაზინო, და ვაი შენ, ბეთსაიდა! რადგან ტვიროსსა და სიდონში რომ მომხდარიყო ძალთა ქმედებანი, რომლებიც თქვენთან მოხდა, ისინი დიდი ხნის წინათ ძაძებში და ნაცარში მოინანიებდნენ. მაგრამ გეუბნებით თქვენ: ტვიროსსა და სიდონს უფრო გაუადვილდებათ განკითხვის დღეს, ვიდრე თქვენ“ (მათ. 11:22-23). წინასწარმეტყველება გამართლდა: დღეს დაბეჯითებით არავინ იცის ამ ორი ქალაქის ძველი ადგილ-სამყოფელი.

გეთსიმანია (*გეთ-შემენ* „ზეთის საწნეხელი“) – ბაღი იერუსალიმის გარეუბანში, სადაც იესომ უკანასკნელად ილოცა („მამაო ჩემო, თუ შესაძლოა, ამარიდე ეს სასმისი. მაგრამ არა როგორც მე მსურს, არამედ შენ“, მათე, 26:42) და სისხლის წვეთების სცვიოდა შუბლიდან (ლუკა, 22:44); აქ მიიღო მან იუდას ამბორი და აქედან წაიყვანეს იგი სინედრიონის სამსჯავროზე.

ზეთისხილის_მთა (ბერძნულად *ელეონ*), რომელიც უნდა გადაეგლო ბეთანიიდან იერუსალიმისკენ მიმავალ იესოს (რადგან ზეთისხილის მთა აღმართულია ბეთანიასა და იერუსალიმს შორის).

გალილეის_ზღვა, რომელიც კიდევ ორი სახელით იხსენიება ახალ აღთქმაში: ტიბერიის ზღვა (იოან. 21:10), გენესარეთის ზღვა (ლუკა, 5:1). ძველ აღთქმაში იგი ქინერეთის ზღვის სახელწოდებით არის ცნობილი. ძველ აღთქმაში მისი ხსენება ეპიზოდურია, რაკი ღირსშესანიშნავი იქ არაფერი მომხდარა. ახალი აღთქმისთვის კი ეს ტბა, რომელსაც სახარების ავტორები ზღვას უწოდებენ, იესოსა და მის მოწაფეთა ხშირი მყოფობის ადგილი იყო. აქ თევზაობდნენ დამოწაფებამდე ბეთსაიდელი ძმები პეტრე და ანდრია, იაკობი და იოანე. აქ მიიღეს მათ იესოსგან მოწოდება, რომ „ადამიანთა მებაღურები“ ყოფილიყვნენ. ერთ-ერთი ადგილი ეს ზღვა იყო, სადაც აღმდგარი იესო ეჩვენა მოციქულებს (იოან. 21).

კანა გალილეაში (იუდეაშიც არსებობდა *კანა*), რომლის სახელი მხოლოდ

იოანეს სახარებაშია ნახსენები. ეს ის კანაა, საიდანაც იესომ დაიწყო სასწაულების მოხდენა. ამჯერად მან, როგორც ქორწილის სტუმარმა, წყალი დვინოდ აქცია. კანას ქორწილი იმითაც არის შესანიშნავი, რომ აქ იესო დედამისთან ერთად არის მიწვეული და დედა ხდება სასწაულის ინიციატორი (იოან. 2:1-11). ამის შემდეგ კანა აღარ უხსენებია მახარებელს.

კაპერნაუმი (ებრ. *ქეფარ ნახუმ* „ნაუმის სოფელი“) – დაბა გალილეის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, ზებულონისა და ნაფთალის სამკვიდროთა საზღვარზე, სადაც იოანეს სახარების თანახმად (2:12), იესო კვლავ დედასთან, ძმებთან და მოწაფეებთან ერთად ჩადის და რამდენიმე დღეს რჩება. იერუსალიმის შემდეგ ყველა ქალაქზე ხშირად კაპერნაუშია ნახსენები. თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებში, როცა ნაზარეთიდან გააძევეს (ლუკ. 4:28-29), მან კაპერნაუმი აირჩია საცხოვრებლად: ის იესოს ქალაქი იყო (მათ. 9:1). აქ მან ბევრი სასწაული მოახდინა, მაგრამ ვერ გააღვიძა ხალხში სინანული, რისთვისაც წარმოთქვა გამაფრთხილებელი სიტყვები მისი მისამართით: „შენ კი, კაპერნაუმი, განა ცამდე ამაღლდები? ჯოჯოხეთამდე დაემგები, რადგან სოდომში რომ მომხდარიყო ის სასწაულები, შენში რომ მოხდა, იგი ამ დღემდე მოაღწევდა. ხოლო გეუბნებით თქვენ, რომ სოდომის მიწას უფრო გაუადვილდება განკითხვის დღეს, ვიდრე შენ“ (მათ. 11:23-24). დღემდე ძველი კაპერნაუმის სავარაუდო ადგილზე შემორჩენილია დიდებული სინაგოგის ნანგრევები.

ბეთეზდა (ებრ. *ბეთ ხასდა* „წყალობის სახლი“), ასე ეწოდებოდა სენტაგან განმკურნებელ საბანელს იერუსალიმში, სადაც იესომ შაბათ დღეს უკურნებელი სნეული განკურნა მის წყლებში ჩაუსვლელად (იოან. 5:2-9). ბეთეზდა მდებარეობდა ცხერის კარიბჭის მახლობლად. დღემდე წმ. ანას ეკლესიის მახლობლად, თეთრი ძმების მონასტრის ეზოში, შეიძლება ვიხილოთ აუზი, რომელიც მიწის ზედაპირიდან 13 მეტრის სიღრმეზეა, და იქ ჩასვლას ხეიბარი ნამდვილად ვერ მოასწრებდა „წყლის შემღვრევის“ მომენტში, როცა წყალი სამკურნალო ძალას ავლენდა.

ემაუსი – სად მდებარეობდა ეს ადგილი, სადაც თუმცა ეპიზოდური, მაგრამ ნიშნულგოვანი შეხვედრა ჰქონდა ორ მოწაფეს აღმდგარ იესოსთან (ლუკ. 24:13), დღესდღეობით უცნობია. ამ შეხვედრის და საუბრის გამო, რომელიც მოხდა მის გზაზე, გაითქვა მან სახელი. სახარებიდან ცნობილია მხოლოდ, რომ იგი იერუსალიმიდან ათიოდე კილომეტრის მანძილზე (სამოც სტადიონზე) მდებარეობდა. ეს იყო მისი პირველი გამოცხადება აღდგომის შემდეგ; აქ იცნეს იგი იმ ჩვეულ მოძრაობაზე, რომლითაც განტეხილ პურს აწვდიდა თავის მოწაფეებს სერობაზე. ემაუსს ასახელებს იერუსალიმის მახლობელ დაბებს შორის იოსებ ფლავიუსი („იუდაური ომები“, წ. III, 3).

სიქარი – სამარიელთა ქალაქი თუ დაბა, რომლის სახელი სხვადასხვაგვარად იწერება: სიქარ, სუქემ. ეს უკანასკნელი გამოთქმა ამ ქალაქს, როგორც ჩანს, აიგივებს სიქემთან (ებრ. გამოთქმით *შეხემ*, არამეულით *სიქარა*), რომელიც სამარიელთა მთავარი ქალაქი იყო იესოს ხანაში. რაკი სამარიელი დედაკაცი, რომელსაც „იაკობის ჭასთან“ (იგი ძველ აღთქმაში არ

იხსენიება) დაელაპარაკა იესო, ამბობს „ჩვენი მამები ამ მთაზე სცემდნენ თაყვანს“ (იოან. 4:20), ეტყობა, მათი სათაყვანო მთა გერიზიმი კარგად ჩანდა ამ ადგილიდან. ეს ადგილი, ალბათ, ძველი შექემი იყო, რომელიც ღებალსა და გერიზიმის მთებს შორის იყო გაშენებული. უფრო სარწმუნოა, რომ ამ სახელში დღევანდელი სოფელი *ასქარი* იგულისხმებოდეს, რომელიც ღებალის მთის ძირას მდებარეობს: ღებალის ძირიდან უკეთ გამოჩნდებოდა მოპირდაპირე გერიზიმის მთა. რით გახდა ღირსშესანიშნავი ეს ადგილი, რომლის ნამდვილ სახელსაც კი არ იცნობს სახარება? სამარიელთან საუბარში ქრისტე ისეთ რამეს ამბობს, რაც მოციქულებისთვისაც არ გაუმხელია. დედაკაცის სიტყვებზე „ჩვენი მამები ამ მთაზე სცემდნენ თაყვანს, თქვენ (იუდეველები) კი ამბობთ, იერუსალიმშია ადგილი, სადაც უნდა სცემდნენ თაყვანს“, იესო უპასუხებს: „დედაკაცო, მერწმუნე, რომ დგება ჟამი, როცა არც ამ მთაზე და არც იერუსალიმში აღარ სცემთ თაყვანს“ (იოან. 4:20-21). აქ არ შევალთ იმის განსჯაში, თუ რას გულისხმობს ქრისტე ამ სიტყვებით.

იმ მრავალრცხოვან ხალხთაგან, რომლებითაც ქანაანად წოდებული პალესტინა და მისი მოსაზღვრე მიწა-წყალი იყო დასახლებული ძველი აღთქმის ხანაში, იესოს დროს თითო-ორიოდა თუ იყო შემორჩენილი. საგრძნობლად არის შეცვლილი ეთნიკური რუკა. მიწის პირისგან აღიგავნენ თუ შეერწყნენ ებრაელებს ფილისტიმელები, სივიელები, იებუსეველნი, ყამალეკი, მოაბი, ყამონი, ამორეველნი და სხვანი. სანაცვლოდ გენისარეთის ზღვის მახლობლად იორდანის ორივე ნაპირას გამოჩნდნენ ბერძნები, რომლებიც ათქალაქად ცხოვრობდნენ პალესტინის მიწაზე, იორდანის ორსავე მხარეს. ეს იყო დეკაპოლისი.

დეკაპოლისი („ათქალაქი“) სახარებებში (მათე, მარკოზი) სამჯერ გვხვდება. იგი წარმოადგენდა, ძირითადად, ძველი აღთქმის ბაშანისა და გალაადის ტერიტორიას, რომელიც მოიცავდა ათ ბერძნულ ქალაქს; ბერძნები ამ ადგილებში აღექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა მოიყვანა, ხოლო კავშირი ამ ქალაქებმა, ძველი ელინური ტრადიციისამებრ, რომაელთა მიერ პალესტინის დაპყრობის (ძვ. წ. 63) შემდეგ შეკრეს ურთიერთდახმარებისა და სემიტი მეზობლებისგან უსაფრთხოების მიზნით. ეს ქალაქები იყო: სკვითოპოლისი, ჰიპოსი, ღადარა, რაფანა, დიონი, პელა, გერასა, ფილადელფია, კანათა და დამასკო. ამათგან მხოლოდ ღადარა და გერასაა ნახსენები ახალ აღთქმაში. დეკაპოლისს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეჭირა მდინარე იორდანის ორივე მხარეს: დამასკო უკიდურეს ჩრდილოეთში, ფილადელფია (ძველი რაბათ ყამონი, დღეს ამანი იორდანის სამეფოში) უკიდურეს სამხრეთში; იორდანეს დასავლეთით ერთადერთი ქალაქი იყო სკვითოპოლისი (ძველი ბეთ-შანი, ისრაელის პირველი მეფის საულის მშობლიური ქალაქი); ათქალაქი ანუ ათი ქალაქის ლიგა სირიის რომაელ მმართველს ექვემდებარებოდა. დეკაპოლისმა ორიოდე საუკუნის განმავლობაში შექმნა მდიდარი ელინისტური კულტურა, რომლის წიაღში ფილოსოფოსიც კი წარმოიშვა (მენიპოსი). კავშირმა ჩვ. წ.-ის II ს.-მდე მიატანა.

სახარებებში, სადაც დეკაპოლისი და მისი ორად-ორი ქალაქია ნახსენები, არ არის თანხმობა მათ სახელწოდებებში (და არც არაფერია ნათქვამი მათი

მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების შესახებ). მათეს სახარების ხელნაწერებში მისი მოსახლეობა ზოგან დადარელებად, ზოგან გერასელებად, ზოგჯერ გერგესელებად, ზოგჯერ კი დაზარელებად იხსენიებიან; მარკოზის სახარების ხელნაწერებში გერგუსტელებიც გვხვდება.

ამ ქალაქებს ესტუმრებოდა ხოლმე იესო თავის მოწაფეებთან ერთად. მათ შორის განკურნა იესომ ორი ეშმაკეული, რომელთაგან გამოდევნილი ეშმაკები ღორების ჯოგში შერეკა, რათა კლდზე გადაეჩეხა ისინი (მათ. 8:28-34).

ქრისტეს ხანის პალესტინის ისტორიულ რუკაზე დადარა, სადაც იესომ ეშმაკეულები განკურნა, დატანებულია გალილეის ზღვის სამხრეთით, იორდანეს აღმოსავლეთ მხარეს, მდინარე იარმუკის ხეობაში, მის სამხრეთი კი – გერასა.

ცნობილია, რომ დადარა იმპერატორმა აგუსტუსმა გადასცა ჰეროდე დიდს. დადარაში აღმოჩენილია სამი ვრცელი თეატრის, ბაზილიკის და ტაძრის ნანგრევები. ეს არის თანამედროვე უმ კაისი.

19. პალესტინის ისტორიის ქარგა

ძველ აღთქმა, როგორც ვიცით, მთავრდება ბაბილონის გადასახლებიდან ებრაელთა დაბრუნებით, რასაც მოჰყვა იერუსალიმის კედლის გამაგრება და ძველის ნანგრევებზე ახალი ტაძრის აშენება. თუ მხედველობაში მივიღებთ მაკაბელთა წიგნებსაც, ქვეყნის ისტორია გრძელდება, ქვეყანა ახალი მტრის წინაშე აღმოჩნდება: აშურს და ბაბილონს ცვლის საბერძნეთი და რომი.

პალესტინა (ძველი ისრაელი და იუდა) ან ვასალური ქვეყანაა, ან დაპყრობილია. განმათავისუფლებელი ბრძოლები კი მუდამ მიმდინარეობს, მოსახლეობა დამპყრობელთა – საბერძნეთისა თუ რომის – თვალში მოჯანყე ხალხია, რომელსაც ის ვერაფრით იმორჩილებს, ვიდრე ფიზიკური განადგურების ზღვარამდე არ მიიყვანს. ბრძოლები, რომელთაც ებრაელები ათასი წლის მანძილზე ეწეოდნენ, საბოლოოდ, დამთავრდა მათი მარცხით, უფრო კასტასტროფით, რაც 70 წელს ქრისტეს შემდეგ იერუსალიმის მიწის პირიდან აღგვაში გამოიხატა.

როგორ გამოიყურებოდა პოლიტიკურად ქვეყანა ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე ან, უფრო ფართოდ, ახალი აღთქმის ხანაში, რომელიც მოციქულთა ხანით შემოიფარგლება (ეს არის ნახევარი საუკუნე ქრისტეს ჯვარცმა-ამაღლებიდან, როცა პირველი ქრისტიანული წიგნები იწერებოდა)?

I. ქრისტეს შობისას, ჰეროდე დიდის ხანაში (ძვ. წ. 37–ჩვ. წ. 4), პალესტინა ერთიანი სამეფო იყო, რომელსაც ერთპიროვნულად განაგებდა ჰეროდე, თუმცა ის, როგორც რომის დასმული, მისი ვასალი იყო. სახარება ეპიზოდურად, ქრისტეს სამისიონერო მიმოსვლის აღწერის კვალობაზე, ჩამოთვლის იმ ოლქებს, რომელთაგან მისი სამეფო შედგებოდა: „დიდძალი ხალხი მისდევდა მას გალილეიდან და ათქალაქიდან, იერუსალიმიდან და იუდეიდან და იორდანის გაღმიდან“ (მათ. 4:25). ამას შეიძლება დაეუმატოთ სამარია გალილეასა და იუდეას შორის, და უკიდურეს სამხრეთით იდუმეა (ედომი),

რომელსაც, როგორც ითქვა, ქრისტეს ქადაგება არ მისწვდომია.

II. ჰეროდე დიდის სიკვდილის შემდეგ ჩვ. წ.-ის 4 წელს სამეფო ოთხ ნაწილად გაიყო მის სამ შვილს შორის. თითოეული მათგანი, როგორც ტეტრარქი, განაგებდა ქვეყნის მეოთხედს.

იოანე ნათლისმცემლის გამოჩენის ხანაში ქვეყანა ამ ოთხ სამთავროდ იყო დაყოფილი. ამ მოვლენას ლუკას სახარება იმპერატორ ტიბერიუსის მეფობის მეთხუთმეტე წლით (ანუ ეს არის ჩვ. წ.-ის 18 წ.) და ტეტრარქების მმართველობით ათარიღებს: „ტიბერიუს კეისრის მეფობის მეთხუთმეტე წელს, როცა პონტოელი პილატე განაგებდა იუდეაში, ჰეროდე იყო მეოთხედმთავარი გალილეაში, მისი ძმა ფილიპე – მეოთხედმთავარი იტურიას და ტრაქონელთა ოლქში, ხოლო ლისანისი – მეოთხედმთავარი აბილენეში“ (ლუკ. 3:1).

ჰეროდე დიდის მემკვიდრეები იყვნენ:

არქელაოსი, რომელიც დაინიშნა იუდეის, სამარიის და იდუმეის ეთნარქად (მათ. 2:22), მაგრამ მალევე იუდეველებმა და სამარიელებმა უჩივეს რომში, მან ვერ გაიმართლა თავი და გადააყენეს. ეს მხარეები რომის იმპერიის ფარგლებში შევიდა და მათ განმგებლად პროკურატორი დაინიშნა, რომლის რეზიდენცია ჰეროდე დიდის მიერ ავგუსტუს კეისრის პატივსაცემად აშენებულ კესარიას იყო. იოსებ ფლავიუსი მას ასახელებს როგორც სასტიკ და შეუფერებელ მმართველს.

ჰეროდე ანტიპა – გალილეის და პერეის ტეტრარქად (ასევე იხსენიება ლუკას სახარებაში: „ჰეროდე ტეტრარქი“, ლუკ. 3:19). მან მოაკვლევინა იოანე ნათლისმცემელი, იგი ესაუბრა იესოს და შემდეგ გადასცა პილატეს განსასჯელად. მან ააშენა ქალაქი ტიბერია კეისარ ტიბერიუსის პატივსაცემად გალილეის ტბის სანაპიროზე, რა მიზეზითაც ამ ტბამ ტიბერიის ტბის სახელწოდება მიიღო. იგი დაქორწინებული იყო ჰეროდიაზე, თავისი ძმის ცოლზე, რისთვისა ამხელდა მას იოანე (მრ. 6:17-18). 39 წელს გადაყენებული და განდევნილი იქნა.

ფილიპე – ბატანიის, ტრაქონიტის, ითურეის, გაულანიტის და აურანიტის ოლქების ტეტრარქი („ოთხი ოლქის მთავარი“). ყველა ეს ოლქი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, იორდანის აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობდა და ებრაელებით ნაკლებად იყო დასახლებული. მას იხსენიებს მხარეებელი ლუკა (3:1).

III. ჰეროდე აგრიპა I-ის, ჰეროდე დიდის შვილისშვილის (41-44 წწ), ხელში სამიოდე წლის განმავლობაში პალესტინა კვლავ ერთიანია. იმპერატორმა კალიგულამ გადასცა მას ფილიპეს ტერიტორიები, დაურთო სირიის ოლქები და მეფის ღირსება მიანიჭა. კალიგულა არც ამას დასჯერდა: გადააყენა ანტიპა და მისი სატეტრარქო – გალილეა და პერეა მისცა ჰეროდე აგრიპას. ხოლო 41 წელს კლაუდიუსმა კალიგულას მკვლელობის შემდეგ იუდეაც მის სამეფოს მიუერთა. აგრიპა „კეთილი“ მეფე იყო, უყვარდა თავისი ხალხი და მისი ტრადიციები და ცდილობდა, შეძლებისამებრ, რომის იმპერიის ფარგლებში აღედგინა ისრაელის ძველი დიდება. მას მხარს უჭერდნენ ებრაელები, მაგრამ ქვეყნის არაებრაული მოსახლეობა მის წინააღმდეგ იყო განწყობილი.

მეფე ჰეროდემ მოაკვლევინა უფლის ძმა იაკობი და ციხეში ჩასვა პეტრე მოციქული, რომელიც სასწაულებრივად გამოვიდა საპყრობილედან (საქმე, 12).

IV. ჰეროდეს სასწაულებრივი სიკვდილის შემდეგ, რომელიც აღწერილია მოციქულთა საქმეში (საქმე, 13:21-23), ეფემერულად გაერთიანებული პალესტინა გადავიდა პროკურატორების ხელში, რომელთაგან ახალ აღთქმაში ოთხია მოხსენებული – კვირინუსი, პილატე, ფელიქსი და ფესტუსი. ხოლო, საბოლოოდ, ებრაელთა აჯანყების დამარცხების ე. ი. 70 წლის შემდეგ, მთელი ქვეყანა რომის იმპერიის ფარგლებში მოექცა და მისი პროვინცია გახდა.

პალესტინას წინ კვლავ ელოდა აჯანყებები და ბრძოლები, რომელთა დასასრულს იერუსალიმი მთლიანად განადგურდა და მის ნანგრევებზე იმპერატორმა ადრიანემ ქალაქი სახელწოდებით *ელია კაპიტოლინა* დააარსა. მაგრამ ეს პერიოდი არ ეკუთვნის სახარებათა და მოციქულთა ხანას.

20. ახალი აღთქმის წიგნების შექმნის ქრონოლოგია

- 48 პავლე მოციქულის ეპისტოლე გალატელთა მიმართ
- 51-52 პავლე მოციქულის 1 და 2 ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ
- 53-62 პავლე მოციქულის ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ
- 56 პავლე მოციქულის 1 ეპისტოლე კორინთელთა მიმართ
- 57 პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ
- 57 პავლე მოციქულის 2 ეპისტოლე კორინთელთა მიმართ
- 61-63? პავლე მოციქულის ეპისტოლე ეფესელთა მიმართ
- 61-63? პავლე მოციქულის ეპისტოლე ფილემონის მიმართ
- 61-63 პავლე მოციქულის ეპისტოლე კოლოსელთა მიმართ
- 61-63? პავლე მოციქულის 1 და 2 ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ, ტიტუსის მიმართ
- 62? იაკობის კათოლიკე ეპისტოლე
- 64 პეტრეს 1 კათოლიკე ეპისტოლე
- 70 სახარება მარკოზისაგან
- 75 სახარება ლუკასაგან
- 75-90 საქმე მოციქულთა
- 80-85 სახარება მათესაგან
- 81-96 იოანეს გამოცხადება
- 90-100 იოანეს 1 კათოლიკე ეპისტოლე
- 90-100 იოანეს 2 და 3 კათოლიკე ეპისტოლე
- 90-100 სახარება იოანესაგან
- 96? ეპისტოლე ებრაელთა მიმართ
- 100? იუდას კათოლიკე ეპისტოლე
- 100? პეტრეს 2 კათოლიკე ეპისტოლე